თამაზ ნადარეიშვილი

გენოციდი აფხაზეთში

ნაწილი 2

"აფხაზეთში საქართველოს ძირძველ კუთხეში დაბრუნება, იქ ქართული გენისა და სულის აღორძინება, ჩემი ცხოვრების მიზანია"

თამაზ ნადარეიშვილი

ნადარეიშვილი თამაზ ვლადიმერის ძე დაიბადა 1954 წლის 19 ივლისს ქ.გაგრაში. 1971 წელს დაამთავრა გაგრის პირველი საშუალო სკოლა, 1971-1974 წლებში სწავლობდა თბილისის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში. 1981 წელს დაამთავრა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1974-1979 წლებში მუშაობს საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის სისტემაში. 1979-1990 წლებში კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზეა, იყო გაგრის პარტიის ქალაქკომის მეორე მდივანი. 1990 წელს არჩეულია საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად, 1991 წელს — აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატად და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. 1992 წელს არჩეულია საქართველოს პარლამენტის წევრად, ამავე წელს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. 1993 წელს დანიშნულია აფხაზეთის თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარედ. 1993 წლის ნოემბერში დანიშნულია საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ვიცე-პრემიერად. 1995 წლის თებერვალში არჩეულია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. 1993 წლის მარტში მინიჭებული აქვს გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. 1993 წლის ივლისში დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

გარდა პოლიტიკური მოღვაწეობისა, ბატონი თამაზ ნადარეიშვილი სისხლხორცეულადაა დაკავშირებული აფხაზეთთან. ის შთამომავალია აფხაზეთში ცნობილი სათავადო გვარისა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ერთიან ქართულ სახელმწიფოში მართავდნენ აფხაზეთს. ქართველებისა და აფხაზების სალოცავი ენა ყოველთვის ქართული იყო, აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა, რაშიც უდიდესი დამსახურება და როლი შერვაშიძეთა დიდ საგვარეულოს მიუძღვის.

დღეს ბატონი თამაზ ნადარეიშვილი აგრძელებს თავის წინაპართა ისტორიულ მისიას, იბრძვის ჩვენი ქვეყნის ერთიანობისათვის, აფხაზეთში ქართული გენისა და სულის აღორძინებისათვის, ერთიანი, ძლიერი, ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის.

I. ისტორიული შესავალი

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ყოფილი სსრკ-ს ხალხების ისტორიული წარსული ასე თუ ისე ძირითადად მაინც გაირკვა, შესწავლილი და გამოვლენილი იქნა უამრავი დოკუმენტური მასალა, ნათელი მოეფინა მთელ რიგ საკვანძო საკითხებს, გარკვეული წარმატებები იქნა მიღწეული ცალკეული ხალხების ეთნოგენეზისის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის პრობლემების გადაწყვეტაში.

გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი სისხლით მონათესავე აფხაზი ხალხი, რომელთა ისტორიულ წარსულში მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენას ვეტო ჰქონდა დადებული. სამეცნიერო წრეებში ეს კარგად ცნობილი ფაქტია, მაგრამ დღეს იგი არც ფართო საზოგადოებისთვისაა საიდუმლო.

ასეთი "ვეტოს" მიზანი იყო აფხაზი ხალხის მოწყვეტა საერთო ქართული ორგანიზმიდან, მისი ცალკე ერად ჩამოყალიბების მიზნით, რაც შემდგომ ველიკორუსულ დერჟავას საშუალებას მისცემდა აფხაზეთის სამოთხისმაგვარი კუთხე ტერიტორიულადაც ჩამოეშორებინათ საქართველოსათვის და იგი თავისი ინტერესებისათვის დაექვემდებარებინათ. რუსეთმა თავის დროზე (XVI ს.) ლივონიის ორდენზე გამარჯვებით ბალტიის ზღვაზეც ასე მოიპოვა გასასვლელი. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთისათვის ეს N1 ამოცანა იყო. ამ ამოცანის შესრულების მიზნით მან ყველა ხერხსა და საშუალებას მიმართა. დღეს ამის შედეგი სახეზეა.

მართალია, გაბრუებული აფხაზი სეპარატისტები ჯერ კიდევ ხელს ითბობენ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი საშინელი დანაშაულის ჯოჯოხეთურ ცეცხლზე, მაგრამ ისტორიული გამოცდილებიდან ცნობილია, რომ ბოროტების ყველა გზა მოკლეა. მათი მრუდე გზაც თანდათან მოკლდება. ამასთანავე ნათელი ეფინება აფხაზი ხალხის ჭეშმარიტი წარსულის ისტორიას, მათ ეთნიკურ ვინაობას.

ჯერ კიდევ 1913 წელს აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: "კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია: ლაზმეგრელებს, აფშილ-აფხაზებს და სვანებს". მაშასადამე, დიდი ქართველი მეცნიერის აზრით, აფშილ-აფხაზები ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორიც არიან ლაზი-მეგრელები და სვანები. აკად. ივ. ჯავახიშვილი უსაფუძვლოდ არაფერს ამბობდა.

ეს აზრი შემდგომ დაადასტურეს სიმონ ჯანაშიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილის და პავლე ინგოროყვას შრომებმა. მაგრამ საბჭოთა იმპერიულმა ისტორიოგრაფიამ მიჩქმალა ისტორიული სიმართლე და აფხაზები ადიღეური მოდგმის ხალხად გამოაცხადა, ხოლო აფხაზეთი უცხო ქვეყანად.

ოფიციოზი ათეული წლების განმავლობაში თავში უჭედავდა აფხაზებს ამ უსინდისო სიყალბეს და სიძულვილით აღავსებდა მათ აფხაზეთისადმი კეთილგანწყობილი ქართველი ერის წინააღმდეგ.

ამიერიდან აფხაზები შეგნებულად გაურბოდნენ საკუთარ ისტორიას და ზემდგომი ორგანოების ხელშეწყობით სასტიკად დევნიდნენ ამ საქმეში ჭეშმარიტების მაძიებელ მკვლევარებს. ამის შედეგად შაგრენის ტყავივით დაფლითეს პ.ბერძენიშვილის უკვე აწყობილი "საქართველოს ისტორიის საკითხების" VIII ტომი, ლამის ჯვარს აცვეს დიდი პავლე ინგოროყვა, ხოლო პროფ. ხუხუტ ბლაუბამ თბილისში გაქცევით უშველა თავს.

სამაგიეროდ დაიწყო საპნის ბუშტივით გაბერილი აფხაზეთის ცრუ ისტორიის ტომეულების მასიური ტირაჟით გამოცემა, რუსი რეაქციონერი სწავლულების ხელშეწყობითა და თანაავტორობით. ტურჩანინოვებისა და ვორონოვების მიერ გამასხარავებული აფხაზი ხალხის ისტორიის გაიდეალების ფრთებშესხმული და ეიფორიაში მყოფი ახალგაზრდა აფხაზი ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა უკვე იმასაც "ასაბუთებს", რომ მომავალში კაცობრიობა აფსუურ ენაზე ილაპარაკებსო.

ცრუმეცნიერულ ქადაგებას სხვა შედეგი არც შეიძლება მოჰყოლოდა.

ასეთმა იდეოლოგიამ ფაშისტურ გერმანიას რაც მოუტანა, ეს დღეს მთელმა მსოფლიომ უწყის.

აფხაზი ხალხის გადარჩენის გზა კი ერთია, როგორც დიდი ილია გვასწავლიდა — ისტორიული ჭეშმარიტების დადგენა. ისტორიული ჭეშმარიტების დადგენის გარეშე აწმყო და მომავალი ყოველთვის ბუნდოვანი იქნება. ბუნდოვანებასა და გაურკვევლობას მოჰყვა აფხაზეთის პროვოკაციული ომიც. აფხაზებს თავისი ჭეშმარიტი ისტორია რომ სცოდნოდათ, მაშინ ისინი ქართველთა წინააღმდეგ ხელს არ აღმართავდნენ, ისინი საქართველოს პატრიოტები იქნებოდნენ, ისე როგორც იყვნენ ძველი აფხაზები, რომელთა ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შერვაშიძე.

დადგა დრო, როცა სიმართლე ხმამაღლა უნდა ითქვას. კმარა სიცრუის გზით სიარული. სწორედ დღეს გახდა შესაძლებელი აფხაზი ხალხის ბნელით მოსილ წარსულს ფარდა აეხადოს და შუქი მოეფინოს. ყველას და ყველაფერს თავისი სახელი უნდა მოეძებნოს. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული გამოკვლევები. საჭიროა ამ ნაშრომების გამოცემა რუსულ და სხვა უცხო ენებზე, რომ ის ბინძური იდეოლოგიური ბარიერი, რომელიც აფხაზმა სეპარატისტებმა ჩინეთის კედელივით აღმარ-

თეს, უმოკლეს დროში გადაილახოს, რამეთუ იდეოლოგიურ ფრონტზე გამარჯვების გარეშე არ არსებობს არავითარი გამარჯვება.

დღეისათვის ღრმა მეცნიერულ დონეზე შესწავლილია აფხაზეთის ისტორიული მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა, აფხაზეთის ტოპონიმიკა, მატერიალური კულტურის ძეგლები და სხვა. ყოველივე ამის შედეგად ირკვევა, რომ:

1. XVII საუკუნემდე აფხაზეთის ტერიტორიაზე არ გვხვდება არც ერთი ადიღეურ-ჩერქეზულ-აფხაზურ-აფსუური წარმოშობის გეოგრაფიული სახელი. ყველა მანამდელი ტოპონიმი არის მხოლოდ ქართველური, ძირითადად მეგრულ-სვანური. ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ზოგიერთი ტოპონიმი თუ ჰიდრონიმი, რომელიც ადრე ადიღურ-ჩერქეზული ეგონათ (სუფსა, მალთაყვა და სხვა) აღმოჩნდა ქართველური. აფხაზურ-აბაზური ტოპონიმები (ფსოუ, ფსირცხა, აბჟუა და ა.შ.) ჩნდებიან მხოლოდ XVI-XVII საუკუნეების შემდეგ. ასე მაგალითად, მდინარე კოდორსა და ღალიძგას შუა მდებარე ტერიტორიას XVIII საუკუნემდე "შუა სოფელი" ერქვა. შემდგომ მას "აბჟუა" ეწოდა, რაც აფსუურად აგრეთვე ნიშნავს "შუა სოფელს" ("შუა ქვეყანას") და სხვა.

I საუკუნიდან XVII საუკუნემდე აფხაზეთზე არსებობს 14 თუ 15 ისტორიული რუკა. არც ერთი ეს რუკა აფხაზ მკვლევართა ნაშრომებში შეტანილი არ არის, რადგან იგი მათ ხელს არ აძლევდათ. ამ რუკებზე ყველა გეოგრაფიული სახელი ქართველურია.

2. XIX საუკუნემდე აფხაზეთის მატერიალური კულტურის ყველა ძეგლი ქართულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სოხუმის ციხის გალავანს, რომელიც თურქებმა ააშენეს. არაქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლი XIX საუკუნემდე აფხაზეთში არ არსებობს. ამ ძეგლებს ამშვენებთ ქართული ეპიგრაფიკა.

3. VIII საუკუნიდან აფხაზეთის ყველა მეფე-მთავარი არა მარტო ქართული ორიენტაციისაა, არამედ ეთნიკურადაც ქართული წარმოშობის არიან და წარმოსდგებიან ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა წრიდან ან ადგილობრივ მარუშიანთა, შავლიანთა, დადიანთა და შარვაშიძეთა საგვარეულოებიდან.

4. XVII საუკუნემდე (უფრო ზუსტად 1621 წლამდე) აფხაზეთის მოსახლეობა არის სუფთა ქართული, მათში არ ურევია არც ერთი ჩრდილოკავკასიური გვარის წარმომადგენელი. ეს დასტურდება ბიჭვინთის დიდი იადგარის, ბიჭვინთის დიდი დავთარის, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და სოულთა მატიანეების შესწავლის შედეგად.

.5. თუ XVII საუკუნემდე აფხაზეთის მოსახლეობა აბსოლუტურად ქართულია (მეგრულ-ლაზური), ამჟამად აფხაზთა დაახლოებით

80% ქართულ გვარებს ატარებს, მოგვარეები ჰყავთ ქართველთა შორის, ხოლო 12-13% ჩრდილოკავკასიური წარმოშობისაა.

6. ანთროპოლოგიურად აფხაზები უპირისპირდებიან ადიღეურ-აბაზურ ეთნიკურ წრეს და იმეორებენ დასავლურ ქართულ (ძირითადად მეგრულ) ანთროპოლოგიურ ტიპს.

ისტორიულად აფხაზეთი იყო სამეგრელოსათვის ზურგის მხარე, ანუ პირიქითა სამეგრელო.

7. XIX საუკუნის დასასრულამდე აფსუურ ენაზე არ არსებობს არც ერთი წერილობითი დოკუმენტი. ყველა ისტორიული წყარო ქართულია.

ამდენად, იმის მტკიცება, რომ აფსუებს 2000 წლის სახელმწიფოს ისტორია უნდა ჰქონოდათ, მტკნარი სიცრუეა. არ შეიძლება უდამწერლობო და უანბანო ხალხს სახელმწიფო და დიდი კულტურა ჰქონოდათ. ასეთი რამ მსოფლიო ისტორიამ არ იცის.

თუ აფხაზეთში სახელმწიფოებრივი წყობა არსებობდა, ეს იყო ქართული, თავისი სულიერი და მატერიალური კულტურით.

აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა. საქართველოს ისტორიული, ლიტერატურული, კულტურული თუ სხვა წყაროები იტყობინებიან, რომ აფხაზეთი ყოველთვის ავსებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. გიორგი მერჩულეს ნაწარმოებში "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", რომელიც დაწერილია 951 წელს, აფხაზეთი მოიხსენიება, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ქართველი მეფეები, როგორც წესი, ზამთარს აფხაზეთში ატარებდნენ. ამის შესახებ იტყობინება გიორგი მცირე თავის ნაწარმოებში "ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა", რომელიც 1066-1068 წლებშია დაწერილი. "...გავემგზავროთ აფხაზეთში, რათა იქ დავისვენოთ და გადავიზამთროთ". ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთს გიორგი მთაწმინდელი ჩვენ ქვეყანად მოიხსენიებს.

შემდგომი პერიოდის ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებშიც აფხაზეთი, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი განიხილება. ცნობილი ქართველი მეცნიერი, გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი, თავის ნაშრომში "საქართველოს სამეფო ისტორია" განიხილავს აფხაზეთს, როგორც საქართველოს ულამაზეს კუთხეს და საქართველოს მიწა-წყალს.

აღსანიშნავია, რომ აფხაზთა სამეფო, რომელიც მე-8-10 საუკუნეებში ძლიერ სახელმწიფოდ მოიხსენიებოდა და აერთიანებდა მთელ დასავლეთ საქართველოს, ზოგიერთ ცრუ-ისტორიკოსებს მისცა საფუძველი ჩაეთვალათ, რომ საუბარია მხოლოდ აფხაზთა სახელმწიფოზე. სინამდვილეში კი, ამ პერიოდში აფხაზთა საერის-

თავო ნამდვილად გაძლიერდა და როგორც საქართველოს ერთ-ერთმა კუთხემ გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ქართველები შეადგენდნენ და როგორც აღნიშნავს აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე: "აფხაზთა სამეფო თავისი კულტურით, ისტორიით, დამწერლობით, ენით, სახელმწიფო პოლიტიკით იყო ქართული სახელმწიფო, ხოლო აფხაზი მეფეები — ქართველები. მე-17 საუკუნის დასასრულს საქართველოს მოსახლეობა 600 ათას აღემატებოდა. 1770 წელს ჩატარებული აღწერის შესაბამისად ქართლ-კახეთში ცხოვრობდა 220 ათასი, იმერეთში — 119 ათასი, სამეგრელოში — 75 ათასი, აფხაზეთში — 64 ათასი ადამიანი და არა 600 ათასი, როგორც ამას ზოგიერთი აფხაზი ისტორიკოსი, შალვა ინალ-იფა, აშება, ლაკობა და სხვები ამტკიცებდნენ.

1867 წელს აფხაზეთის მოსახლეობა არ აღემატებოდა 65 ათას ადამიანს. აქედან 22 ათასი სამურზაყანოს მაცხოვრებელი იყო, ამიტომ, თვით აფხაზები 43 ათას შეადგენდნენ. 1926 წელს ჩატარებული აღწერის შესაბამისად აფხაზეთში ცხოვრობდა 67 ათასი ადამიანი — ქართველი და 56 ათასი აფხაზი. 1979 წელს ჩატარებული აღწერის შედეგად აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზთა რაოდენობა ხელოვნურად გაადიდეს და დააფიქსირეს აფხაზეთში მათი რაოდენობა 91 ათასი ადამიანით, ამავე დროს აფხაზეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობა ხელოვნურად შეამცირეს და 240 ათასამდე დაიყვანეს. სინამდვილეში კი აფხაზეთში მცხოვრებ 530 ათას მაცხოვრებლიდან 280 ათასს შეადგენდა ქართული მოსახლეობა, 70 ათასს — აფხაზი, 75 ათასს — სომეხი, 70 ათასს — რუსი, 35 ათასს — ბერძენი, ესტონელი, ებრაელი, თურქი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი.

საქართველოს არსებობის ყველა ეტაპზე აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. რიგ შემთხვევაში ქართულ სახელმწიფოებრიობაში აფხაზეთი სამეფოდ შედიოდა, რიგ შემთხვევაში სამთავრობოდ, რესპუბლიკად, ავტონომიურ რესპუბლიკად, მაგრამ ყოველთვის ქართველი და აფხაზი ხალხი ერთად იბრძოდნენ საქართველოს სახელმწიფოს გასამტკიცებლად, ცხოვრობდნენ და ლოცულობდნენ ქართულ ენაზე, ერთობლივად ქმნიდნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, კულტურას. და სამწუხაროა, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, რომელიც ქრისტეშობამდე საუკუნეებში იკარგება, მოხდა ისეთი ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი, რომელიც წარმოუდგენელი და მიუღებელი იყო ქართველ-აფხაზთა ურთიერთობაში. ქართველ-აფხაზთა ურთიერთობების განხილვა ცალკე საკითხია და მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ისტორიკოსები კიდევ არაერთხელ დაუბრუნდებიან ამ მეტად საჭირო თემას და დაწერენ იმას, რაც ისტორიულად მოყვება ქართველი და აფხაზი ხალხის თანაცხოვრებას.

II. აფხაზეთში პოლიტიკური სიტუაციის გართულება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით

აფხაზეთის პროვოკაციული ომი გარკვეული ძალების მიერ დიდი ხნის წინათ იყო ჩაფიქრებული. აფხაზეთი იმ საცეცხლე წერტილად იყო მიჩნეული, რომელსაც საჭირო შემთხვევაში ძირშივე უნდა აღეკვეთა ქართველთა მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. 1989 წელს, თითქმის ყველგან ერთდროულად დაიწყო ეროვნებათშორისი კონფლიქტები: დნესტრისპირეთში, ყარაბახში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ნიშანდობლივია, რომ ოთხივე ამბოხებული რეგიონის ლიდერები შედიოდნენ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს "სოიუზის" ფრაქციაში და ბუნებრივია, იმართებოდნენ ცენტრიდან. ომის დაწყებამდე არძინბას არაერთხელ განუცხადებია: — "ომს თავად ქართველებს დავანყებინებთ. ქართველების წინააღმდეგ ომი აფხაზ მცირე ერს აღიარებას მოუტანს, ხოლო მსოფლიო აღიარება კი დამოუკიდებლობას".

აფხაზეთის კონფლიქტი ანუ აფხაზეთის ომი, მართალია ფაქტობრივად 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო, მაგრამ საამისო ნიადაგი აფხაზმა სეპარატისტებმა მრავალი ათეული წლის წინათ მოამზადეს. მე შეგახსენებთ მხოლოდ რამდენიმე მოვლენას აფხაზეთის პოლიტიკური ცხოვრებიდან — მოვლენათა იმ გრძელი ჯაჭვიდან, რამაც ლოგიკურად განაპირობა აფხაზეთში ომის დაწყება და რაშიც უმძიმესი ბრალი თავისი ხალხისა და კაცობრიობის წინაშე აფხაზ სეპარატისტებს, მათ ფარულ, თუ ახლა უკვე ცნობილ დამქაშებსა და პოლიტიკურ ლიდერებს ედებათ.

თითქმის 40 წლის წინათ, 1957 წელს, აფხაზმა ინტელიგენციამ მაშინდელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს მიმართა თხოვნით, რათა გადაეწყვიტათ საკითხი აფხაზეთის რუსეთის იურისდიქციაში გადასვლის შესახებ; ათი წლის შემდეგ, 1967 წელს, აფხაზმა საზოგადოებრიობამ მეორედ მიმართა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს და სხვა ინსტანციებს წინადადებით, რათა აფხაზეთი გასულიყო საქართველოს სსრ შემადგენლობიდან; ათი წლის შემდეგ, 1978 წელს, სსრკ ახალი კონსტიტუციისა და შესაბამისად საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით კვლავ დგება საკითხი აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლისა და მისთვის საქართველოს შემადგენლობიდან თავისუფლად გასვლის უფლების მინიჭების შესახებ; ათი წლის შემდეგ, 1988 წელს, აფხაზებმა კვლევ მიმართეს რუსეთის ხელმძღვანელობას,

რათა შეცვლილიყო აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი და მისთვის მიეცათ საკავშირო რესპუბლიკის უფლებამოსილებანი; იგივე მოთხოვნა განმეორდა 1989 წლის 18 მარტს სოფელ ლიხნში აიდგილარას მიერ მოწყობილ მიტინგზე, ხოლო 1989 წლის 15 ივლისს აფხაზებმა მოაწყვეს აფხაზ-ქართველთა შეტაკება ეროვნებათშორის ნიადაგზე და ამით პირველი, უკვე შეიარაღებული გამოსვლა დააფიქსირეს საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ შეტაკებაში დაიღუპა 17, დაიჭრა 448 ადამიანი.

თუკი თვალს გადავავლებთ უფრო ადრინდელ ეტაპებსაც, აქაც ვნახავთ აფხაზთა სეპარატისტულ განწყობებს და ისევე, როგორც დღეს, მათ მფარველებსა და დამქაშებს.

ომი აფხაზეთში პრაქტიკულად გარდაუვალი იყო. აფხაზეთის ქართველობამ რამდენიმეჯერ შეძლო მისი აცილება, მაგრამ ეტყობა ყველა ძალისხმევა არ გამოდგა შედეგიანი. აფხაზთა მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი — პოლიტიკური თუ ძალისმიერი, ამწიფებდა და აახლოებდა შეიარაღებულ კონფლიქტს. მაშინ, 15-16 ივლისის მოვლენებისას, მთელი საქართველო დადგა ფეხზე, მეორე დღესვე მდინარე ღალიძგას 50 ათასზე მეტი ქართველი მოადგა, ჩვენშიც იყო მებრძოლი სული, ყველანი ერთიანი ვიყავით და ამიტომ მტერმა ვერ დაგვამარცხა. სამწუხაროდ, მაშინ ჩვენ არავინ დაგვისჯია, არავითარი დასკვნები არ გაგვიკეთებია, მტერმა კი ყველაფრის გათვალისწინებით დაიწყო მზადება მეორე შემოტევისათვის, რომელიც 1993 წლის შემოდგომაზე წარმატებით დაასრულა. ამ დროისათვის აფხაზებმა ვითომდაც გაძარცვეს რუსეთის შეიარაღებული ძალების საწყობები და ხელთ იგდეს 1000-ზე მეტი ავტომატი, 275 ტყვიამფრქვევი, ბეტეერები, საბრძოლო მასალები. აფხაზეთში სისტემატიურად ტარდებოდა ადიღეის, ყაბარდოს, ჩეჩნეთის კულტურის დღეები, რომელთა დელეგაციებში 500-600 ახალგაზრდა იმყოფებოდა, ფესტივალის შემდეგ ისინი რჩებოდნენ გუდაუთაში და იწყებდნენ მზადებას საბრძოლო მოქმედებისათვის. ჩამოდიან ბოევიკები ყარაბაღიდან, დნესტრისპირეთიდან, თურქეთიდან, სირიიდან, რუსეთის სხვადასხვა რეგიონებიდან, შემოაქვთ საბრძოლო ტექნიკა, დაიწყო მოსახლეობის მობილიზაცია. სვეტლანა ჩერვონაია თავის წიგნში აღწერს არძინბასთან საუბარს: — "ჩვენ კარგა ხანია მზადა ვართ. ჩვენ ნახევარ საათში შეგვიძლია თოფის ქვეშ დავაყენოთ მთელი მოსახლეობა. ჩვენი არსენალები სავსეა თქვენი, რუსული იარაღით და ნებისმიერ მომენტში შეგვიძლია მივიღეთ ორჯერ, სამჯერ მეტი, ჩვენ დავუკავშირდით კაზაკობას. მალე აქ დაიწყება ომი და მარტო კავკასია კი არა, მთელი რუსეთი ამოქმედდება". ამ დროს კი ჩვენი ქართველობა ეწევა უდარდელ ცხოვრებას. ნაწი-

ლი ყოფილი პრეზიდენტის მხარეზეა, ნაწილი მის ოპოზიციაშია, ნაწილს საერთოდ არ აინტერესებს არც ერთი, არც მეორე, ნაწილიც — სეპარატისტებთან თანამშრომლობს. თბილისს ჩვენ ფიზიკურად მონყვეტილი ვართ, იქ სამოქალაქო ომია, ჩვენთვის არავის სცალია. დაიწყო ქართველთა დისკრიმინაცია. ჩვენი ბოლო სესიები ტარდებოდა აფხაზ და დაქირავებულ ბოევიკთა გარემოცვაში, ავტომატების ქვეშ, ჩვენ გვაიძულებდნენ ხელი აგვეწია საქართველოდან გამოსვლაზე, ყოველივე ქართულის უარყოფაზე. გვთხოვდნენ და გვაშინებდნენ კიდევაც.

ბევრს ახსოვს ხრუშჩოვის ცნობილი გამონათქვამი: "თუკი ქართველები ჭკუით არ მოიქცევიან — მათ აფხაზებს შევასევ". ეს ლოზუნგი დღემდე მუშაობს და სამწუხაროდ, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოს შემოუსიეს არა მარტო აფხაზები, არამედ სხვა ეროვნებისა და რჯულის კაციჭამიები.

ომამდელი აფხაზეთი უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიო პრაქტიკაში. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა ომამდე 530 ათას ადამიანს შეადგენდა. აქედან 300 ათასი, ანუ 56,6% ქართული მოსახლეობა იყო. აფხაზები — 80 ათასი, ანუ 16%, დანარჩენ მოსახლეობას შეადგენდნენ: რუსები, სომხები, ბერძნები, ესტონელები, ებრაელები. მიუსედავად ასეთი დიდი სხვაობისა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 15 დეპუტატიდან 8 აფხაზი იყო, 8 პირველი მდივნის პოსტიდან — 5 აფხაზი გახლდათ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 140 დეპუტატიდან — 57 აფხაზი, ქართველი — 53, აფხაზეთის 12 მინისტრიდან — 8 აფხაზი ეროვნების იყო. აფხაზებს ჰქონდათ უნივერსიტეტი, საკუთარი ტელევიზია, თეატრი, სკოლები, გამომცემლობები, ჟურნალ-გაზეთები, თავისი უმაღლესი საბჭო და უმაღლესი სასამართლო, აფხაზი ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში შეღავათებით ირიცხებოდნენ. ერთი სიტყვით ის, რაც ჰქონდათ ომამდე აფხაზებს, დღეს, რუსეთის ფედერაციის ბევრ სუბიექტს, მათ შორის რესპუბლიკებსაც არ გააჩნიათ.

1991 წელს აფხაზეთში ჩატარდა აპარტეიდული არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი წინააღმდეგი იყო ასეთი საარჩევნო კანონის, იმ დროს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე — ეს არჩევნები მაინც ჩატარდა. გარდა იმისა, რომ კანონში წინასწარ ჩაიდო დეპუტატთა ეროვნული შემადგენლობა — 28 აფხაზი, 26 ქართველი, 11 სხვა ეროვნებისა, საარჩევნო ოლქები წინასწარ იყო დაყოფილი აფხაზთა სასარგებლოდ. მაგალითისათვის, იქ, სადაც მე ვიყრიდი კენჭს — გაგრის 28 საარჩევნო ოლქში, ამომრჩეველთა რაოდენობა 15

ათასს აღემატებოდა, ხოლო იქ, სადაც კენჭს იყრიდა აფხაზი, მაგალითისათვის კაპბა — ტყვარჩელის საარჩევნო ოლქი — ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 2 ათას ადამიანს და ასე იყო თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში. საარჩევნო კანონში ისიც იყო ჩადებული, რომ ნებისმიერი საკონსტიტუციო ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ ხმების 2\3 რაოდენობით, რაც უხეშად დარღვეულია და აქედან გამომდინარე, ყველა დადგენილება, მათ შორის მიღებული აფხაზთა კონსტიტუცია, არაკანონიერია და კანონსაწინააღმდეგო. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო საარჩევნო პრაქტიკაშიც აფხაზეთის 1991 წლის არჩევნებიც უპრეცედენტო შემთხვევაა.

აფხაზი სეპარატისტები შესაშური ოპერატიულობით აკეთებდნენ თავიანთ ბინძ·ურ საქმეს, როგორც ბრძოლის ველზე, ასევე იდეოლოგიურ ფრონტზე. პირველ რიგში მათ დაიწყეს დანაშაულებრივი იდეოლოგიური ბაზის ჩამოყალიბება. აფხაზური ფაშიზმის იდეოლოგიური მანქანა, ქართველთა დისკრედიტაციის მიზნით, წიგნს წიგნზე აქვეყნებს მსოფლიო ხალხთა სხვადასხვა ენებზე, ცრუმეცნიერული ნაშრომების, გამოკვლევების, ფალსიფიცირებული განცხადებებისა და სხვადასხვა დოკუმენტების გამოყენებით ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ამახინჯებენ ფაქტებს, ავრცელებენ ცრუ მონაჭორს, ხელოვნურად ქმნიან ვითომდა საქართველოს აგრესიას პატარა, საცოდავი ერის წინაშე. სკოლის დაწყებით კლასებში ისწავლება ახლად შეთხზული, ვითომდა ერთ დროს დამოუკიდებელი აფხაზთა სახელმწიფოს ისტორია, წლების განმავლობაში იქმნება მტრის ხატი ქართველთა სახით, აფხაზების ყველა უბედურებაში თბილისს და ქართველებს ადანაშაულებენ. ის ტრაგედიაც, რომელიც 100 წლის წინათ მოხდა აფხაზეთში და ისტორიაში შესულია, როგორც მუჰაჯირობა, თურმე ქართველების მოწყობილი ყოფილა. ქართველთა წინაალმდეგ მებრძოლი აფხაზები ეროვნულ გმირებად არიან მიჩნეული და ყოველივე ამან შექმნა წინაპირობები ანტიქართული იდეოლოგიური ბაზის ჩამოყალიბებაში. შემდეგი ეტაპები იყო რიგი კანონსაწინააღმდეგო აქტებისა და დადგენილებების მიღება, რომლებმაც პრაქტიკულად მოწყვიტეს აფხაზეთი საქართველოს და აკრძალეს საქართველოს იურისდიქციის გავლენა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციიდან გამოყვანილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების კომიტეტი, პროკურატურა, სხვა სამეურნეო თუ საბიუჯეტო ორგანიზაციები. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ ომის დაწყებამდე მიღებულ იქნა დადგენილება 1978 წლის კონსტიტუცი-

ის შეწყვეტისა და 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ, რომლითაც ფაქტიურად გამოცხადდა აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

60-იანი წლებიდან აფხაზეთის ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების მაღალი თანამდებობის და სხვა პირებისაგან ჩამოყალიბდა და მოქმედებდა ექსტრემისტ შეთქმულთა ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების შეზღუდვას და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან აფხაზეთის ძალადობრივი გზით გამოყოფას.

ამ დანაშაულებრივი მიზნების განხორციელების გასაადვილებლად და საერთაშორისო საზოგადოებრიობის შეცდომაში შესაყვანად შეთქმული ექსტრემისტები განზრახ ამახინჯებდნენ და აყალბებდნენ ისტორიის ფაქტებს, მიმართავდნენ პოლიტიკურ ინსინუაციებს, მოვლენების მიკერძოებულ ინტერპრეტაციას, დემაგოგიას, ცილისწამებას, შანტაჟს, ლეგენდებს თხზავენ ქართველთაგან აფხაზეთის ტერიტორიის დაპყრობის, აფხაზური ეთნოსის ჩაგვრის და ფიზიკური განადგურების შესახებ.

სეპარატისტები ათეული წლების განმავლობაში ამკვიდრებდნენ ქართველების და აფხაზების მშვიდობიანი თანაცხოვრების შეუძლებლობის კაცთმოძულე დოქტრინას. მათი საბოლოო გაუცხოების მისაღწევად ერთმანეთს უპირისპირებდნენ აფხაზეთის ავტოქტონურ მკვიდრთ.

სახელმწიფო პოლიტიკად აქციეს ფაშისტური მეთოდებით "თვითგამორკვევის უფლებათა" რეალიზაციისათვის შეიარაღებული ბრძოლა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ძალადობრივი დარღვევა, დემოგრაფიული ვითარების შეცვლა ეთნიკური ჯგუფების განადგურებითა და განდევნით.

ისტორიული ორიენტაციის შესაცვლელად მეზობელ და მეგობარ ხალხებს საქართველოს "მტრის" სახედ უხატავდნენ, რუსეთში ზოგიერთის გულის მოსაგებად ჩვეული ცბიერებით ამტკიცებდნენ, თითქოს აფხაზეთი რუსეთი იყოს, რუსეთს ეკუთვნოდეს მისი მთელი სიმდიდრე. უწინარესად ყოფილი საკავშირო ჯანმრთელობის კერები

***

ჩრდილოეთ კავკასიაში და საზღვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრებ მაჰმადიანებს უნერგავდნენ აზრს, რომ კავკასია ერთიანი და განუყოფელია მუსულმანთათვის, რომ ქართველები ფიზიკურად ანადგურებდნენ აფხაზებს და დაუყოვნებლივ მოითხოვდნენ დახმარებას.

აფხაზეთში მოთარეშე ექსპრეზიდენტის ბანდფორმირებებს აქეზებდნენ საქართველოს ხელისუფლების დასამხობად, დივერსიების და ტერორისტული აქტების მოსაწყობად, ქვეყანაში განუკითხაობის და ქაოსის დასამკვიდრებლად.

მთელი სიმძლავრით ამოქმედდა ექსტრემისტების პროპაგანდისტული მანქანა. შესაშური სისწრაფით დაიწყო მოძრაობა — "დაჩაგრული" აფხაზების გადარჩენისათვის მატერიალური სახსრების და იარაღის შესაგროვებლად, უცხო ქვეყნებში მკვლელთა შენაერთების ჩამოსაყალიბებლად და საქართველოში გამოსაგზავნად.

ზოგიერთი სახელმწიფოს საინფორმაციო საშუალებებმა, რომლებიც ვერ გაერკვნენ მოვლენათა რეალურ ვითარებაში, აშკარად პროაფხაზური პროპაგანდა გააჩაღეს "საბრალო და დევნილი" აფხაზების დასაცავად, "კაციჭამია" ქართველების წინააღმდეგ ლაშქრობის მოსაწყობად.

ფაშისტური სეპარატიზმის იდეოლოგიის და მისი პრაქტიკული ნაბიჯების გამოსააშკარავებლად გამოძიებით მოპოვებული და დაფიქსირებულია არაერთი დოკუმენტური მტკიცება აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის რბევის და გენოციდის შესახებ.

სეპარატისტებმა 1990 წლის გაზაფხულიდან განსაკუთრებით გააააქტიურეს ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

1990 წლის 23 აგვისტოს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ.კობახიამ, დეპუტატმა დ.აჯინჯალმა და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში გააყალბეს ისტორიული ფაქტები, ამტკიცებდნენ, თითქოს საქართველოსთან აფხაზეთს არასოდეს არაფერი აკავშირებდა და დასაბამი მისცეს სიძულვილის ახალ ტალღას, რამაც უდიდესი ვნება მიაყენა ქართველთა და აფხაზთა ტრადიციულ ძმობას და მეგობრობას.

სეპატარისტები თავიანთ ბინძურ საქმიანობას სოციალური აფეთქებისა და სისხლისმღვრელი შეტაკების პროვოცირებისთვის მეთოდურად და გეგმაზომიერად წარმართავდნენ ორგანიზაცია "აიდგილარას" მეშვეობით, რომლის საპროგრამო დებულებაა აფხაზეთის და მთლიანად საქართველოს ისტორიის, აფხაზურ-ქართული ურთიერთობის გაყალბება.

საქმის მასალებით დამაჯერებლად არის წარმოდგენილი "აიდგილარას" და სხვა ორგანიზებული გაერთიანებების ლიდერთა ანტისახელმწიფოებრივ ქმედობათა მთელი სპექტრი. ისინი განუწყვეტლივ და გამიზნულად ავრცელებდნენ განცხადებებს, მოწოდებებს, ე.წ. "მეცნიერულ გამოკვლევებს", რომელთა ძირითადი მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის დარღვევა.

ასეთი "ნაშრომების" გამოცემა საშური გულმოდგინებით ხორციელ-დება ამჟამადაც. მაგალითად, "აფხაზია ხრონიკა ნეობიავლენნოი ვოინი", "ბელაია კნიგა აფხაზიი", "აფხაზსკაია ტრაგედია" და ა.შ.

აფხაზი სეპარატისტები ამტკიცებენ, თითქოს ქართველები ესწ-რაფვიან აფხაზთა "გაქართველებას", თითქოს აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს ვშემადგენელი ნაწილი, რომ იგი მრავალი საუკუნის განმავლობაში დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწი-ფო იყო.

როგორც სეპარატისტთა იდეოლოგი ალექსი გოგუა ამტკიცებს, ქართველებმა "ინტელიგენციის განადგურებით ან დაუძლურებით, აფხაზური სკოლების დახურვით, აფხაზეთის საუკეთესო მინებზე საქართველოს სხვა რაიონებიდან 200 000-ზე მეტი კაცის ჩასახლე-ბით, რამაც მკვიდრი მოსახლეობის ნაწილის ასიმილაცია გამოიწვია, კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ხალხი და მისი კულ-ტურა შოკურ მდგომარეობაში ჩააგდო, მისი ავტონომია კი ფარატი-ნა ქაღალდად იქცა". ამასვე ამტკიცებენ ბ.თარბა, ბ.სალარია და სხვები. ძირითადად ამას ეფუძნება განხეთქილების და საქართვე-ლოსგან აფხაზეთის ჩამოცილების მთელი პოლიტიკა.

შანტაჟსა და დემაგოგიაზე დახელოვნებულ სეპარატისტ-თა ამ ცილისწამებებს რატომღაც სათანადო პრინციპული რე-აგირება ყოველთვის არ მოყვებოდა. ამით თავსგასულები, როგორც მართებულად დაასკვნის მეცნიერებათა დოქტორი ქალბატონი სვეტლანა ჩერვონნაია, "1990-1992 წლებში აფხა-ზეთის ნაციონალისტური პრესის ფურცლებზე, ავტონომიურ-რესპუბლიკურ რადიოსა და ტელევიზიაში, უნივერსიტეტის აუდიტორიებიდან, ინსტიტუტებსა და სკოლებში მასობრივ ცნობიერებაში განუწყვეტლივ ქმნიდნენ მტრის ხატს — სა-ქართველოს. მტერი იყო ნებისმიერი ქართველი, უახლოესი მეზობლის ჩათვლით. მას ბრალდებოდა აფხაზი ხალხის ყველა უბედურება, ცხოვრების დონის დაცემა, სადღესასწაულო რიტმის დარღვევა, ძირითადი საქონლის ნაკლებობა, ესაოდა მან ყველაფერი ხელში ჩაიგდო, ყველაფერი გაძარცვაო. იგი აფხაზებს სისხლს სწოვს და მის დოვლათს თბილისისკენ ეზი-დებაო. რიგითი ქართველი ბანდიტად, მკვლელად, ულმობელ სადისტად იხატებოდა". მტრობისა და შუღლის ასეთი იდეების პროპაგანდამ შვა ქართველების მიმართ ფიზიოლოგიური სი-ძულვილის იდეოლოგია, რომელმაც აფხაზეთის ქართველო-ბის ტრაგედია მოამზადა.

აფხაზ ეთნოკრატებს ჯგუფური ინტერესების საერთო ეროვნულად წარმოჩენა და სეპარატიზმისთვის ბაზის შექმნა

საგრძნობლად გაუიოლა ზოგიერთ ქართველ ურა პატრიოტთა მოქმედებამაც, როცა პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლაში არ ერიდებოდნენ ქვეყნის არაქართველი მოსახლეობის მისამართით შეურაცხმყოფელ გამოთქმებსა და მუქარას.

არცთუ იშვიათად ამ გამოხდომათა ობიექტი აფხაზებიც იყვნენ, აყენებდნენ რა საეჭვოდ საქართველოში მათ უფლებებსა და ავტოქტონურობას. ამ დაუფიქრებელმა და გაუმართლებელმა ქცევამ სეპარატისტთა ძალისხმევით, წლების განმავლობაში აფხაზებსა და ქართველებს შორის ჩანერგილი გარკვეული უნდობლობა გააღრმავა.

* * *

ყოველი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი გარანტირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ აღიარებულ საზღვრებში, რაც ცხადია, საქართველოზეც ვრცელდება. სსრ კავშირის დაშლისას ალმა-ათის 1991 წლის 21 დეკემბრის შეთანხმებით საქართველოს, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკების, სუვერენიტეტი დადასტურდა მის კუთვნილ მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჩათვლით. ეს აფხაზმა ეთნოკრატებმაც კარგად იციან. ამიტომაც საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის დანაშაულებრივი გზით გამოყოფის სასარგებლოდ სამართლებრივ არგუმენტაციას სეპარატისტებმა კვაზი საკანონმდებლო წანამძღვრები და ყალბი იურიდიული მექანიზმი დაუდეს საფუძვლად.

1990 წლის 25 აგვისტოს ავტონომიურ რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია "აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ", რომელმაც ცალმხრივად, საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების საწინააღმდეგოდ, ფაქტობრივად გამოაცხადა საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლა. ამ დეკლარაციით "აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოში უზრუნველყოფილია იმ ერის ინსტიტუციური წარმომადგენლობა, რომელმაც სახელწოდება მისცა რესპუბლიკას".

შეთქმულ სეპარატისტთა მიზნები აშკარად გამოიკვეთა 1990 წლის 26 აგვისტოს დადგენილებაში "აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ".

მათვე "მშვიდობიანი ხერხებით" დემოგრაფიული ვითარების შეცვლის და აფხაზების მექანიკური მატების მისაღწევად მიიღეს დისკრიმინაციული დადგენილებები "აფხაზეთის ასსრ-ში მოქალაქეთა ჩაწერის შეზღუდვის" შემდგომ "გვარის

და ეროვნული კუთვნილების შეცვლის შესახებ", რითაც პრაქტიკულად რეგიონში აკრძალეს არა აფხაზი პირების ცხოვრება. ეს დადგენილება არ ვრცელდებოდა შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეებზე, რომლებიც ყოველგვარი დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე თავს აფხაზებად აცხადებდნენ. მათ მუდმივად ჩაწერას სეპარატისტები უაღრესად გამარტივებული და საიდუმლო წესით ახდენდნენ.

მარტო 1992 წლის მარტში სოხუმში, ოჩამჩირეში და სხვა რაიონებში მუდმივად ცხოვრების ნება დართეს სირიიდან, იორდანიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ 100 პირს. უკანონო ჩაწერის პრაქტიკა შემდგომშიც ინტენსიურად მიმდინარეობდა, ხოლო კონფლიქტის დაწყების შემდეგ ფართო მასშტაბებით გაგრძელდა. სეპარატისტები გადამთიელ "ბოევიკებს" ჯილდოდ აფხაზეთში ცხოვრებისა და თარეშის უფლებას აძლევდნენ.

დიახ, ისინი სეპარატისტთა დანაშაულებრივი მიზნების რეალიზაციისათვის ჩამოყვანილი "ბოევიკები" იყვნენ.

* * *

დადგინდა, რომ მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში, კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეში, შორეულ აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, სადაც ხელმძღვანელობის გარკვეულმა ნაწილმა აგრესიული სეპარატიზმი მოღვანეობის მთავარ მიმართულებად აირჩია, შეიქმნა ე.წ. მოხალისეთა შემკრები პუნქტები, საიდანაც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ ბანდიტები და მკვლელები, მათ შორის ბევრი ავღანეთის ომში გაწვრთნილი.

დაქირავებულ მკვლელთა შეკრებასა და დაფინანსებაში განსაკუთრებით დიდია მთიელ ხალხთა კონფედერაციის ლიდერის მუსა შანიბოვის "დამსახურება". ეს ის მუსა შანიბოვია, რომელმაც საქართველო და მისი დედაქალაქი უბედურების ზონად, ტერორისტული და დივერსიული აქტების პოლიგონად გამოაცხადა. ჩვენი თხოვნით მის მიმართ რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, მაგრამ შემდეგ შეწყვიტა, დანაშაული ვერ დავუდასტურეთო. აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეების, უმწეო ქალების, მოხუცებისა და ბავშვების სადისტური ხოცვა-წამებით გამოიჩინეს თავი შამილ ბასაევმა და მისმა ხროვამ, რომლის დაუსჯელობა საკმაოდ ძვირად დაუჯდათ თვით რუსეთს და მის მოქალაქეებს. ფაქტია რომ რუსეთის სა-

მართალდამცავმა ორგანოებმა დაქირავებული მკვლელების, მათ შორის შ.ბასაევის მიერ საქართველოში ჩადენილ უმძიმეს დანაშაულობებს ჯეროვანი შეფასება არ მისცეს, ჩვენი არაერთგზისი თხოვნის მიუხედავად.

დადასტურებულია, რომ აფხაზეთის კონფლიქტში ე.წ. მოხალისეები სეპარატისტთა შეიარაღებული ბანდების თითქმის 60 პროცენტს შეადგენდნენ.

და ბოლოს დასკვნითი ეტაპი — ავტონომიური რესპუბლიკის დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლა, ამ მიზნით გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ჩატარება.

III. სამხედრო კონფლიქტი და ქართველთა გენოციდი აფხაზეთში

აფხაზურ მხარესთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, 1992 წლის 10 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღო დადგენილება, რათა აფხაზეთში, თავისივე ქვეყნის ტერიტორიაზე შესულიყო თავდაცვის სამინისტროს გარკვეული კონტინგენტი, კონტროლის ქვეშ აეყვანა საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები, აღეკვეთა მათზე ყაჩაღობისა და ტვირთების დატაცების ფაქტები, რომლებიც მძიმე ვალად ედებოდა საქართველოს რესპუბლიკას, ამავე დროს აღედგინა წესრიგი, განეიარაღებინა უკანონო შეიარაღებული ფორმირებები. 1992 წლის 14 აგვისტოს, როდესაც ამ შენაერთებმა გადაკვეთეს გალისა და ოჩამჩირეს ადმინისტრაციული საზღვარი, აფხაზთა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს. ამით მათ მოაწყვეს ომის პროვოცირება, დაიღვარა სისხლი, გაჩნდა პირველი მსხვერპლი. ომი ფაქტობრივად დაიწყო არძინბას რადიოგამოსვლით საყოველთაო მობილიზაციის შესახებ. უხერხულია ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ის, რაც მოხდა აფხაზეთში, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად შეფასდეს. იქ იყო ომი, სამამულო ომი, სადაც ჩვენ, ქართველები ვიცავდით ჩვენს ქვეყანას, სამშობლოს, ჩვენს ქართულ ქალაქებსა და სოფლებს. ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი სამხედრო შენაერთები. ოკუპანთა უმრავლესობა რუსეთის მოქალაქენი გახლდათ: ჩეჩნები, ადიღები, ყაბარდოელები, კაზაკები, რუსები, თათრები. საომარ მოქმედებებში მონაწილეობას ღებულობდნენ ბოევიკები: სირიიდან, იორდანიიდან, თურქეთიდან, დნესტრისპირეთიდან, კარაბახიდან, ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა სომხური "ბაგრამიანის" სახელობის ბატალიონი. გარდა დაქირავებული ბოევიკებისა, ჩვენ გვებრძოდნენ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს რეგულარული სამხედრო შენაერთები, მათ შორის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 345 სადესანტო პოლკი, გუდაუთაში დისლოცირებული სამხედრო-საჰაერო ძალების ესკადრილია, ოჩამჩირესა და გუმისტაზე დისლოცირებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ბატალიონები. ბრძოლების დროს მოწინააღმდეგეს ეხმარებოდნენ სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები, რომლებიც ზღვიდან ბომბავდნენ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს. ჩვენი ქალაქებისა და სოფლების აღების გეგმები მტკიცდებოდა მოსკოვში, გენერალურ შტაბში. საინფორმაციო, იდეოლოგიური საქმიანობა ჩვენს წინააღმდეგ წარმოებდა რუსეთის ტელევიზიის და რადიოს, პრესის

მეშვეობით, რომელიც ყალბ, პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა. ომის მსვლელობისას აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოგზავნილი იყო სამხედრო მზვერავები, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის საზიანო საქმიანობას ეწეოდნენ. და ბოლოს, აფხაზეთის ოკუპაციის შემდგომ ამ ძალებმა დაირქვეს სამშვიდობო ქვეგანაყოფების სახელი და დღეს ამ რანგში იცავენ მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს.

ბუნებრივია, ასეთი ძალის წინაშე ბრძოლა მძიმე და რთულ ხასიათს ატარებდა, მითუმეტეს, რომ საქართველოს ამ პერიოდისთვის არ ჰყავდა რეგულარული სამხედრო შენაერთები. ბრძოლებში მონაწილეობას ღებულობდნენ უფრო მეტად მოხალისეები, პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული ასალგაზრდები, მათ სწამდათ, რომ ისინი იცავდნენ თავიანთ სამშობლოს, კაცურად იხდიან ვალს ქვეყნის წინაშე და დღეს ჩვენ ყველამ უნდა მოვიხაროთ ქედი მათი ხსოვნის წინაშე, ვინც თავი დადო სამშობლოსათვის.

მიუხედავად ძალთა ასეთი განსხვავებისა, მტერმა მაინც ვერ შეძლო აფხაზეთის დაპყრობა ისე, როგორც ეს დაგეგმილი იყო ომის დასაწყისში. არც ერთი დასახლებული პუნქტი, ქალაქი თუ სოფელი, მოწინააღმდეგემ ბრძოლით ვერ აიღო. მის შემდეგომ, რაც ქართულმა მხარემ, სრული კონტროლის ქვეშ აიღო გაგრა, სოხუმი, ოჩამჩირე, მტერმა რამდენიმე შემოტევა წამოიწყო გაგრის მიმართულებით. ბრძოლები მიმდინარეობდა კოლხიდის, ბზიფის, ალახაძის მისადგომებთან, მაგრამ უშედეგოდ. ქართულმა მხარემ შაძლო გაგრის დაცვა და მტერს არ დაუტოვა არავითარი შანსი ამ ქალაქის აღებისა. ამიტომაც ჩვენს წინააღმდეგ სხვა, მუხანათური გზა აირჩიეს. 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულების შესაბამისად, გაგრიდან გაყვანილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები, ქალაქში დარჩა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობა, ვითომდაც დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება, მაგრამ მტერმა მუხანათურად დაარღვია ხელშეკრულება და მთელი სახედრო პოტენციალი შეუტია გაგრას. ანალოგიური მოხდა სოხუმშიც, 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულების შემდგომ, რასაც მოყვა სოხუმის და მთელი აფსაზეთის დაკარგვა. სამხედრო კონფლიქტი აფხაზეთში გრძელდებოდა 14 თვე. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ გვქონდა როგორც წარმატებები, ასევე დამარცხებები, მაგრამ ეს ცალკე თემაა, რომელიც ყოველდღიურ ანალიზსა და შეფასებას მოითხოვს. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია დღეს ის, რომ მსოფლიო საზოგადოებამ გაიგოს და გაითავისოს ის საშინელება, ვანდალიზმი, რომელიც მოჰყვა აფხაზეთის დაცემას, საშიშროება იმ სეპარატიზმისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა და დღესაც აქვს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ხალხმა, კაცობრიობამ უნდა იცოდეს იმ

ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შესახებ, რომელიც ჩადენილი იყო მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის მიმართ.

უკვე ცნობილი ასობით კარგად შეიარაღებული დანაშაულებრივი ჯგუფების წევრებმა, ქალაქებში და სოფლებში შეჭრისას დაიწყეს ქართველთა ხოცვა-ულეტა, ცოცხალ პირებს ჰკვეთდნენ თავს, ხელფეხს, აჭრიდნენ სხეულის სხვადასხვა ნაწილებს, ყურებს, ცხვირს, სასქესო ორგანოებს, ქალებს ძუძუების კერტებს, რომლებიც მკვლელებს მძივებივით ასხმული ეკიდათ ყელზე, როგორც სამკაული. მშობლებისა და ქმრების თვალწინ აუპატიურებდნენ მათ შვილებსა და ცოლებს, მათ შორის მცირეწლოვნებსაც. დაუნდობლად ჯერ იძარცვებოდა და შემდეგ წვავდნენ ქართველთა სახლებს, ქონებას. ამასთან ერთად აფხაზი ბოევიკები და მათ მიერ დაქირავებული მკვლელები ქართველი ეროვნების პირებს შეგნებულად უქმნიდნენ აუტანელ პირობებს, რათა მათ დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილი. განსაკუთრებული სისასტიკით მოკლულია მწერლები, მეცნიერ-მუშაკნი, პედაგოგები, ექიმები, ჟურნალისტები, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები და ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები.

სეპარატისტთა მიერ სპეციალურად ორგანიზებული დამსჯელთა ჯგუფები აფხაზეთის თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში ჩადიოდნენ ანალოგიურ ბარბაროსულ ქმედებებს, რის შედეგადაც ბევრი ქართველი დღესაც უგზო-უკვლოდაა დაკარგული, მათი ადგილსამყოფელი უცნობია.

სტადიონზე და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე ადგილი ჰქონდა ჯგუფურ დასვრეტას. მაგალითად, გაგრის ზონაში დაფიქსირებულია ათასობით უდანაშაულო, უიარაღო ქართველის მკვლელობის ფაქტები.

აქვე აღვნიშნავ ქართველი ეროვნების მიმართ უსაზღვრო სიძულვილისა და განსაკუთრებული სისასტიკის გამოვლინების შემდეგ მაგალითებს: გულრიფშის რაიონის სოფელ ბაღმარანში მიმდინარე წელს აფხაზი სეპარატისტების მიერ კომენდანტად დანიშნულ იქნა ეროვნებით აფხაზი ვინმე ოთარ ჩამაგუა, რომელიც თავისი ქართველი ცოლით ცხოვრობდა ამ სოფელში. თავისი სამსახურებრივი "მოღვაწეობა" ჩამაგუამ დაიწყო იმით, რომ მოკლა თავისი ცოლი, ერთადერთი შვილი, სიდედრი, ხოლო შემდეგ პირადად ფიზიკურად მოსპო ათეულობით ქართველი მშვიდობიანი მოქალაქე.

ვინმე აფხაზი იური კვარჩია ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიუბჟაში 1995 წლის 17 სექტემბერს თავისი ბოევიკებით თავს დაესხა ერთ-ერთ ოჯახს და მშობლების თვალწინ მათი ორი მცირეწლოვანი შვილი რკინის ღობეზე ჩამოაცვეს, რის შემდეგ მშობლები წაიყვანეს

გაურკვეველი მიმართულებით, ხოლო ქალები — მისი ძმის ცოლი და მათი სტუმარი დახვრიტეს იქვე, საკუთარ ეზოში.

სოფელ ახალდაბაში შემოსვლისას აფხაზებმა დახოცეს მრავალი მცირენლოვანი და ახალგაზრდა ქალი, ვინც გადარჩა, სტადიონზე შერეკეს და რიგრიგობით ხვრეტდნენ. ექვსი წლის ზევით ბავშვები გააუპატიურეს, მოაჭრეს თავები, ზოგიერთს კი ცოცხალს ჩამოაცვეს მანქანის საბურავები და ცეცხლი წაუკიდეს. ასე მოკლეს მათ 60-მდე ქალი, ხოლო სულ სოფელში დახოცეს ოთხასამდე მშვიდობიანი მოსახლე.

აბლანურხვასა და ტამიშს შუა აღმოაჩინეს 44 ქართველი მეომრის გვამი, რომლებიც რიგრიგობით იყვნენ დაწოლილი მიწაზე და მათ გვამებს თავებზე ტანკი ჰქონდათ გადავლილი.

ქალაქ სოხუმში ოთხასზე მეტი ქართველი მშვიდობიანი მოსახლე მიიყვანეს პარკ "კურჩენკოში" და დახვრიტეს.

ქ.სოხუმში ექსტრემისტებმა დაიჭირეს ახალგაზრდა ქართველი გოგო, გააუპატიურეს, გახერხეს შუაზე და გვამზე დააწერეს რუსულად: — "როგორც ეს გვამი არ ეაერთიანდება, ისე აფხაზეთი არ გაუერთიანდება საქართველოს". ანალოგიურ ფაქტს ადგილი ჰქონდა ქალაქ გაგრაშიც.

სოფელ ფშაფში სომხებისაგან შემდგარმა ბანდამ მოკლა ექიმები ძმები სიჭინავები. ფეხმძიმე ქალი, გვარად პაპავა, დაკიდეს ხეზე, გაუჭრეს მუცელი, დაასხეს ბენზინი და დანვეს.

აფხაზეთში გენოციდი ხორციელდებოდა ეტაპობრივად — 1992 წლის 14 აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე გუდაუთის ზონაში, იმავე წლის 2 ოქტომბრიდან 1993 წლის 16 სექტემბრამდე გაგრის ზონაში, ხოლო 1993 წლის 16 სექტემბრიდან სოხუმის, ოჩამჩირის, გალის რაიონებში და ტყვარჩელში.

ქართველი მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენების გეგმაზომიერი გენოციდი, განსაკუთრებით ინტელექტუალების, მედიკოსების, პედაგოგების, ჟურნალისტების, მწერლების, ხელოვნების მუშაკთა მასობრივი მკვლელობებით გამოიხატა.

სოხუმში ბრძოლის შეწყვეტის შემდეგ, 27 სექტემბერს აწამეს და დახვრიტეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა და მთავრობის სხვა წარმომადგენლები, რიგითი თანამშრომლები, ქალაქის მერი გ.გაბესკირია, პოლიციის უფროსი რაფავა, ქ.გაგრაში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გაგრის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე მიხეილ ჯინჭარაძე და ათეულობით სხვა თანამდებობის პირი.

სეპარატისტებმა დახოცეს ასზე მეტი ხელოვნების მუშაკი, მათ შორის ქალები, სადისტურად მოკლეს 37 წლის ნატო მილორავა, გუ-

მისთის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი, დრამატული თეატრის მსახიობები ვასილ ჩხეიძე, თეიმურაზ ჟვანია, გურამ გელოვანი, სოხუმის დასვენებისა და კულტურის პარკის დირექტორი იური დავითაია და მრავალი სხვა.

80-ზე მეტი მედიცინის მუშაკი დახოცეს, რომელთა უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ: ვერა ყოლბაია, თინა წოწორია, ნინო შონია, არიადნა შელია, ოლია ტყებუჩავა, მზია ბესელია და სხვები. ექიმის მოვალეობის შესრულებისას გამოასალმეს სიცოცხლეს ზელიმხან დანელია, გია სიჭინავა, რაზმიკ ისპექჩიანი, გიორგი ბარკალაია, შალვა გვაზავა და სხვები. გულრიფშის რაიონში, ტუბსაავადმყოფოს ეზოში ახლობლების თვალწინ დახვრიტეს მთავარი ექიმი შოთა ჯღლამაძე. ასე გაუსნორდნენ რესპუბლიკის საავადმყოფოს ექიმს პეტრე სიჭინავასაც.

სეპარატისტებმა და მათმა დაქირავებულებმა მოკლეს 200-ზე მეტი პედაგოგი, მათ შორის 60-ზე მეტი ქალი, ვენერა სიგუა, იულია გოგოხია, ჭითანავა, ცაცა ძანძავა, ეკა ფილფანი, ლია აქუბარდია, ძაბული ფაჩულია, გულნარა ჩალაძე, ციალა კუპრავა, ნაზი საჯაია, მინა არაბიძე, ჟუჟუნა მაღლაფერიძე, ლუბა ჩემია, ეთერ ბაკურაძე, ნატო შენგელია, ლუბა ღვინჯილია, ლილი ჭკადუა, ელვირა კვიტატიანი, ციური შარია, ნინო ვეკუა, ნათელა თოდუა, მარგო გაგუა, ლუარა გერგაია, ქეთო კვარაცხელია, თინა ქარჩავა და სხვები.

ქართველობის გამო დახოცეს გულრიფშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მამული აფხაზავა, ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელი ტრისტან გაბელია, სამშენებლო სამმართველოს უფროსი ლეონტი ჯალაღონია, აფხაზეთის პროკურორის უფროსი თანაშემწე ვლადიმერ ყალიჩავა, გამომძიებელი ემზარ ლაშხია, სუბტროპიკული ინსტიტუტის კათედრის გამგე იური ნორაკიძე, ამავე ინსტიტუტის დოცენტი კარლო ჩხენკელი, სოხუმის მთავარი არქიტექტორი თამაზ თავაძე და სხვები.

სეპარატისტები და მათი მოკავშირეები ამასაც არ დასჯერდნენ, მათი გეგმა აფხაზეთში ქართული ეთნოსის მასობრივ მოსპობას ან გაძევებას ითვალისწინებდა.

ქართველთა მასობრივი ულეტა-გაძევება დაიწყო სოხუმის და გუდაუთის რაიონებში, სადაც მოკალათდნენ სეპარატისტთა ბანდები კონფლიქტის დაწყების პირველ ეტაპზე ეშერიდან, ლიხნიდან, არადუდან, ახალსოფლიდან, გააძევეს 6000 ქართველი, დანარჩენს სასტიკად გაუსწორდნენ, 18 დეკემბერს ახალსოფელში დახვრიტეს 17 ქართველი, 70 წლის ინდიკო გრძელიძეს ამოაჭრეს გული, ელგუჯა მაისურაძე ხალხის თვალწინ ცულით დაჩეხეს, 66 წლის ნიკოლოზ ქვაბზიანიძე ტრაქტორს გამოაბეს და ნამებით მოკლეს.

გაგრის დაცემის შემდეგ სეპარატისტთა ბანდებმა დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევა, წამება, ხოცვა, ბინების და ქონების ძარცვა და განადგურება. თვითმხილველთა ჩვენებით, 6 ოქტომბერს ამ ბანდებმა დაბა ლესელიძეში აწამეს და ელექტრობოძებზე ჩამოახრჩვეს 50 ქართველი.

განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ გაგრის, სალხინოს, განთიადის, ბიჭვინთის, ლიძავას, ალახაძის, ბზიფის მოსახლეობას, ისინი განურჩევლად კლავდნენ მოხუცებს, ქალებს, უმწეო ბავშვებს. საჯაროდ დახვრიტეს მშვიდობიანი მაცხოვრებლები ა.ქომეთიანი, ჯ.კუჭუხიძე, ნ.ჩარკვიანი, ს.ბობოხიძე, გ.გვაზავა და სხვები.

შვილების და მეუღლის თვალწინ მოკლეს ი.ბუალავა, მეუღლის თვალწინ დახვრიტეს ბ.კუცია, ქალიშვილის თვალწინ ვ.ბენიძე, მამის თვალნინ გ.ღლონტი, 66 წლის პედაგოგი ვასილ სამხარაძე ქუჩაში შეიპყრეს და საჯაროდ თავი მოჰკვეთეს. ჭირისუფლებს მისი დაკრძალვის ნება არ დართეს და ქუჩაში დაგდებული მიცვალებული ცხოველებმა დაგლიჯეს. გიორგი ფიფიას ჯერ ყურები დააჭრეს, შემდეგ ცხვირი და ასე ამოხადეს სული.

გენოციდის მრავალრიცხოვან მსხვერპლთა და მოწმეთა ჩვენებებიდან კიდევ რამდენიმე მაგალითს მოგახსენებთ. ნ. ხარაიშვილი.

ქ.გაგრაში ქართველთა წამების, მათი ქონების ძარცვის და განადგურებისას, სეპარატისტები სახალხოდ გაიძახოდნენ, გაგრა-ლესელიძის ზონაში ყველა ქართველი უნდა გაწყდეს, ქართული წიგნები, კულტურის ძეგლები, ქართველთა სახლები დაიწვასო. იმუქრებოდნენ, რომ დახვრეტდნენ ყველა იმ არაქართველს, რომელიც დაეხმარებოდა და შეიფარებდა დევნილებს.

თ.ბარკალაია: აფხაზებმა თვალწინ მოუკლეს ბიძაშვილი, ლიძაველი მშვიდობიანი მოსახლე ცეზარ ქველიძე, რომელსაც ჯერ მოაჭრეს ცხვირი, ყური და ფეხი მუხლის ქვემოთ, შემდეგ დახვრიტეს. წამების ანალოგიური მეთოდით მოკლეს 70 წლის ანდრო სიმონიშვილი.

მ.მგელაძე: მთელი ღამე შიშველი, მუხლამდე წყალში ჰყავდათ ჩაყენებული, შემდეგ კი ჩეჩენმა "ბოევიკმა" დანით გადაუჭრა მარცხენა ხელი, მისი სისხლით აავსო ჭიქა და შესთავაზა დაელია, როდესაც უარი მიიღო, ცინიკურად ბოდიში მოუხადა შემდეგი სიტყვებით: "ძმაო, არ გეწყინოთ, მე შენს სისხლს კი არა, ყველა ქართველის სისხლს ვსვამო" და დალია, თან დაემუქრა, თუ აფხაზეთის ტერიტორიას არ დატოვებდა ყველა ქართველი, მათი გაწყვეტა გარდაუვალიაო.

ქ.აბრამიშვილი: მისი ქმარი სოფ. იფნარში წამებით მოკლეს, ჯერ

დანით დაუსერეს სახე და ტანი, შემდეგ კი ცოცხალი თხრილში ჩააგდეს და ტრაქტორით მიაყარეს მიწა.

ა.ჯაფარიძე: აფხაზი სეპარატისტები სახლში შეუვარდნენ, დანა გამოუსვეს ყელში, საწამებლად ცოცხლად დატოვეს. ასე აშინებდნენ ქართველებს, რომ გაქცეულიყვნენ, მანამდე სოფელში სახალხოდ დახვრიტეს თვრამეტი კაცი: ნოდარ და ავთანდილ მაისაშვილები, გივი, ელგუჯა, თამაზი და გელა მაისურაძეები, გოგია და გია გოქსაძეები, ჯემალ და ჟორა გოგობერიშვილები, კონია ნადირაშვილი, ინდიკო გრძელიძე, გურამ კობეშავიძე, ვიქტორ მეშვილდიშვილი, ვიქტორ და ომარ კერესელიძეები, მარდია გოგლიძე და შოთა ჩიკვილაძე.

ხ.ჯაიანი: 25 სექტემბერს იგი ყანაში დაატყვევეს აფხაზმა ბანდიტებმა. მიწა ამოათხრევინეს და მის თვალწინ დახოცილთა სამი გვამი დაამარხვინეს, შემდეგ უმოწყალოდ სცემეს, წაიყვანეს გუდაუთაში და 25 დღის განმავლობაში სხვა ქართველებთან ერთად იყო ტყვეთა ბანაკში, სადაც სისტემატურად აწამებდნენ, ბოლოს დანით მოაჭრეს ყური.

ნ.ჯანაშია: 1992 წლის 2 ოქტომბერს მის ეზოში სეპარატისტებმა დახვრიტეს ძმები ვახტანგ და გელა შონიები, ხოლო ვახტანგის ცოლი საჯაროდ გააუპატიურეს.

გაგრის საკურორტო სამმართველოს უფროსის ალექსი ბარამიას ოჯახს აფხაზი და ჩეჩენი "ბოევიკები" დაესხნენ. სახლში ალექსი ბარამიას გარდა იყვნენ მისი მეუღლე ნათელა, ქალიშვილი ცისია და ოთხი სტუმარი. თავდამსხმელებმა მათ თვალწინ აბაზანაში გაიყვანეს ცისია ბარამია, ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი მოჰკვეთეს თავი. ალექსი ბარამიას მეუღლეც ანამეს და თავი მოჰკვეთეს, შემდეგ კი ა.ბარამია და მისი სტუმრებიც დახვრიტეს.

ნ.ბაღიშვილი: მათი სოფელი სეპარატისტებმა დაიპყრეს, მშვიდობიანი მოსახლეობის უმეტესობა, ქალები და ბავშვები ტყვედ ნაასხეს. აფხაზმა და ჩეჩენმა "ბოევიკებმა" მშობლების, ძმების და სოფლის მოსახლეობის თვალწინ საჯაროდ და გაუკუღმართებული ფორმებით გააუპატიურეს 12-16 წლის 25 გოგონა. უმწეო ბავშვებზე ჯგუფურად სქესობრივი ძალადობა მთელი კვირა გრძელდებოდა. დადგენილია ფაქტები, რომ გაუპატიურების შემდეგ მცირეწლოვან გოგონებს ძუძუს კერტები დააჭრეს. ეშერაში დატყვევებული ძმების, მამის და მამამთილის თვალწინ გააუპატიურეს ელისო მირცხულავა და მისი რძალი, ეროვნებით რუსი. სასოწარკვეთილმა ელისომ თავი აიფეთქა.

კოდორელ ალე კანკავას თავი მოჰკვეთეს და სარზე ჩამოაცვეს.

ბიჭვინთაში თენგიზ ბენდინეიშვილის თვალწინ ჯგუფურად გაა-

უპატიურეს მისი და მზია, შემდეგ ორთავე დახვრიტეს.

ახალსოფლელი ალისა მარდალეიშვილი ავტომატის ჯერით იმისთვის დაცხრილეს, რომ შინ შაქარი არ აღმოაჩნდა. ხშირად ასეთ საშინელებებს არძინბას და მისი ხროვის ფაშისტური იდეებით გონებადაბინდული 18-20 წლის აფხაზი ჭაბუკები სჩადიოდნენ, რომლებსაც სამკლაურებზე ეწერათ "სმერტ გრუზინამ".

1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების შემდეგ სეპარატისტებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედება ქართველი მოსახლეობის მიმართ. ბზიფში მათ ჩამოართვეს პასპორტები და თვითნებურად ჩაურტყეს ამონერის შტამპები. მოკვლის მუქარით აიძულეს ისინი ხელი მოეწერათ თხოვნაზე, თითქოს საკუთარი სურვილით ტოვებდნენ დაბას.

1993 წლის 9 აგვისტოს სეპარატისტებმა ქართველი მოსახლეობა ფიზიკური განადგურების მუქარით გადაიყვანეს ადლერის აეროპორტში, სადაც დაურიგეს საცხოვრებელი ადგილებიდან ამონერის დოკუმენტები. ამ გზით მარტო ბზიფიდან დეპორტირებული იქნა 250 ოჯახი — 3000 პირი. ბზიფელი კ.კიკვილაძე, მისი და და 12 წლის ქალიშვილი დახვრიტეს იმის გამო, რომ უარი განაცხადეს მშობლიური ადგილიდან აყრაზე. ამ საბაბით დახვრიტეს სხვა პირებიც.

1992 წლის ოქტომბერში, გაგრის ოკუპაციის შემდგომ, ქალაქის სტადიონზე და მასობრივი შეკრების სხვა ადგილებში ჯგუფურად დახვრიტეს ქართველები, შემდეგ კი გვამებს თავი მოკვეთეს.

დაფიქსირებულია მშვიდობიანი მოსახლეობის განსაკუთრებული სისასტიკით გაულეტის ასობით სხვა ფაქტი. ასეთი ფაქტები გამოავლინა, გამოიკვლია და თავის მოხსენებაში ასახა გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო კომისიამ.

დადგენილია, რომ სადისტური მოქმედების შედეგად გაგრაში ცოცხლად დარჩენილმა 17 ათასმა ქართველმა უპირობოდ დატოვა სახლები, ქონება და გადაიხვენა.

თვეების მანძილზე ბომბავდნენ სეპარატისტები სოხუმსა და ოჩამჩირეს. მარტო სოხუმში ჩამოაგდეს ათიათასობით ბომბი, დაიხარჯა 1 000 ვაგონი ჭურვი, რასაც შეეწირა 400-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე. როგორც წესი, დაბომბვა ხდებოდა ღამით, როდესაც ქალაქს ეძინა. საგანგებოდ არჩევდნენ და ბომბავდნენ საცხოვრებელ უბნებს.

ისარგებლეს რა იმით, რომ 1993 წლის 27 ივლისს მიღწეული შეთანხმების თანახმად საქართველოს მთავრობამ სოხუმიდან და ოჩამჩირიდან გაიყვანა მძიმე ტექნიკა და არტილერია, სეპარატის-

ტებმა 16 სექტემბერს დაიწყეს სოხუმის და ოჩამჩირის მასირებული შტურმი.

განუწყვეტლივ ბომბავდნენ სოხუმის აეროპორტს, სადაც ათასობით ქართველი, რუსი და სხვა ეროვნების მოქალაქე ელოდებოდა თვითმფრინავს. პირდაპირი დამიზნებით ჩამოაგდეს რამდენიმე სამოქალაქო თვითმფრინავი, რასაც ასობით ადამიანი შეეწირა. დაიღუპა 50-ზე მეტი ქალი და მცირეწლოვანი ბავშვი.

ქ.სოხუმში მცხოვრებ 119180 პირიდან 49460 იყო ქართველი. დღეის მდგომარეობით მათი აბსოლუტური უმრავლესობა მოკვლის მუქარით განდევნილია ქალაქიდან. სოხუმის დაპყრობის შემდეგ სეპარატისტებმა ნამებით დახოცეს 1000-ზე მეტი ქართველი, მათ შორის მოხუცები, ინვალიდები და მცირეწლოვანი ბავშვები.

სადისტური წამების შემდეგ დახვრიტეს სოხუმელები — ცოლქმარი ვაჟა და ლამარა რუხაიები, მშობლების თვალწინ — ახლომხედველი, დაბადებით ინვალიდი მიშა კვანტალიანი, შვილების თვალწინ — დები ნათელა და ნელი ყოლბაიები, 80 წლის დ.ბერულავა და მისი შვილობილი რუსი ი.ტიურინი, ეს უკანასკნელი კი იმისათვის, რომ უმწეო მოხუცს გამოესარჩლა. დედის თვალწინ ჭ.ბობოხიძე. ნანა მათეშაშვილი, დახვრეტამდე საჯაროდ გააუპატიურეს. მოკლეს გენერალი ა.ქომოშვილი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე პ.სააკიანი და ასობით სხვა პირი. ახალგაზრდა პედაგოგი ციური გოგავა აფხაზმა მეგობრებმა და მეზობლებმა შეიფარეს. იგი ეზოში წყლის ონკანთან შეიცვნეს "ბოევიკებმა", ჯერ ცინიკურად შეურაცხყვეს მისი პიროვნული ღირსება, შემდეგ უბრძანეს "ძაღლო გაიქეცი", ნაბიჯის გადადგმისთანავე დახვრიტეს.

იქვე ახლოს, მეთორმეტე საშუალო სკოლასთან, ლუდხანის წინ აფხაზი და კაზაკი "ბოევიკები" ქართველთა მოკვეთილ თავებს ფეხით აბურთავებდნენ და ხარხარებდნენ.

სოხუმელები როინ შუბლაძე და გურამ კვაშილავა სეპარატისტებმა საკუთარ ბინებში ავტომატის ჯერით დაცხრილეს, შემდეგ ორთავეს მკლავებზე და ფეხებზე ხორცი ააჭრეს და იატაკზე დაყარეს, როინ შუბლაძის თავზარდაცემული მეუღლის კითხვაზე, რატომ ჩაიდინეს ასეთი ბარბაროსობა, უპასუხეს, თუ აფხაზეთს არ დატოვებენ, ყველა ქართველს ასე გავუსწორდებითო.

სეპარატისტებმა დაანგრიეს ქართველთა ასობით საცხოვრებელი სახლი, რათა უკან დაბრუნების საშუალება და ხალისი მოესპოთ მათთვის.

გენოციდის პოლიტიკა განსაკუთრებით ფართო მასშტაბით განახორციელეს გალის რაიონში, რომელიც ძირითადად ქართველებით იყო დასახლებული. 96 ათასი მცხოვრებიდან 97 პროცენტი ქარ-

თველი იყო. უნდა ითქვას, რომ ამ რაიონის მოსახლეობას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია. 29 სექტემბერს ოკუპანტებმა გალი ყოვლად უომრად დაიპყრეს, რის შემდეგაც მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ ხოცვა-ულეტას შეუდგნენ.

1994 წლის თებერვლიდან აფხაზი სეპარატისტები არაერთხელ დაესხნენ თავს რაიონის სოფლებს, არბევდნენ, ხოცავდნენ და ატერორებდნენ მოსახლეობას, მიწასთან გაასწორეს ათობით სოფელი. გადაბუგეს და დაანგრიეს 5 727 სახლი, 40 საშუალო სკოლა, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების 95 ობიექტი, გარეკეს 25 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. საკონსერვო და მეფრინველეობის ფაბრიკებიდან, ხელსაწყოების და მანქანათსამშენებლო ქარხნების საწარმოებიდან მთლიანად გაიტაცეს უცხოური ძვირადღირებული დანადგარმოწყობილობანი, არსებითად გააპარტახეს რაიონის ეკონომიკა.

ოქუმში 710 საცხოვრებელი სახლიდან დაწვეს ან დაანგრიეს 610; წამებით მოკლეს 65 პირი, აქედან 20 ქალი. 90 წლის ვენერა ანთია, 55 წლის ნელი გერგაია, 81 წლის ვერა გუნია, 67 წლის ალმა ლაცუზბაია, 56 წლის ნათელა მელია, 22-24 წლის დები ნინო და ნატო პოლიტაევები ჯერ ხალხის თვალწინ გააუპატიურეს, შემდეგ კი დახვრიტეს.

ქალაქ გალში 1040 სახლი დაანგრიეს, 128 ადამიანი, მათ შორის 20 ქალი, წამებით მოკლეს.

აჩიგვარაში გადაწვეს და დაანგრიეს 411 სახლი, დახვრიტეს 70, აქედან 17 ქალი. გუდავაში 429 სახლი დაწვეს, 55 ადამიანი, აქედან 14 ქალი, წამებით მოკლეს.

ასეთივე უბედურება დაატეხეს თავს მზიურს, ქვემო და ზემო ბარღებს, რეფო-შეშელეთს, ოტობაიას, ნაბაკევს, სხვა დაბა სოფლებს.

ცოცხლად დაწვეს ხანდაზმული უმწეო ქალები ჟ.წურწუმია, ვ.ჩარგაზია, ჭ.ჭაავა, შ.ჯოლოგუა, გ.განგია, ლ.ქვაჩახია, რ.ზანთარია, ბ.მალიშევა, ვ.თარბაია და სხვ.

ეს ბარბაროსობა დღემდე გრძელდება. ტერორით, დაშინებით ცდილობდნენ სეპარატისტები არ დაუშვან ლტოლვილთა დაბრუნება, მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე მრავალი შეთანხმება და დოკუმენტია ხელმოწერილი, ამდენი ბოროტებისათვის არავინ დასჯილა. კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანის შემდეგაც. ამის დამადასტურებელი ფაქტები გამოძიებით მრავლად არის მოპოვებული. მაგალითად:

მანანა ლემონჯავამ (სოფ. რეფი) აჩვენა, რომ გალის რაიონში სამშვიდობო ძალების შეყვანის შემდეგ მამა და ძმა ტერენტი და ემ-

ზარ ლემონჯავები დაბრუნდნენ სოფელში და ცხოვრობდნენ გადარჩენილ სამზარეულოში.

1994 წლის 26 ოქტომბერს სეპარატისტები თავს დაესხნენ სოფელს, გადაბუგეს დარჩენილი სახლები, მამამისი და ძმა უმიზეზოდ დახვრიტეს დედის — თინა ლემონჯავას თვალწინ, გვამები კი დაწვეს.

1995 წლის 10 მარტს ღუმურიშში, ზემო და ქვემო ბარღებში, ოტობაიასა და სხვა სოფლებში შეიჭრნენ სამხედრო ფორმაში ჩაცმული აფხაზი და სომეხი ბოევიკები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა აფხაზეთის ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრი გივი აგრბა. მათ დაარბიეს და გაძარცვეს ქართველთა ოჯახები, ადგილზე დახვრიტეს ყველა, ვინც კი რაიმე უკმაყოფილება გამოთქვა მოძალადეთა მიმართ.

გურამ ბაძაღუა (ნაბაკევი): 1995 წლის 12 მარტს სოფელში შეიჭრნენ აფხაზთა და სომეხთა შეიარაღებული ჯგუფები. ის, მისი ძმა — ჯუმბერი, თანასოფლელები მამუკა კვარაცხელია, დათო ნარმანია, გურამ ხარჩილავა და რევაზ ჩერქეზია დააკავეს და მიიყვანეს ჩაის პლანტაციებში, სადაც დახვრიტეს ხარჩილავა და ჩერქეზია. დარჩენილები აიყვანეს ქვემო ბარღებში. იქ ნარმანია და კვარაცხელიაც დახოცეს.

1995 წლის 2 მაისს სეპარატისტების ბანდა პირველ გალში დაესხა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის ვლადიმერ მალაზონიას ოჯახს და პირწმინდად დააყაჩაღეს. მისი მეზობელი ვანო ინჯია კი იმისათვის დახვრიტეს, რომ "უარი განაცხადა ნაყაჩაღარი ნივთების გადატანაზე. 6 მაისს ბოევიკები კვლავ დაესხნენ მალაზონიას, ამჯერად დარჩენილი მცირეოდენი კვების პროდუქტების გასატაცებლად, რა დროსაც სადისტურად მოკლეს მალაზონია.

12 მაისს სოფ. ლოკუხონაში აფხაზმა მილიციელებმა უმიზეზოდ დახვრიტეს დაკრძალვაზე მისული ტრისტან და გენო გვაჯავები, გოდერძი პაპავა და მურმან ციკოლია.

28 ივლისს პირველ გალში ნუგზარ ასლანდია აფხაზმა მილიციელებმა სასტიკად სცემეს, შემდეგ ფეხებში დაჭრეს იმისათვის, რომ ქოხში ჩხრეკვისას ღომის ზედმეტი ულუფა უპოვეს.

30 ივლისს ღუმურიშში მურმან წულაიას მილიციის ფორმიანი აფხაზები დაესხნენ თავს. მოსთხოვეს თოფი. როცა ვერ იპოვეს, დაკავეს და იზოლატორში სასტიკად ანამეს, ცოცხალს თავის სკალპი ააჭრეს, გაეროს და სამშვიდობო ძალების ჩარევის შემდეგ 3 აგვისტოს წულაია იხსნეს და ზუგდიდის საავადმყოფოში მოათავსეს.

გრძელია აფხაზ სეპარატისტთა მიერ ჩადენილი გენოციდის სისხლიანი სტატისტიკა. წინასწარ შემუშავებული ტერორის და მისი

დრაკონული მეთოდებით ამოქმედების ის სისტემა, რომელმაც მშვიდობიან ქართველ მოსახლეობას წინააღმდეგობის გაწევის ყოველგვარი უნარი და შესაძლებლობა წაართვა.

გარდა ამისა, სეპარატისტების და მათი თანამზრახველების მიერ ქალაქების და დასახლებული პუნქტების სისტემატური დაბომბვის, საცხოვრებელი სახლების ნგრევის, ძარცვა-ყაჩაღობის გამო ათასობით რუსი, სომეხი, ბერძენი იძულებული გახდა დაეტოვებინათ მშობლიური კერა და საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილებად ქცეულიყვნენ.

ბუნებრივია, ყველა იმ საზარელ და ვანდალურ ფაქტებზე საუბარი, რომლებიც კაციჭამია სეპარატისტებმა ჩაიდინეს მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინაშე, შეუძლებელია, მაგრამ მინდა მოვიყვანო აფხაზეთის რაიონების მიხედვით, მხოლოდ და მხოლოდ ათეული მაგალითები, იმ ტრაგედიისა, რომელიც აფხაზეთში დატრიალდა.

გაგრის ზონა

ბარამია ალექსანდრე, ილარიონის ძე 78 წლის — დახვრიტეს ცოლთან, შვილთან და სამ სტუმართან ერთად 1992 წლის 2 ოქტომბერს.ცოლი — 70 წლის ექიმი და ქალიშვილი 30 წლის ციციპ, დახვრიტეს სასტიკი წამების შემდეგ.

ბენდიაშვილი ვერა, 80 წლის. ს.ლიძავას მცხოვრები. ჩაკლეს საწოლში მეუღლესთან 89 წლის ვლადიმერ ბენდიაშვილთან ერთად.

ბანძელაძე დავითი, ს. წალკოტის მცხოვრები — დახვრიტეს ცოლთან და 7 მეზობელთან ერთად, რევაზ ახვლედიანის ეზოში 1992 წლის 9 ოქტომბერს.

ბენიძე ნუცა, 70 წლის ს.ალახაძიდან — ნაჯახით გაუპეს თავი 1994 წლის 8 ივლისს.

ბერაია ალექსანდრე, 65 წლის, გაგრის მცხოვრები — დახვრიტეს ცოლთან — მაყვალასთან ერთად.

ბოხაშვილი ჯემალი, 40 წლის, ბიჭვინთის მცხოვრები — მეზობელმა ჩიჩბა ვალერამ გამოიყვანა სახლიდან ღამის 3 საათზე და დახვრიტა ეზოში.

გადელია ვაჟა, 52 წლის, ს.ალახაძე — დახვრიტეს მეუღლესთან მანანასთან ერთად.

გასვიანი ჯემალი, 38 წლის დაბა ბიჭვინთა — 1992 წლის 28 მარტს ორ გუდაუთელ ძმასთან ერთად გაიყვანეს სახლიდან და დახვრიტეს.

გეგეჭკორი გიორგი, ქ.გაგრა — დახვრიტეს ჭიშკართან.

გოროზია ლავრენტი, ქ.გაგრა — 1993 წლის 20 მარტს გამოიყვანეს სახლიდან, მეუღლესთან ინჯგია ციალასთან ერთად და სასტიკი წამების შემდეგ მხეცურად მოკლეს, მოაჭრეს თავები და ჩააგდეს ორმოში. სახლ-კარი გადანვეს.

გოშაძე გუგული, ს.ლიძავა — მიაბეს საწოლს ქალიშვილთან ნაირასთან ერთად და ორივენი მხეცურად მოკლეს სასტიკი წამების შემდეგ.

გულბანი ნაზი, 60 წლის ს.ბზიფი — დახვრიტეს 1993 წლის 16 იანვარს მეზობელ ქალთან ნადარეიშვილ ნაზისთან ერთად.

დანელია ბეგლარ ფრიდონის ძე, 35 წლის ს.ლიძავა — დახვრიტეს ძმებთან მამუკა და რევაზისთან და 60 წლის დედასთან — გუგულისთან ერთად.

ჯოხაძე იზა, ს.ლიძავა — სასტიკად აწამეს, ჯერ მოაჭრეს მკერდი, შემდეგ კი დახვრიტეს.

ზამბახიძე ევგენი არჩილის ძე, გაგრა — დახვრიტეს სახლში ცოლთან და შვილთან ერთად.

ზარქუა გივი, 45 წლის ს.კოლხიდა — დახვრიტეს 16 წლის ძმის-

შვილთან ურუშაძესთან ერთად, მესაზღვრეების დასასვენებელ სახლთან.

ზურაბიანი რამინი ივანეს ძე, 80 წლის დაბა განთიადიდან — დახვრიტეს და ჩაწვეს თავის სახლში 1992 წლის ოქტომბერში.

ქაჯაია ლერი, ქ.გაგრა — ჩაკლეს სასტიკი წამების შემდეგ. თვითმხილველების ნაამბობით, მისი მოჭრილი თავით თამაშობდნენ ფეხბურთს.

აბრამიშვილი გიორგი ალექსის ძე, 40 წლის ბზიფი, ინვალიდი. 1992 წლის 20 ოქტომბერს დაჭრეს, შემდეგ კი სასტიკად ნაწამები ცოცხლად იქნა დამარხული შერშელიას მიერ.

ადამია გრიგოლი სევერიანეს ძე, 65 წლის — სახლიდან გაიყვანეს 16 წლის ვაჟთან იგორთან ერთად და წამების შემდეგ ორივენი დახვრიტეს.

აკობია აქვსენტი, 8 წლის ქ.გაგრა — დახვრიტეს საკუთარ ეზოში.

ალასანია ოლღა ანდროს ას, 85 წლის ქ.გაგრა. 1994 წლის 9 ივნისს ჩამოაგდეს მე-5 სართულიდან.

ჯაკობია გული ბაგრატის ასული, 56 წლის. გაგრა — დახვრიტეს მეუღლესთან მელანიშვილ ალექსანდრე ნიკოლაის ძე-სთან (57 წლის) ერთად.

ჯიაძე გურამი, ს.წალკოტი — დახვრიტეს რ.ახვლედიანის ეზოში 8 მეზობელთან ერთად 9.10.92 წ.

ჯიქია დავითი, 62 წლის ს.ალახაძე — 1992 წლის ოქტომბერში იქნა მოკლული მის სიძესთან ტაბატაძე რევაზისთან ერთად.

ძიძიგური ჭიჭიკო, და მისი ძმა ბორია დახვრეტილ იქნა საკუთარ სახლში. თვითმხილველთა გადმოცემით, მათ გვამებს ჯიჯგნიდნენ ღორები.

ძნელაძე ლამარა, 42 წლის ს.ალახაძე — მხეცურად იქნა მოკლული წულაიას სახლში 3 თანასოფლელთან ერთად.

ზამბახიძე ევგენი არჩილის ძე, გაგრა — დახვრეტილ იქნა ოჯახთან — მეუღლე და ვაჟიშვილთან ერთად.

კვარაცხელია ათანასი ალექსანდრეს ძე, 80 წლის, "სიხარული" — 2.03.93 წ. მოკლულ იქნა 79 წლის მეუღლესთან თამარასთან ერთად, რის შედეგადაც ჩაწვეს საკუთარ სახლში.

კიკნაძე გივი, 51 წლის, ბიჭვინთა — მხეცურად იქნა მოკლული დანით, საკუთარ ავტოფარეხში მეზობელ ბენიას მიერ.

კუპრეიშვილი დათიკო, 75 წლის, გაგრა — მოკლულ იქნა მეუღლესთან 65 წლის ზინასთან ერთად საკუთარ სახლში.

კუხალაშვილი იაკობი ლავრენტის ძე, 70 წლის. ს.ხეიანი. მოკლულ იქნა საკუთარ ეზოში, მის გვამს ჯიჯგნიდნენ ღორები.

ლობჟანიძე ციური, 45 წლის. ბიჭვინთა — გამოიყვანეს ღამით

სახლიდან, აწამეს, წაიყვანეს სანაპიროზე, მოაჭრეს მკერდი და მიაყენეს 10 ჭრილობა დანით. 10.09.94 წ. გვამი მოასვენეს მორგში.

ლოლუა ლუბა აქვსენტის ას. გაგრა — დახვრეტილ იქნა დასთან თამარასთან და სიძესთან ერთად.

მამასახლისი დავითი, 33 წ. ს.ლიძავა — აფხაზი ბოევიკები შეუვარდნენ სახლში, წაიყვანეს შტაბში, დააძვრეს კბილები, გადაუმტვრიეს ძვლები და დასახიჩრებული გვამი გადასცეს მამას. მკვლელები: მუკბა, ბარციცი, კაპანაძე.

მანაგაძე გიორგი, გაგრა — ცოცხლად იქნა ჩამწვარი საკუთარ სახლში მეუღლესთან ერთად.

მანუკიანი (ოჯახი 6 სულისაგან შემდგარი), გაგრა — თვითმხილველთა ნაამბობით, ოჯახის წევრები დახვრეტილ იქნა საკუთარ ავტომანქანაში.

მაცაბერიძე ჟუჟუნა, 70 წ. ს.ალახაძე — მხეცურად იქნა მოკლული საკუთარ სახლში ბიძაშვილთან ერთად.

მეტრეველი გიორგი, 28 წ. ს.ლიძავა — აყვანილ იქნა საკუთარი სახლიდან, ძმასთან კარლოსთან ერთად და გუდაუთის გადასახვევთან დახვრიტეს 1992 წ. მკვლელი ვინმე ვანაბა.

მიქიაშვილი ვალენტინა, 57 წ. ს.ალახაძე — დახვრიტეს მეუღლესთან 63 წ. მიქიაშვილ გიორგი ილიას ძესთან ერთად, საკუთარი სახლის ეზოში.

მოგელაძე პარმენი, 85 წლის ს.განთიადი — მხეცურად იქნა მოკლული, მოაჭრეს თავი და ჩაწვეს საკუთარ სახლში.

ნადარეიშვილი ნაზი, 62 წ. ს.ბზიფი — დახვრეტილ იქნა გულბანი ნაზისთან ერთად, სახლის ზღურბლზე 16.01.93 წ.

ნიკოლაიშვილი გოჩა, 25 წ. ს.ლიძავა — მეუღლე იყო თვითმხილველი იმისა, თუ როგორ წაიყვანეს სანაპიროსაკენ, შემოაგლიჯეს ტანისამოსი, შემდეგ დახვრიტეს. მკვლელები: ხიჟბა იური, ამპარი ელდარი და ანთელავა ნური.

ფაილოძე ბაბილინა შალვას ას. 71 წ. ს.კოლხიდა — დახვრეტილია ავტომატის რიგით 2 ოქტომბერს 1992 წ. ვაჟთან ერთად, იქ მყოფი ქალიშვილი დაიჭრა.

პაპავა ჟორა, გაგრა — მხეცურად წამების შემდეგ გამოჭრეს ყელი და მეუღლესთან ერთად დაწვეს.

პაჭკორია ალექსი სევერიანის ძე 55 წ. ს.ხეივანი — მოკლულია 1992 წ. ოქტომბერში შვილთან — ალექსანდრესთან ერთად.

ფერეიშვილი ოლლა პლატონის ას. 74 წ. გაგრა — დახვრეტილია 10-15 აპრილს 1994 წ. მოქალაქე ჯობავასა და ეროვნებით რუს ქალთან ერთად.

ფიფია ნიკო ანდრიას ძე, 15 წ. ს.კოლხიდა — დაჩეხილია ნაჯახით 1992 წ. ოქტომბერში.

სანიკიძე გულადი, 29 წ. ს.კოლხიდა — დახვრიტეს საშინელი წამების შემდეგ, დათხარეს თვალები, მოაჭრეს ხელები და გადაუმტვრიეს ფეხები.

უშვერიძე გოგი ნესტორის ძე, 16 წ. ს.კოლხიდა — მხეცურად არის მოკლული შერშელია სერგეის მიერ მესაზღვრეების სახლთან. მას გამოჭრეს ყელი.

ხვადაგიანი ანგელინა, ს.კოლხიდა — მხეცურად იქნა მოკლული სომეხი ეროვნების მოქალაქისაგან, რომელმაც მას მოჭრა თავი.

ხიზანიშვილი იაშა ვასილის ძე, 70 წ. ს.ლესელიძე — ინვალიდი, სამამულო ომის მონაწილე. დახვრეტილია სახლში 9.10.92 წ. სახლი დანვეს.

ხურცილავა ტარიელი, 64 წ. ს.ხეივანი — მოკლული იქნა მხეცურად. მას მოჭრეს თავი და თავით თამაშობდნენ ფეხბურთს.

ცერცვაძე ცეზარი, 30 წლის. ს.ლიძავა — ღამით აფხაზმა ბოევიკებმა გაიყვანეს სახლიდან, აწამეს სასაფლაოზე და ცოცხალმკვდარი ჩააგდეს საფლავში 1992 წ. ოქტომბერში.

ჩაჩბა ემზარი, ბზიფი, ეროვნებით აფხაზი — მოკლულია იმიტომ, რომ მას სურდა დაემარხა მხეცურად მოკლული და ნამუსახდილი 12 წლის მეზობლის — ჩოფლიანი მარიამის გვამი, 1992 წ. ოქტომბერში.

ჩოფლიანი მარიამი მურმანის ას. 12 წ. ბზიფი. 3.10.92 წელს იქნა ნამუსახდილი 5 ჩეჩენი ბოევიკის მიერ დედისა და მეზობლების თვალწინ, შემდეგ წაყვანილ იქნა უცნობი მიმართულებით. ერთი კვირის თავზე მეზობელმა — ემზარ ჩაჩბამ მოინდომა მისი დამარხვა, მაგრამ ის იქნა მოკლული.

ჩხეტია დათო, 47 წ. გაგრა — მხეცურად იქნა მოკლული ოჯახის 5 წევრთან ერთად.

შარია ზაური, 53 წ. ბიჭვინთა — თავდაპირველად გაყინეს საყინულეში, შემდეგ დაასახიჩრეს, შიშველი გაიყვანეს სანაპიროზე და დაცხრილეს. მეუღლემ დაასაფლავა.

შუშანია გოვენი ვასილის ძე, 45 წ. გაგრა. თვითმხილველის ნაამბობიდან დაცხრილულია საკუთარ სახლში, გვამი იპოვეს სანაგვე ყუთში.

გუდაუთის ზონა

ბარამია ა. ს. ახალი სოფელი — დახვრეტილია ქალიშვილის დაცვის დროს, შეიარაღებულ პირთა ძალადობის მომენტში.

ბზიკაძე ჯემალი, გუდაუთა — მოკლულია მხეცურად წამების შემდეგ დასთან ერთად 1994 წ. ყელგამოჭრილი გვამები ქუჩაში იქნა მიგდებული.

გასვიანი ჯონი ჯოკოს ძე, ახალი სოფელი. 29.09.92 წ. იმყოფებოდა სტუმრად ძმასთან ბიჭვინთაში. აყვანილ იქნა ძმებთან ერთად ჯემალისთან და ჯეირანთან, ბოევიკ გარიკ პანტალიანის მიერ. დაეხვრეტილნი არიან გზის პირას, შტაბთან ახლოს.

ღოღობერიშვილი გიორგი ილიკოს ძე, 55 წ. ახალი სოფელი. გამოიყვანეს ღამით სახლიდან და დახვრიტეს.

გოგრიჭიანი მიხეილი იუსტინეს ძე, ახალი სოფელი. — ლოგინში მეუღლესთან ნათელასთან ერთად იქნა დანით მოკლული. 10.02.93 წ.

გრძელიძე ინდიკო, 70 წ. ახალი სოფელი. — იქნა აყვანილი აფხაზი ბოევიკების მიერ ავტობაზასთან. გადმოცემით თანასოფლელების თვალწინ მოჭრეს თავი და გადააგდეს ქუჩაში.

ჯურხაძე იპოლიტე გერასიმეს ძე, 61 წ. ს.აბგარხუკი. 10.05.93 წ. აფხაზი ბოევიკები ნასვამ მდგომარეობაში შეიჭრნენ სოფელში, დახვრიტეს ჯურხაძე ილიტა, ლომიძე ჯულიეტა და კუხალაშვილი ცუცასთან ერთად.

კილასონია ვენერა ალექსანდრეს ას. 62 წ. გუდაუთა — 25.04.94 წ. გამოიყვანეს სახლიდან, ჯერ ნამუსი ახადეს, შემდეგ მოკლეს.

მაისურაძე ელგუჯა ონოფრეს ძე, 57 წ. ახალი სოფელი — მხეცურად იქნა დაჩეხილი ნაჯახით, თანასოფლელების თვალნინ 11712. 92 წ.

მეტრეველი, — ნამების შემდეგ დახვრეტილ იქნა მთელი ოჯახი — 3 ბავშვთან და მეუღლესთან ერთად.

ნაზარეიშვილი კოტია, 90 წ. ახალი სოფელი — მოკლულია დანით ლოგინში, მეუღლესთან 90 წ. ლარისასთან ერთად.

ფოჩხიძე საშა, 53 წ. ახალი სოფელი — ინვალიდი. დახვრიტეს, შემდეგ მიაყენეს გვამს შეურაცხყოფა.

რეხვიაშვილი ზურაბი, 30 წ. ორჯონიკიძე — აყვანილია ტყვედ რეზო რეხვიაშვილთან ერთად. საშინლად აწამეს (დათხარეს თვალები, მოაჭრეს თითები, დაამახინჯეს და შეურაცხყვეს გვამები).

რუხაია ვაჟა ვიქტორის ძე, 52 წ. ს.ფსირცხა — დახვრიტეს საზარი წამების შემდეგ ავთანდილ (22 წ.) გურის ძე თორიასთან და 2 ნათესავთან ერთად. სახლი დანვეს 27.01.93 წ.

ხოჯანიშვილი ეთერი, 58 წ. გუდაუთა — ნამუსი ახადეს და შემდეგ დახვრიტეს. გვამი აღმოაჩინეს მილში ჩატენილი, 1994 წლის აგვისტოში.

ჩაფლაძე ვალიკო, ს.ოთხარა — მხეცურად დაჩეხეს ქუჩაში თანასოფლელების თვალწინ.

ჩიქვილაძე შუშანა, 70 წ. გუდაუთა — მხეცურად იქნა მოკლული.

ჩიქვილაძე შოთა, 70 წ. ახალი სოფელი — 30.08.92 წ. მხეცურად იქნა დანით მოკლული. დასაფლავებულია ბოსტანში.

ჩიქოვანი ჟორა, 67 წ. გუდაუთა — ჩაქოლილ იქნა წამების შემდეგ 1994 წ, აფხაზი ბოევიკების მიერ.

შმულოვიჩი ალბერტი ვინიამინის ძე, 65 წ. ს.ფსირცხა. 27.01.93 წ. აფხაზი ბოევიკების მიერ სასტიკი წამების შემდეგ იქნა მოკლული 60 წ. მეუღლესთან შმულოვიჩ-რუხაია ლამარა ვიქტორის ასულთან და 4 ნათესავთან ერთად. სახლი გადაწვეს.

სოხუმის რ-ნი

აზალაძე გუგუშა, 60 წ. ს.აჩადარა — დახვრიტეს დედის თვალწინ, შემდეგ დედას დაამარხინეს შვილი და დააძალეს შვილის საფლავზე ეცეკვა.

ბარამია აკაკი იაშთუხა — დახვრიტეს და ჩაწვეს საკუთარ სახლში 3 ოჯახის წევრთან ერთად.

ბელქანია დოროთე სააკის ძე, 58 წ. ს.აკაფა — მეუღლესთან ჩემინავა კლარასთან ერთად გამოამწყვდიეს სახლში და ჩაწვეს ცოცხლად.

ბერია ჯემალი ბოჩოს ძე ,23 წ. ს.ვალადაროვკა — დახვრიტეს საკუთარ სახლში მამასთან, დედასთან, ძმასთან და დეიდასთან ერთად, მეზობელი სომეხი არტურის მიერ.

ბერულავა ნოდარი მიხეილის ძე, 56 წ. ს.ბესლეთი — სასტიკი წამების შემდეგ დახვრიტეს მამასთან და ძმასთან ერთად.

გორდულავა ოლღა გადოს ას. 73 წ. ს.შრომა — აყვანილია ტყვედ, შემდეგ დახვრიტეს.

დარჯანია გუჯუ სამსონის ძე, 68 წ. ს.აბჟაყვა — ბზიფელი აფხაზების მიერ ცოცხლად ჩაწვეს საკუთარ სახლში, რის შემდეგაც წაიყვანეს მანქანა.

ჯიმშელეიშვილი ვარლამი, ს.თავისუფლება — აფხაზ ბოევიკების მიერ იქნა აყვანილი ტყვედ, ჩამოკიდეს ჭასთან, სასტიკად აწამეს, შემდეგ ჩაუშვეს ჭაში და დაახრჩვეს.

ზაქარაია ვლადიმერი ილიას ძე, 74 წ. ს.გუმისთა — მოკლეს მხეცურად მის მეუღლესთან თამარასთან ერთად.

ქავთარაძე შუშუ აქვსენტის ძე, 80 წ. ს.შრომა — საკუთარ სახლში ცოცხლად იქნა ჩამწვარი 1993 წ. ივლისში.

ქარდავა ლიანა ექვთიმეს ას, 43 წ. ს.შრომა — მედდა, აყვანილია ტყვედ, ჯგუფური გაუპატიურების შემდეგ დახვრეტილია.

კოკაია ჟორა ნესტორის ძე, 54 წ. ს.ბესლეთი — ცოცხლად ჩაწვეს საკუთარ სახლში.

მეტრეველი შოთა, ს.ქვედა ეშერა — მხეცურად მოკლეს. ამოათხრეეიეს სამარე და ცოცხლად ჩამარხეს შიგნით.

მილორავა, ს.ლინდავა — დახვრიტეს მეუღლესთან და შვილთან ერთად.

მინდაძე დუშიკო, ს. ქჰეშერა — ცოცხლად დაწვეს.

ფიფია, 60 წ. "წერეთლის" სახ. კოლმ. — დახვრიტეს 14 და 15 წლის შვილიშვილებთან ერთად. მეუღლე სასტიკად სცემას.

უგრეხელიძე ედიშერ ვლასის ძე, 44 წ. ს. ქჰეშერა — სასტიკად აწამეს, გადაუმტვრიეს ხელები, ფეხები, მოაჭრეს ცხვირი, ამოაგლიჯეს ფრჩხილები და ოქროს კბილები, შემდეგ ჩააჯინეს ორმოში და დაუცხრილეს თავი.

ცაავა გამალი, ს.იაშთუხა — ცოცხლად დანვეს საკუთარ სახლში მეუღლესთან ერთად. გამოჭრეს ყელი, მოაჭრეს ხელი, ფეხი და დაწვეს.

ჩემინავა კლარა ილიას ას. 53 წ. ს.აკაფა — ჩაკეტეს საკუთარ სახლში მეუღლესთან ბელქანია დ. ერთად და ნაუკიდეს ცეცხლი სახლს.

ანასტასიადი პროკოფი ივანეს ძე ს.ბაბუშერა
ანტიკილიდი ვარვარა სოკრატეს ას "—"
ანასტასიადი კონსტანტინე ივანეს ძე "—"
არაკელიანი შუშანიკი აბაკის ას "—"
გვასალია ინგა იურის ას "—"
გუგუსიანი ედიკი "—"
გუგუსიანი გულადი,გრიგორის ძე "—"
გუგუსიანი გენადი გრიგორის ძე "—"
გუნია მერაბი შუქრის ძე "—"
დავიდენკო ვერა რომანის ას "—"
დავითაია სვეტლანა სერგის ას "—"
იერომინა ევგენია ვასილის ას "—"
ჟუკოვა ვერა ანატოლის ას "—"
ჟუკოვა სვეტლანა ალექსის ას "—"
კოსნინა სვეტლანა ალექსის ას "—"
კრია ელენე ვიქტორის ას "—"
მორგუნოვა ოლღა ივანეს ას "—"
სნეგოვაია ვერა ილარიონის ას "—"
ტილიკი ანატოლი გრომის ძე "—"
ფილკიშტეინი ტატიანა ნიკოლოზის ას "—"
ნოწორია ნინა რევაზის ას "—"
ნოწორია რუსუდანი რევაზის ას "—"
შახი სერგეია ალექსანდრეს ძე "—"
შენგელია ოთარი გრიგორის ძე "—"

დაილუპნენ ავიალაინერში ტუ 134 65893, რომელიც იქნა ჩამოგდებული სეპარატისტების მიერ 21.09.93 წ. 6 ეკიპაჟის წევრისა და 20 მგზავრის შემადგენლობით.

სოხუმი

აკობიძე კარლო, სოხუმი — ინვალიდი, დახვრიტეს საკუთარ ეზოში.

ანჩაბაძე ლუიზა (ჯუხუ), 56 წ. სოხუმი — მხეცურად მოკლეს, გვამი 3 დღე ეგდო სადარბაზოში, შემდეგ ჩააგდეს სანაგვეში.

ახალაია ხუტა ვასილის ძე, 70 წ. სოხუმი — ყოფილი რედაქტორი გაზეთისა "საბჭოთა აფხაზეთი" — დახვრიტეს.

ბერულავა ჯემალი — დახვრიტეს 28.09.93 წ. წოწორია, დევდარიანი, დიხამინჯია, კობახიძე და კიდევ 26 კაცთან ერთად.

ბერულავა-გახოკიძე ეკატერინა, 78 წ. — გააგდეს სახლიდან, გადავიდა გუდაუთაში ნათესავებთან. იქნა მოკლული ნათესავებთან ერთად.

ბეთაშვილი ჯუმბერი, 55 წ. სოხუმი — სახ. მდივანი აფხ. მინისტრთა საბჭოსი. დახვრიტეს 27.09.93 წ. სოხუმის გარეუბანში.

გაბისკირია შოთა, სოხუმი — რკინიგზის სკოლა-ინტერნატის პედაგოგი, მხეცურად მოკლეს, გამოჭრეს ყელი.

გახარია ლუი სილოვანის ძე, 57 წ. სოხუმი — მოკლეს მხეცურად. წაუკიდეს სახლს, ის შეაგდეს ცეცხლში და ჩაწვეს. მეზობლის მიერ იქნა დამარხული.

ქვარაია პანტე, — მხეცურად იქნა მოკლული საკუთარ სახლში, მეულლე ფეხით გადავიდა ზუგდიდში, შემდეგ იქნა მოკლული ექსპრეზიდენტის მომხრეების მიერ.

კიკაბიძე ეთერი ივლიანეს ას, 79 წ. — 27.06.94 წ. დაახრჩო ახუბა რუსლანმა ფულის გამოძალვის მიზნით.

კუპრეიშვილი გიული ალექსის ძე, 43 წ. — აყვანილ იქნა სახლიდან 3 აფხაზის მიერ, დახვრეტილია 17-19 ივნისს 1994 წ.

კუხალეიშვილი მარინა ვლადიმერის ას. 47 წ. — საიუველირო მაღაზიის გამყიდფელი. სომეხმა ბოევიკებმა მიაბეს ხეს, მიაყენეს უამრავი შეურაცხყოფა, შემდეგ კი მოკლეს.

მგალობლიშვილი ბიძინა, 75 წ. — პროფესორი-ფსიქიატრი. დახვრიტეს.

მესხი ვალიკო, 60 წ. — მოკლულია მხეცურად. წამების შემდეგ გადაუმტვრიეს ხელები, ფეხები, შემდეგ გამოჭრეს ყელი.

ნადარეიშვილი ზვიადი, 35 წ. — საქართველოს რესპუბლიკის დეპუტატი. აყვანილია ტყვედ ტამიშთან 7.10.92 წ. გახოკიძე მარლენისთან ერთად. დახვრეტილნი არიან 12-13. 10. 92 წ. ტყვარჩელში. მკვლელობაში მონაწილეობდნენ ზანთარია და ტუკორი. გვამები იქნა გადაცვლილი ცოცხალ ხალხში.

ნორაკიძე იური, 62 წ. — ეკონომიური თეორიის კათედრის გამგე სსმი, დახვრეტილია 1993 წ. სექტემბერში.

გაჩეჩილაძე ნინა, სოხუმი — ანამეს, ჯგუფური ნამუსის ახდის შემდეგ ჩამოკიდეს ფეხებით, გამოჭრეს ყელი. დაიცალა სისხლისაგან და გარდაიცვალა.

დავითაია იური მიტუშას ძე, 49 წ. სოხუმი — ჩეჩენი და კაზაკი ბოევიკების მიერ იქნა დახვრეტილი მხეცურად 25.09.93 წ. ტყვიების რიგით ნააგლიჯეს თავი.

ჯაბუა ალექსანდრე, 86 წ. — მოკლულია მხეცურად, რამდენიმე დანის ჭრილობით.

ჯღამაძე შოთა, 70 წ. — გულრიფშის სანატორიუმის მთავარი ექიმი. დახვრიტეს

ქავთარაძე-ჭანია ვარდო, — 4 მეზობელთან, რუსის ქალთან ერთად იქნა დახვრეტილი და ჩამწვარი საკუთარ სახლში. ბოევიკები მანამ არ ნავიდნენ, სანამ ბოლომდე არ დაიფერფლა სახლი.

კაკუბავა იაკობი ქიშვარდის ძე, — დამსახურებული მასწავლებელი, მუს. სასწავლებლის ხელმძღვანელი — დახვრეტილია და გადმოგდებულია ფანჯრიდან 1993 წ.

კაპანაძე რუბენი ვანოს ძე, — სასტიკი წამების შემდეგ გამოჭრეს ყელი, შეკრეს ენა "კოლუმბიური ჰალსტუხის" სახელწოდებით. მოკვდა სასტიკ წამებაში.

ქარდავა-კედია სვეტლანა, 55 წ. — რესპუბლიკური საავადმყოფოს მედდა, დახვრიტეს საკუთარ სახლში დედასთან თამარასთან და ნათესავთან თათუშასთან ერთად.

ქარჩავა გურამი შოთას ძე, 53 წ. — 4 დღის განმავლობაში სასტიკად სცემდნენ. დახვრიტეს 4.10.93 წ.

ფარცვანია ვახტანგი კონსტანტინეს ძე, 40 წ. — ქ.თბილისის მცხოვრები. დახვრეტილია 27.09.93 წ. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობის პირდაპირ.

რაზმაძე გრიგორი ნესტორის ძე, 80 წ. — ინვალიდი, პროფესორი სსმი, დახვრიტეს.

სამხარაძე ეთერი, 67 წ. — პოეტესა, დახვრიტეს ბარამია ბ. და მის მეუღლესთან სიჭინავა მ. ერთად.

სულაკაძე მარიამი, 87 წ. — მიაბეს ლოგინს, მოასხეს არაყი და ცოცხლად დაწვეს.

ურიდია ლადო ალექსანდრეს ძე, 31 წ. — მხეცურად იქნა მოკლული სახლში. გადმოცემით მოახრჩვეს მავთულით.

ნიქარიშვილი თინა, 55 წ. — სოხუმის აღების შემდეგ მოკლულია მხეცურად, დანით გადაუჭრეს ყელი.

ჩხენკელი კარლო, 65 წ. — სსმი დოცენტი. ხანგრძლივი წამების შემდეგ დახვრიტეს საკუთარ სახლში.

შარტავა ჟიული კალისტრატეს ძე, 49 წ. — მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე, თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკის, — მხეცურად დახვრიტეს 27.09.93 წ.

ელერდაშვილი ომარი, — სოხუმის კ.გამსახურდიას სახ. დრამატ. თეატრის მსახიობი — სიცოცხლე დაამთავრა თვითმკვლელობით, გადმოვარდა მე-9 სართ. როცა გაიგო მისი ვაჟის დაღუპვის ამბავი.

გულრიფშის რ-ნი

ახალაია-ბერულავა ლიზა 75 წ. ს.ბაღმარანი — დახვრიტეს.1994 წ. ყველა სასტიკ მოქმედებებში ს.ბაღმარანში მონაწილეობდნენ აფხაზები: ჩამაგუა, საქანია და კაპბა.

ბაღიშვილი დანიელი 73 წ. ს.ბაბუშერა — ცოცხლად ჩაწვეს საკუთარ სახლში, რადგან მისი ვაჟი იყო გვარდიელი.

ბერულავა, 16 წ. ს. განახლება — ნათესავებთან ბერულავა პ. და ძმები ნივილაშვილებთან ერთად დახვრეტილ იქნა ილორთან ახლოს.

გვილავა თამარა კირილეს ას. 65 წ. ს.ბაბუშერა — აღმასკომის მუშაკი, დაჩეხილია ნაჯახით 30.10.94 წ. თურქების მიერ, რომლებმაც დაიკავეს მისი სახლი.

გეგელია ვახტანგი შალვას ძე, 60 წ. ს.ბაბუშერა — ცოცხლად დაწვეს ჯალაღონია ტ. და ჯალაღონია მ. ერთად 1994 წლის ივნისის ბოლოს.

ჯალაღონია აქვსენტი ალექსანდრეს ძე, 72 წ. ს.დრანდა — მოკლეს, შემდეგ დაწვეს სომხებმა ვლ.გვილავას სახლში.

ჯელია-რუხაია მარო, 72 წ. ს.ზ.ფშაფი — ავადმყოფი, ლოგინს მიჯაჭვული, დაახრჩვეს სომხებმა, კოლმ. "კიროვი" 23.02.95 წ.

ჟვანია გვრიტო, 33 წ. ს.დრანდა — მის თვალწინ ნამუსი ახადეს 13 და 14 წ. გოგონებს, ამის შემდეგ სამივენი დახვრიტეს.

კაჭარავა კიმი დოროფეის ძე, 60 წ. გულრიფში — მე-2 საშ. სკოლის დირექტორი. დახვრეტილია საკუთარ სახლში, დასაფლავებულია ეზოში.

ქვაცაბაია-მიქელაძე ზინა, — ბაღმარანი — მოძალადეებმა შეათრიეს შოთა მამფორიას სახლში, ნამუსი ახადეს, საშინლად აწამეს, დაანაწევრეს მისი სხეული.

კილაბერია ომარი, ს.დრანდა — ცოცხლად დაწვეს.

ქურასბედიანი გივი, 57 წ. ს. გულრიფში — თანასოფლელებთან და ნათესავებთან ერთად შეყარეს პ.ჭელიძის სახლში (6 კაცი) და დაწვეს ცოცხლად 18.10.93 წ.

მახარობლიძე-გასვიანი ნატაშა, 81 წ. ს.წალკა — 10 შვილის დედა, მოკლულია მხეცურად მახარობლიძე გ. და ქებაძე ნ. 8.07.94 წ. ერთად.

მიქელაძე შურა, 70 წ. ბაღმარანი— მხეცური წამების შემდეგ ამოუღეს თვალები, ჩამოაჭრეს ყური და მოკლეს, გაქურდეს სახლი. ესენი არიან საქანია და ჩანბა.

მიქელაძე-სორდია ცუცა, 60 წ. ბაღმარანი — დაწვეს ცოცხლად მეუღლესთან და ნათესავებთან ერთად (5 კაცი).

მურღულია მიტუშა ბაბუშერა — ბოევიკებმა ისროლეს ყუმბარა,

რის შედეგად მას მოეგლიჯა ფეხები, შემდეგ შეუშვეს ღორები დასაჯიჯგნად. შემდეგ, ნახევრად ცოცხალს, შემოასხეს ნავთი და წაუკიდეს ცეცხლი.

ნაჭყებია-სორდია ვერა, 83 წ. ბაღმარანი — 9 შვილის დედა. ცოცხლად დაწვეს სახლში 17.03.94 წ. იქვე დახვრიტეს მისი 3 შვილი: ოთარი, სევერიანე და ცუცა.

სართანია ლეონელა ანდრიას ას. 79 წ. ს. გამარჯვება — სასტიკად დაჭრილია დანით მეზობლის კარაპეტიანი არმენის მიერ 12.10.93 წ.

თოლორდავა ავთანდილი, 56 წ. ს.ვარჩა — მძღოლი. დახვრიტეს სახლში ურჩობის გამო, რადგან ის არ მოეხმარა აფხაზ ბოევიკებს მოპარული ავეჯის გადმოტვირთვაში.

თოლორდავა ვახო, ს.განახლება — საშინელი წამების შემდეგ (მოაჭრეს ყურები) დახვრიტეს.

ხარბედია ანგელინა, 55 წ. ს.განახლება — ნამუსის ახდის შემდეგ დახვრიტეს.

ხორავა-ბერულავა შუშანიკი მიხეილის ას. 69 წ. ს.ბაღმარანი — 1994 წლის აგვისტოს დასაწყისში დახვრიტეს ნათესავებთან ერთად, შემდეგ ჩაწვეს სახლში.

ცქვიტარია ვალიკო, გულირიფში — 1994 წ. ივნისში ნაჯახით დაჭრეს, მოკვდა საავადმყოფოში უყურადღებობით.

წოწონავა დავითი გიორგის ძე, 82 წ. ს.მაჭარა — ანზორ წოწონავას მამა, დახვრიტეს მეუღლესთან ცუცასთან ერთად 13.10.93 წ.

წურწუმია ვალიკო კონდრატეს ძე, 50 წ. ს.ფშა — სომეხი ბოევიკების მხეცური წამების შემდეგ დახვრიტეს მეუღლესთან ერთად. დააძვრეს ოქროს კბილები, პირის ადვილად გაღებისათვის პირი ჩაუჭრეს დანით.

ჩხეიძე ნინა, 90 წ. ს.ბაღმარანი — დამსახურებული პედაგოგი, დახვრიტეს მეუღლესთან ერთად 28.09.93 წ.

შენგელია ნატო, გულირიფში — პედაგოგი, დახვრიტეს საკუთარ სახლში, მეუღლესთან — შოთასთან ერთად.

ოჩამჩირის ზონა

არჯევანიძე ლიანა ვარლამის ას. 70 წ. ს.არადუ — ხანგრძლივი ნამების შემდეგ მოკლეს.

ბენიძე გივი ვიქტორის ძე, 40 წ. ს.არადუ — მხეცურად აწამეს, წააცალეს ფრჩხილები, მოაჭრეს ყურები, დათხარეს თვალები, შემდეგ ჩამოკიდეს მავთულზე.

გაბისკირია რამაზი, 39 წ. ს.ახალდაბა — ჯერ სასტიკად ცემეს, შემდეგ ავტომატის რიგით დაცხრილეს.

გაბუნია გრიგორი, 58 წ. ს.ახალდაბა — ოჯახის წევრებთან (5 კაცი) ერთად მოკლეს მხეცურად. გამოჭრეს ყელი, იმიტომ, რომ იყვნენ ქართველები. შემთხვევის ადგილზე დატოვეს წარწერა "სალამი გაგრიდან".

გოგოხია გურამი ილიას ძე, 37 წ. ს. ახალი კინდღი — გაიყვანეს სახლიდან მეუღლესთან ერთად ქ.ტყვარჩელში, სასტიკი წამების შემდეგ ორივე ჩაცხრილეს.

გოგუა ვლადიმერი ანდრიას ძე, 65 წ. ს.კოჩარა — აფხაზი ბოევიკები 15 კაცის შემადგენლობით შეუვარდნენ სახლში, მის თვალწინ ნამუსი ახადეს მეუღლეს, პედაგოგ ბაჟიკო გოგუას, მოაბეს ფეხზე ცელულოიდის პარკი და ცოცხლად დაწვეს, მის კივილზე მოვარდნილი მეუღლე ჩაცხრილეს, აგრეთვე პედაგოგი გივი სალია.

დარცმელია ღუღუნი ძიკოს ძე, 67 წ. ს. კოჩარა — დახვრეტილია დასთან 60 წ. ლილისთან ერთად, შემდეგ ორივენი დაწვეს.

ჯანაშია არდევანი ამბროსის ძე, 60 წ. ს.ჯალი — დახვრეტილია ძმებთან გოლშა 55 წ. და მიხეილთან 58 წ. ერთად.

ჯობიდავა რეზო, ს.მერკულა — მხეცურად ანამეს, შემდეგ დაცხრილეს.

ძაძამია სოსო ინდიკოს ძე, 27 წ. ს.დაჩა — 16.09.93 7 სთ-ზე დილით, მეუღლის მადონა რობაქიძის თვალწინ, ყანაში იქნა დახვრეტილი დედასთან ინჯია ლიანასთან ერთად.

ძიძავა ოთარი არტემის ძე, 62 წ. ს.ახალდაბა — იქნა დახვრეტილი მეუღლესთან ერთად. გადმოცემით მათ წააჭრეს თავები, ეროვნებით კაზაკმა ბოევიკმა.

ზარქუა მირა გიორგის ას, 26 წ. ახალი კინდღი — 29.09.93 წ. დახვრიტეს მდ. ენგურზე და გადააგდეს მდინარეში.

იგუმინოვა ბრანისლავა, 74 წ. ოჩამჩირე — ოჩამჩირის პოლიკლინიკის ექიმი, ვეტერანი. დახვრიტეს იმიტომ, რომ წარმოსთქვა "ეს ფაშისტებსაც არ უქნიათ".

ქვათანია ვალიკო გვეძეს ძე, — სასტიკი წამების შემდეგ დახვრიტეს ორ ძმასთან ერთად.

კვირკველია გივი ვიქტორის ძე, 70 წ. ოჩამჩირე — მხეცურად

აწამეს მეუღლესთან ერთად. მეუღლეს გადაუჭრეს ყელი, ამოაგლეჯეს ენა, გვამები აკუწეს, შემდეგ ჩაწვეს საკუთარ სახლში.

კიკალეიშვილი საშა ალექსანდრეს ძე, 75 წ. კოჩორა — დახვრიტეს საშინელი წამების შემდეგ 1994 წლის მაისში.

კოპალიანი ვალერი, 39 წ. არადუ — მხეცურად აწამეს გიზო ყურაშვილის სახლში, შემდეგ ჩაწვეს საკუთარ ავტოფარეხში.

კუპრეიშვილი მანია .37 წ. აკვასკა — დაწვეს ცოცხლად დედასთან თათუშასთან ერთად 29.08.93 წ. ეს ფაქტი დააფიქსირა სამმხრივმა კომისიამ.

მირცხულავა კამა. 57 წ. ოჩამჩირე — ნამუსი ახადეს, შემდეგ მხეცურად მოკლეს შვილთან მირცხულავა პავლესთან ერთად 1993 წ. ოქტომბერში.

მხეიძე ტატიანა სილიბისტროს ას. 63 წ. ს.კოჩარა — საშინელი წამების შემდეგ გარდაიცვალა ტყვეობაში ყოფნის დროს.

ნარმანია აკაკი. 53 წ. ოჩამჩირე — დახვრეტილ იქნა მეუღლესთან ლიუსიასთან 43 წ. ერთად, შემდეგ ორივე დაწვეს, 1993 წ. ნოემბერში.

პაპავა აბელი, 55 წ. ს.კერეკენი — 2.02.93 წ. აფხაზმა ბოევიკებმა აკუწეს, სახლი გაქურდეს, შემდეგ დაწვეს.

პაპავა ვარლამი აქვსენტის ძე, 75 წ. ს.კოჩარა — მხეცურად დახვრიტეს.

ფრუიძე ნესტორი, 71 წ. ს.მერკულა — მხეცურად მოკლეს.

სალია გივი თემურის ძე, 61 წ. ს.კოჩარა — მხეცურად აწამეს, შემდეგ დაწვეს გოგუა ვ. და გოგუა ბ.-სთან ერთად.

სილაგაძე თენგიზი, 38 წ. ახალი კინდღი — პედაგოგი, დახვრიტეს.

თოლორდავა შახი, 62 წ. ს.ახალდაბა — დახვრეტილ იქნა ა.ცალანისთან ერთად, მოედანზე თანასოფლელების თვალწინ.

თუთისანი ვაჟა მოსეს ძე, 83 წ. ს.ცაგერა — მოკლულ იქნა მხეცურად.

ხოჭავა შალიკო ლავრენტის ძე, 74 წ. ოჩამჩირე — დახვრეტილ იქნა მეუღლესთან ნინასთან 70 წ. ერთად, შემდეგ დაწვეს ძმის დავითის სახლში ს.გუდავაში 11.02.94 წ.

ცალანი ალექსი, 69 წ. ს.ახალდაბა — დახვრეტილ იქნა თოლორდავა შახისთან ერთად, მოედანზე.

ცვარიანი გოჩა, 30 წ. ს.არადუ — 3.10.93 წ. მოქვის საშ. სკოლასთან აიყვანეს ტყვედ, 3 დღე აწამეს, შემდეგ მოკლეს.

ჩემინავა ადიკო ვლადიმერის ძე, 40 წ. ოჩამჩირე — 28.1993 წ. სასტიკი წამების შემდეგ დახვრიტეს.

ჭოლარია რევაზი უჯუშის ძე, 42 წ. ოჩამჩირე — დახვრეტილ იქ-

ნა საკუთარ სახლში 1.10.93 წ. მეუღლისა და შვილების თვალწინ. მეუღლე ცემეს მხეცურად, ჩააგდეს საპირფარეშოს ორმოში, ზემოდან დააგდეს მეუღლის გვამი. 14 წლის ქალიშვილს ახადეს ნამუსი 3 ბოევიკმა.

დღესდღეობით მეუღლე იმყოფება თბილისში ბავშვებთან ერთად. მკვლელი არის ვინმე კაკუბავა, ეროვნებით აფხაზი. ამჟამად ცხოვრობს ოჩამჩირეში ცხაკაიას ქუჩაზე, ქართველის სახლში.

გალი და გალის რ-ნი

აბრალავა იროდი, 59 წ. ს.გუდავა — დაახრჩვეს მავთულით აფხაზმა ბოევიკებმა 4.01.94 წ. საკუთარ სახლში.

აქირთავა არუდი 40 წ. გალი — 1994 წ. დახვრიტეს ქუჩაში აფხაზმა პოლიციელებმა.

არდაშელია რამაზი უჯუშის ძე, 50 წ. ს.თაგილონი — აფხაზი პოლიციელები შეუვარდნენ სახლში 9.09.94 წ. ვინმე ლეიტენანტ აშოტის ხელმძღვანელობით. საშინელი წამების შემდეგ, დანით სერავდნენ ტანს, შემდეგ სცემეს ავტომატის კონდახით და ბოლოს დახვრიტეს. მომხდარი ფაქტის სანახავად მოსულმა რ.ქიშმარიამ ყველას გასაგონად წარმოსთქვა — "ასე მოუვა ყველას, ვინც ურჩობას გაგვიწევს"-ო.

ბელქანია ვერა ჩონჩოროს ას. 67 წ. გალი — აფხაზმა ბოევიკებმა უბრძანეს მას, გაეშალა მაგიდა. კარგად რომ შეზარხოშდნენ, დახვრიტეს ნოდარ ფაცურიასთან ერთად 7.10.93 წ.

ბერაია მოგელი ამბროსის ძე, 32 წ. ს.ნაბაკევი — მხეცურად იქნა მოკლული 1995 წ. სექტემბერში. მოჭრეს ცხვირი და ყურები.

ვეკუა მეგონა იაკობის ძე 65 წ. ს.დიხაზურგა — პედაგოგი, ყელზე მოაბეს თოკი, გამოათრიეს გარეთ და მხეცურად მოკლეს 15.12.93 წ.

გაბისონია ამირანი პლატონის ძე, 50 წ. ს.ჩხორთოლი — 1994 წ. ნოემბერში გამოყვანილ იქნა სახლიდან და მხეცურად იქნა ნანამები. მოჭრეს მხრები, ამოთხარეს თვალები. შემდეგ დახვრიტეს. თანასოფლელებმა იპოვეს მისი გვამი ტყეში.

გადელია თენგიზი ვალოს ძე, ს.მზიური — დახვრიტეს ყანაში შონიასა და დ.კვეკვესკირისთან ერთად 18.12.93 წ. ღორების ნაჩიჩქნი გვამები ნაპოვნი იქნა მე-3 დღეს. დედა, ყოველივე ამის ნახვის შემდეგ, გარდაიცვალა.

გამსახურდია ვახტანგი (ვლადიმერი) ჯაგას ძე, 60 წ. ს.დიხაზურგა — დახვრიტეს საშინელი წამების შემდეგ. 1993 წ. ნოემბერში. მოჭრეს ყურები, დასერეს დანით, შემდეგ დახვრიტეს.

გიგავა ძარგა, 62 წ. ს.გუდავა — ნაჯახით წააცალეს თავი. 25.10.93 წ.

გოგოხია ვალოდია, 75 წ. ს.პიჩორი — უსინათლო, დახვრიტეს მეუღლესთან გოგოხია მანერასთან ერთად. გვამი გადაგდებულ იქნა ღორებისათვის საჯიჯგნად.

გოგოხია ვალიკო ფილაროს ძე, 55 წ. ს.საბერიო — დაავალეს მანქანის გაკეთება, შემდეგ მისი გავსება ავეჯითა და სხვა ნივთებით, სასტიკი ცემის შემდეგ გარდაიცვალა. ამ მოქმედებებში მონაწილეობდნენ ჩეჩენი, აფხაზი და კაზაკი ბოევიკები.

ჯონჯუა ჟენია, 70 წ. გალი — 29.09.93 წ. გასრისეს ტანკით 100 მ დაშორებით საკუთარი სახლიდან.

ჯონჯუა თენგო მამიას ძე, 29 წ. გალი — დახვრიტეს აჩიგვარაში 30.09.93 წ. აკუწული გვამი ნახეს აჩიგვარის ჩაის ფაბრიკის გვერდით.

ზაქარაია ამირანი გულის ძე, 37 წ. ს.დიხაზურგა — დააძალეს გაეთხარა ორმო, შემდეგ კიდევ ცოცხლები — ზაქარაია დაზმირი და ზაქარაია სვეტასთან ერთად ჩამარხეს ცოცხლად 1993 წ. დეკემბერში.

ზაქარაია მერაბი შოთას ძე, 31 წ. ს.გუდავა — დახვრიტეს, დასახიჩრებული გვამი ნაპოვნია სოფლის ტერიტორიაზე თებერვალში 1994 წ.

კახიანი კაპიტონი მელიტონის ძე, 89 წ. ს.განახლება — მხეცურად იქნა მოკლული მის ეზოს ნაკვეთზე 8.12.93 წ. გვამი იპოვეს დანანევრებულ მდგომარეობაში, დამარხულია უთავოდ.

კვაშილავა შოთა, 60 წ. გალი — მხეცური წამების შემდეგ მოკლეს საკუთარ სახლში (ბოსტანში) 6.10.95 წ.

ქობალია გია ფერიკოს ძე, 32 წ. ს.განახლება — 8.02.94 წ. აყვანილია ტყვედ, სადაც მხეცურადაა ნაწამები, ცოცხლად ჩამარხეს 11.02.94 წ. ვინმე ხარაზიას მიერ.

ქობალია ევგენი ფეფუს ძე, 72 წ. გალი — დამსახურებული პედაგოგი, დახვრეტილ იქნა საკუთარ ეზოში 30.09.93 წ. ნათესავებს აეკრძალათ მისი დამარხვა და გვამი იქნა ღორების საჯიჯგნად მიგდებული.

ქობალია ნოდარი ნესტორის ძე, 58 წ. ს.სიდა — სასტიკი წამების შემდეგ იქნა მოკლული ჩაის პლანტაციაში 1994 წ. ოქტომბერში. მოჭრეს ყურები, ცხვირი, დასახიჩრებული გვამი გამოისყიდეს ნათესავებმა.

ყოლბაია ბოჩია მურადის ძე, 43 წ. ს.ჭუბურხინჯი — 4 შვილის მამა, დახვრიტეს, მოჭრეს თავი და გვამი მიუგდეს ღორებს საჯიჯგნად.

ლატარია დავითი, 70 წ. ს.გუდავა — ცოცხლად დაწვეს. მოხუცი მიაბეს ურემს და შეაგორეს ცეცხლწაკიდებულ სახლში, თებერვალში 1994 წ.

ლომაია როინი ნესტორის ძე, 53 წ. ს.განახლება — დახვრიტეს 8.02.94 წ. გზაზე. მისი დაჭრილი ვაჟი წაიყვანეს შტაბში და მხეცური წამების შემდეგ დახვრიტეს 11.02.94 წ.

ლუკავა ფრიდონი გრიგორის ძე, 26 წ. ს.ქვ. ბარღები — დახვრიტეს მხეცური წამების შემდეგ. გადაუმტვრიეს ხელ-ფეხი, მორიგი დამსჯელი აქციის დროს, რომელსაც ატარებდა აფხაზი ბოევიკები. 6.02.95 წ.

მარკელია რობერტი ზაურის ძე, 28 წ. ს.რეფი — სასტიკი წამების შემდეგ დახვრიტეს ს.მზიურის ტერიტორიაზე. გვამი იპოვეს დასახიჩრებულ მდგომარეობაში.

მებონია შოთა მიხეილის ძე, 64 წ. გალი — სასტიკი წამების შემდეგ დახვრიტეს 1994 წლის თებერვალში. გვამი ნაპოვნია დასახიჩრებულ მდგომარეობაში. კიდურები გადამტვრეულია.

ფარფალია ომარი შალვას ძე, ს.ოქუმი — სასტიკი წამების შემდეგ, მამასთან ერთად, საკუთარი ხელით ამოთხრილ ორმოში ჩათხარეს ცოცხლად თავით ძირს.

ცარაგბაია ზაური ვალიკოს ძე, 28 წ. ოტობაია — სასტიკი წამების შემდეგ გარდაიცვალა. თავდაპირველად დააძვრეს ფრჩხილები, მოაჭრეს ყურები და ამოაჭრეს ენა. 16.06.94 წ.

ეხვაია მ. 60 წ. გალი — გაექცა ბოევიკებს, რომლებიც ცდილობდნენ მისი ნამუსის ახდას. გადახტა მდ. ენგურში და დაიხრჩო.

• • •

როგორც გაირკვა, აფხაზეთში საომარი კონფლიქტის მონაწილე მხარეები უხეშად არღვევდნენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს, ილახებოდა როგორც საბრძოლო მოქმედებაში მონაწილე, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებები და ღირსება. სეპარატისტებმა მათ მიერვე ორგანიზებული დანაშაულის გასამართლებლად ოსტატურად გამოიყენეს ასეთი შემთხვევები და ამტკიცებდნენ, საერთაშორისო სამართლის ნორმებს ორივე მხარე არღვევდაო. ამაოდ და ფუჭად ცდილობენ მიჩქმალონ უმთავრესი, რომ მათ ტერორით, ხალხის მასობრივი ჟლეტით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე სრული კონტროლის დაწესების შემდეგ ქართველი მოსახლეობის გენოციდი არათუ განაგრძეს, უფრო გაამძაფრეს კიდეც. სისტემატურად ხოცავენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ მშვიდობიან ქართველ მოსახლეობას, აწამებენ და თვითნებურად აპატიმრებენ; თავს ესხმიან რაიონებს, სოფლებს, სამოქალაქო მოსახლეობას, იტაცებენ და ანადგურებენ მათს საკუთრებას. განზრახ და აქტიურად აბრკოლებენ განდევნილთა დაბრუნებას, რაც საგამოძიებო მასალების გარდა, არაერთგზის არის დაფიქსირებული საერთაშორისო საგანგებო კომისიების მიერ. სეპარატისტთა დანაშაულის სამართლებრივ შეფასებას ეს დასკვნები და მონაცემები დაედო საფუძვლად.

გენოციდის შესახებ 1948 წლის საერთაშორისო კონვენციით ამომწურავად არის განსაზღვრული ამ დანაშაულის იურიდიული ასპექტები. ამ კონვენციის შესაბამისად ჩამოყალიბებული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 65 I მუხლი ადგენს, რომ გენოციდია ქმედება, რომელიც მიმართულია რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ჯგუფის პირთა მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატება ასეთი ჯგუფების წევრთა მკვლელობებით, მათი მძიმე დაშავებით ან განზრახ ცხოვრების ისეთი პირობების შექმნით, რომელიც გამიზნულია მათი მთლიანად ან ნაწილობრივ გასანადგურებლად. აფხაზ ექსტრემისტთა დანაშაული ამ ქმედებათა კლასიკური ნიმუშია.

ის, რაც აფხაზეთში სეპარატისტებმა ჩაიდინეს და ამჟამადაც სჩადიან, სრულებითაც არ არის მხოლოდ ნაციონალიზმის, შეურაცხყოფის და შურისძიებით გამოწვეული ეთნიკური კონფლიქტი. შეკრებილი მასალები მიანიშნებს, რომ კავკასიაში ფუნდამენტალისტური სახელმწიფოს დასაარსებლად სეპარატისტებმა ჩრდილოეთ კავკასიელ კონფედერატების და საზღვარგარეთელი სხვა თანამზრახველების მონაწილეობით და ხელის შეწყობით დაგეგმეს ორგანიზებული შეთქმულება. აგრესიული ზრახვების აღსასრულებლად რეგი-

ონის გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, საჭირო იყო აფხაზეთიდან მოსახლეობის უდიდესი ნაწილის — ქართველების ფიზიკური განადგურება და განდევნა. ამ ტერიტორიის და მისი მიმდებარე შავი ზღვის მონაკვეთის დაპყრობა. ამიტომაც სეპარატიზმის, ნაციონალიზმის და ექსტრემიზმის შხამით მოწამლული უცხო ქვეყნების ათასობით მკვლელი შეუსიეს საქართველოს. მათ აფხაზეთში მხოლოდ ქართველობის გამო ექვსიათასამდე ადამიანი დახვრიტეს, ჩამოახრჩვეს და დანვეს, 20 ათასზე მეტი დაასახიჩრეს და დაახეიბრეს, სიკვდილის რეალური მუქარით მშობლიური კერებიდან აყარეს და განდევნეს ასიათასობით მშვიდობიანი მოსახლე.

აფხაზეთში დატრიალებული უბედურების მასშტაბი და განხორციელების მეთოდები ადასტურებს, რომ ქართველთა გენოციდს სეპარატისტები ნლობის განმავლობაში გულმოდგინედ ამზადებდნენ.

არ შეიძლება არ შევჩერდეთ საქართველოს უახლესი ისტორიის ყველასთვის ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე, არ გავაანალიზოთ ქვეყანაში იმ დროს არსებული ძალთა პოზიციები, ურთიერთქიშპობა და დაპირისპირება. არ ვილაპარაკოთ იმაზეც, ვინც განზრახ არ გაიცნობიერა სახელმწიფოს ინტერესების უზენაესობა, საქართველოს მოსახლეობა ერთ მუშტად შეკრული შეხვედროდა განსაცდელს, რომ თავიდან აგვეცილებინა გენოციდიც და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაც. ძალაუფლებისათვის ბრძოლამ, მავანთა კლანურმა ამბიციებმა ქვეშ მოიქციეს ქვეყნის ინტერესები.

ასეთ ვითარებაში დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით აფხაზეთში, ექსპრეზიდენტის მომხრეებმა გააჩაღეს ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. ისინი და აფხაზი სეპარატისტები ერთობლივად ცდილობდნენ ქვეყანაში დესტაბილიზაციის ფართო მასშტაბებით შექმნას, რაც ორივე მხარეს ხელს აძლევდა თავიანთი ზრახვების განხორციელებაში. ერთობლივად აწყობდნენ დივერსიულ და ტერორისტულ აქტებს, აფეთქებდნენ რკინიგზებს, ხიდებს, სხვა სატრანსპორტო კომუნიკაციებს, ძარცვავდნენ მატარებლებს და მგზავრებს, იტაცებდნენ ადამიანებს, ანიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

1992 წლის თებერვალ-აგვისტოში აფხაზეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე პრაქტიკულად შეწყდა სარკინიგზო, საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტის მიმოსვლა. საქართველო და სომხეთი ეკონომიური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდნენ.

კელასურ-დრანდის, ტამიში-ოჩამჩირის, დრანდა-აძიუუბას, ცაცხვინგირის, ინგირ-ზუგდიდის მონაკვეთზე სარკინიგზო ხიდების და გზების თითქმის ყოველდღიური აფეთქება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

სამეგრელოსა და აფხაზეთში, გაგრის, ბზიფის, განთიადის, გუდაუთის, დრანდის, გალის, აჩიგვარის, სალხინოს, სოხუმის, ეშერის, ოჩამჩირის, ინგირის, ზუგდიდის და სხვა რკინიგზის სადგურებიდან შეიარაღებული თავდასხმით გაიტაცეს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებისათვის განკუთვნილი 11 მილიარდი მანეთის (იმდროინდელი კურსით) 1923 ვაგონი ტვირთი. მარტო 1992 წლის პირველ ნახევარში თავდასხმების და აფეთქებების 1142 ფაქტია დაფიქსირებული.

ტერორისტთა და დივერსანტთა ბანდები რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურების ქმედითუნარიანობის მოშლის, ანარქიის და ქაოსის გამოსაწვევად ხელყოფდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის, თანამდებობის პირთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ადამიანის კანონიერ უფლებებს.

1992 წლის ზაფხულში გახშირდა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა დატყვევება. გავიხსენოთ ბატონების, ალექსანდრე კავსაძის, რომან გვენცაძის და სხვათა გატაცება და აფხაზეთში გადამალვა, გამგებელ კანდიდ გოგუას განზრახ მკვლელობა და სხვა მრავალი. ამ ქმედობებს უმძიმესი შედეგები მოჰყვა.

ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული წარმოდგენილი დასკვნის მნიშვნელობა ხვალინდელი საქართველოსთვის.

გამომდინარე აქედან და პროკურატურის ხელთ არსებული მასალებიდან ვალდებული ვართ დავაფიქსიროთ, რომ ქართველთა გენოციდში და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაში სეპარატისტებს ყველანაირად შეუწყვეს ხელი სამშობლოდან გაქცეულმა ექსპრეზიდენტმა და მისმა გარემოცვამ. ისინი სახელმწიფოს წინააღმდეგ თავდასხმებს ურთიერთშეთანხმებით აწყობდნენ.

1992 წლის 24 ივნისს დაგომისში დაგეგმილი იყო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან. იმავე დღეს ზ.გამსახურდიას ბრძანებით ვალტერ შურღაია შეიარაღებულ რაზმთან ერთად თბილისში თავს დაესხა საქტელერადიოდეპარტამენტსა და სატელევიზიო ანძას. იმავე რიცხვში და იმავე საათებში სოხუმში ვ.არძინბას ბრძანებით უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა, ე.წ. "აფხაზურმა გვარდიამ" ფორსირებულად შეუტიეს და დაიკავეს ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა. მათი შეთანხმებული და ერთობლივი მოქმედებების კიდევ მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება.

* * *

სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით შეიქმნა კომისია აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის — გენოციდის ფაქტების მოძიებისა და გამოქვეყნების მიზნით.

გამოძიების მასალები საფუძვლად დაედო კომისიის განცხადებებს, რომლებიც გავრცელდა ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, რუსულ, ჩინურ და არაბულ ენებზე. როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის და უშიშროების საბჭოს დოკუმენტები (1994 წლის 1 მარტი და 1995 წლის 24 მარტი, 1994 წლის 26 თებერვალი, 1995 წლის 14 მარტი). ბოლო განცხადება ბატონ ედუარდ შევარდნაძის წინასიტყვაობით გავრცელდა უშიშროების საბჭოში გაეროს წევრი სახელმწიფოების კოპენჰაგენის უმაღლესი დონის შეხვედრაზე (1995 წლის მარტი), ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნების ბუდაპეშტის უმაღლესი დონის თათბირზე (1994 წლის დეკემბერი), დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა ალმა-ათის და მინსკის შეხვედრებზე (1995 წლის თებერვალი და მაისი).

განცხადებაში მოყვანილი ფაქტებისა და მათი საერთაშორისო-სამართლებრივი ანალიზის გაცნობისას, სახელმწიფოს მეთაურის აქტიურ დიპლომატიურ ქმედებათა შედეგად აფხაზი სეპარატისტების ეთნიკური წმენდის პოლიტიკა დაგმობილია ბუდაპეშტის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტში "მონაწილე ქვეყნებმა გამოთქვეს თავიანთი შეშფოთება აფხაზეთის, საქართველოს რესპუბლიკა, ხელისუფალთა მიერ მიღებულ ცალმხრივი გადაწყვეტილების გამო. ისინი გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას "ეთნიკური წმენდის", მოსახლეობის, განსაკუთრებით ქართველთა, თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი განდევნის და უდანაშაულო მოქალაქეთა დიდი რაოდენობით დაღუპვის გამო".

ამ დებულებას მხარი დაუჭირა გაეროს უშიშროების საბჭომ (რეზოლუცია 1993/1995) და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მინსკის შეხვედრამ (1995 წლის 26 მაისი).

მანამდე რუსეთის ფედერაციის მთავრობამ "ეთნიკური წმენდის" პოლიტიკისთვის მთელი პასუხისმგებლობა აფხაზ სეპარატისტებს დააკისრა (1993 წლის 13 ოქტომბერი), ხოლო გაეროს 1994 წლის 6 ივლისის დოკუმენტში ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ "საფრთხე, რომელიც შეექმნა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აფხაზეთში, ხასიათდება აგრეთვე "ეთნიკური წმენდით".

სულ ახლახან, საქართველოში ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის მოხსენებაში გალის რაიონში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის თაობაზე განცხადებულია, რომ "აფხაზი ხელისუფალნი განაგრძობენ იძულებითი ეთნიკური წმენდის პოლიტიკას, რათა არ დაუშვან მნიშვნელოვანი რეპატრიაცია გალის რაიონში და აფხაზეთის სხვა ადგილებში".

ვაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ანსამბლეამ 1992 წლის 17 დეკემბრის N47121 რეზოლუციით "ეთნიკური წმენდა" გენოციდის ერთ-ერთ ფორმად აღიარა. უკანასკნელი პერიოდის საერთაშორისო სამართალში ეს ტერმინი დამკვიდრდა.

ამგვარად, გაერო და რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციები ცნობენ, რომ აფხაზი სეპარატისტები აწარმოებდნენ და აწარმოებენ "ეთნიკურ წმენდას" ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ. უშიშროების საბჭოს რეზოლუციებთან ერთად, რომლებიც უყოყმანოდ იცავენ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, გმობენ ლტოლვილთა მიმართ სეპარატისტთა ქმედებებს. აღნიშნული დოკუმენტები მტკიცე საერთაშორისო სამართლებრივ და მორალურ პოლიტიკურ ბაზას უქმნიან აფხაზ სეპარატისტთა სამართალში მიცემას.

შეკრებილი მტკიცებულებებით დადგინდა აგრესიული სეპარატიზმის ლიდერების და მათი თანამონაწილეებისგან წინასწარ დამუშავებული გეგმით მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის გენოციდი. მათი მასობრივი დარბევის, წამების, ჟლეტის, საცხოვრებელი სახლების და პირადი ქონების, ისტორიის და კულტურის ძეგლების, სკოლების და სხვა საარსებო ობიექტების ძარცვის და განადგურების, ქალების, მათ შორის მცირეწლოვანი გოგონების მასობრივი გაუპატიურების, მოქალაქეთა დეპორტაციის, დაპყრობილ ტერიტორიაზე დარჩენილი პირების მონურ მდგომარეობაში ჩაყენების და ექსპლოატაციის ათასობით ფაქტი.

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ თავიდანვე კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარება არჩია. მით უმეტეს, რომ მშვიდობის გარანტად გვევლინებოდა დიდი და ძლიერი ჩრდილოელი მეზობელი რუსეთი, რომლის საჯარისო ფორმირებები — სამშვიდობო ძალები — ამ მშვიდობიანი მოგვარების გარანტად უნდა ყოფილიყვნენ.

სამწუხაროდ, ქართული მხარის ნებისმიერი სამშვიდობო ინიციატივა ჩვენთვის ტრაგიკულად მთავრდებოდა. პირველი დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოეწერა 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში, ტრაგიკული აღმოჩნდა ჩემი მშობლიური ქალაქისათვის. ქალაქ გაგრის დაცემის შემდეგ რუსეთ-საქართველოს საზღვარმა მდ. ფსოუდან მდ. გუმისთაზე გადმოინაცვლა. ქართველები, რუსები, ესტონელები და ბევრი სხვა ქ.გაგრის მკვიდრნი, ლტოლვილებად იქცნენ და იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მშობლიური კერა.

მეორე დოკუმენტს ხელი მოეწერა 1993 წლის 27 ივლისს ქ.სოჭში. ამ შეთანხმების შედეგად მოხდა ქართული ჯარის განიარაღება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე,

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაყვანილ იქნა მძიმე ტექნიკა, თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა და მაშინ, როდესაც აფხაზეთის მოსახლეობა დაუბრუნდა მშვიდობიან ცხოვრებას, 16 სექტემბერს ეს შეთანხმებაც დარღვეულ იქნა და ათი დღის უთანასწორო ბრძოლების შემდეგ ქ.სოხუმი დაეცა. სოხუმის დაცემას მოყვა აფხაზეთის დაკარგვა, რის შედეგად ლტოლვილებად იქცნენ 280 ათასი ქართველი, 30 ათასი რუსი, 25 ათასი აფხაზი, სომხები, ბერძნები, ებრაელები და აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ამჯერად საზღვარმა მდ. გუმისთიდან მდ. ენგურზე გადმოინაცვლა.

მესამე დოკუმენტი — 1994 წლის 13 იანვარი, სადაც ფაქტიურად დაფიქსირდა აფხაზეთის ომის შედეგები. ამ კომუნიკეს მიხედვით აფხაზურ მხარეს დაეკისრა პასუხისმგებლობა დევნილთა მიღებასა და უსაფრთხოებაზე. მოხდა მათი სამართლებრივი რეაბილიტაცია და ნდობის მანდატის მიცემა აფხაზური მხარისათვის, რომლის დანაშაულებრივმა ქმედებამ ამდენი უბედურება მოუტანა საქართველოს.

მეოთხე დოკუმენტს ხელი მოეწერა 1994 წლის 4 აპრილს. ამ შეთანხმების შედეგად აფხაზეთში ვერ ბრუნდება ყველა ის ღირსეული ვაჟკაცი, ღირსეული ქართველი, რომელიც, როდესაც გაუჭირდა მის სამშობლოს, იარაღით ხელში იცავდა თავის სახლ-კარს, თავის ქალაქს, თავის ქვეყანას. ამავე დროს არაფერია თქმული იმაზე, ვინც ასევე იარაღით ხელში ებრძოდა კანონიერ ხელისუფლებას, ებრძოდა საქართველოს მთლიანობას, ებრძოდა ქვეყნის ერთიანობას. ამ შეთანხმებით საქართველოს მოსახლეობას აეკრძალა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის იარაღით ბრძოლა და საკუთარ მიწა-წყალზე უპირობო დაბრუნება.

ანალოგიური, მეხუთე დოკუმენტი შეიქმნა 1994 წლის 14 მაისს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ამ დოკუმენტმა მოგვიტანა დადებითი შედეგი.

ბოლო ორი წლის განმავლობაში შედგა უამრავი შეხვედრა მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში. გაეროს უშიშროების საბჭომ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მიიღო 15 რეზოლუცია და 6 განცხადება. ყველა დოკუმენტი ჩვენთვის აბსოლუტურად მისაღებია, აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, არის საქართველოს სრული მხარდაჭერა, საუბარია ლტოლვილთა დაბრუნებაზე; რამდენიმე საინტერესო შეხვედრა მოეწყო ევროკაერთიანების მიერ, ჩვენი დელეგაციები ხუთჯერ ჩავიდნენ ჟენევაში, დაიდო რამდენიმე ორმხრივი, სამმხრივი შეთანხმებები, მემორანდუმები, კომუნიკეები; ოთხი შეხვედრა მოეწყო მოსკოვში, სამი სოჭში, სა-

ხელმწიფო მეთაური გუდაუთაშიც ჩავიდა. გაეროს 136 დამკვირვებელი იმყოფება კონფლიქტის ზონაში. გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა არა ერთხელ იმოგზაურა რეგიონში მხარეებთან კონსულტაციების ჩასატარებლად. 1994 წლის დეკემბერში ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ბუდაპეშტის სამიტზე მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც მონაწილე სახელმწიფოებმა სცნეს აფხაზეთში ჩატარებული ეთნოწმენდა. ზემოაღნიშნულს ემატება დეკლარაციები და განცხადებები, რომლებიც მიიღეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების უმაღლესი დონის შეხვედრებზე ალმა-ათასა და მინსკში. იქვე დაგმობილ იქნა სეპარატიზმის ნებისმიერი ფორმით გამოვლენა. ამასთან ერთად სახელმწიფოებმა ივალდებულეს, არ დაუჭირონ მხარი სეპარატისტულ მოძრაობებსა და რეჟიმს სხვა წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე, არ დაამყარონ მათთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის კავშირები, არ დაუშვან სეპარატისტთა მიერ თავიანთი ქვეყნების ტერიტორიებისა და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება, არ გაუწიონ მათ ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო და სხვა სახის დახმარება.

სამწუხაროა, მაგრამ შედეგი არაა. შედეგი ისაა, რომ ჩვენ ისევ იქა ვართ, სადაც ორი წლის წინათ გამოგვყარეს და ერთი მეტრითაც ვერ ნავიწიეთ მდ. ენგურს მიღმა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია ის, რომ სეპარატისტები დღეს რუსეთის სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში, მთავრობაში, სამხედრო უწყებებში პოულობენ საკმაოდ ძლიერ მხარდაჭერასა და დასაყრდენს. არიან სამხედრო და საგარეო უწყებათა წარმომადგენლები, სეპარატისტებს მხარს უჭერენ ზოგიერთი რესპუბლიკებისა და მხარეების ხელმძღვანელები. გარკვეული მხარდაჭერა მოდის ახლო და შორეული საზღვარგარეთიდან: თურქეთიდან, სირიიდან, იორდანიიდან, ამიტომაც თვით სეპარატისტებშიც განხეთქილებაა — ნაწილი რუსეთზეა ორიენტირებული, ნაწილიც — ისლამურ სახელმწიფოებზე. ამან გარკვეული დაპირისპირება შექმნა გუდაუთელ და ოჩამჩირელ აფხაზებს შორის, რამაც განხეთქილება შეიტანა არძინბას სეპარატისტულ პარლამენტსა და მთავრობაში.

ამას წინათ ჩატარებული აფხაზ-აბაზთა მსოფლიო ასოციაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა ქ.სოხუმში გამართა პრეს-კონფერენცია, სადაც ამ კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის მრჩეველმა რუფეტ ბუტბამ აღნიშნა, რომ აუცილებელია რუსეთის, თურქეთის, არაბული ქვეყნების სახელმწიფო წარმომადგენლებთან ერთობლივი საწარმოს შექმნა, რათა ქლუხორის გადასასვლელზე დაიწყოს მყარი სარფიანი გზის მშენებლობა, რომელიც ჩრდილოეთ

კავკასიის რესპუბლიკებს, აფხაზეთის გავლით, გაიყვანს შავ ზღვაზე. ასეთი ტენდენციების განვითარება მოსალოდნელია კრასნოდარის მხარეშიც. იქ უკვე წამოწეულია ნინა პლანზე შაფსუგების, უბიხების, ჩერქეზების და სხვა პრობლემური საკითხები, მიდის აქტიური მუშაობა აფხაზურ-ადიღეური ტოპონიმიკის დამკვიდრების მიზნით. არ არის შემთხვევითი ისიც, რომ ადიღეამ მიმართა რუსეთის ხელისუფლებას, რათა გაეცვალათ ტერიტორიები კრასნოდარის მხარესთან 25000 კვ. კილომეტრის ფართით, ვითომდა საძოვრებისათვის, სინამდვილეში კი იმიტომ, რომ მათ ჰქონოდათ უშუალო საზღვრები აფხაზეთთან, რაც მიმართულია აფხაზეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის ერთიანი ტერიტორიული სივრცის შექმნის განსახორციელებლად. ერთი შეხედვით თითქოსდა უმნიშვნელოა ეს პროცესები, მაგრამ ასევე უმნიშვნელო ნაბიჯებით მტკიცდებოდა სეპარატიზმი ჩვენთან. დღეს აფხაზეთის და ჩეჩნეთის საკითხის გადაწყვეტასთან მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ყოფილი საბჭოთა კავშირის სეპარატიზმის განვითარების ტენდენციები, ამიტომ ჩვენი აზრით, რუსეთი დაინტერესებული უნდა იყოს მათი მარცხით და კიდევაც მიიღოს მკაცრი ზომები თავისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში. რუსეთის პრემიერმა განაცხადა: "ჩვენ მომხრე ვართ კომპრომისებისა მოლაპარაკების პროცესში, მაგრამ არის ზღვარი, რომელსაც ჩვენ ვერ გადავლახავთ — ეს არის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და ამისათვის ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი მეთოდებისათვის".

სამწუხაროა, მაგრამ, როდესაც იგივე ხდება საქართველოში, ბევრ მოვლენას სხვა სახელებს არქმევენ, თუ გავავლებთ პარალელს საქართველოსა და რუსეთს შორის მომხდარი, მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი აფხაზეთისა და ჩეჩნეთის მოვლენებს, ვნახავთ, რომ ისინი პრაქტიკულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან:

— თუკი 1992 წლის აგვისტოში საქართველოს ხელმძღვანელობამ აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო და საავტომობილო გზების დასაცავად საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე შეიყვანა საჯარისო ნაწილები, იგივე გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის ხელმძღვანელობამ და 1994 წლის დეკემბერში შეიყვანა ჩეჩნეთში ფედერალური ჯარის ნაწილები. მაგისტრალების დაცვასთან ერთად სამხედროებს, ორივე შემთხვევაში, ევალებოდათ რუსეთისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ბევრმა პოლიტიკოსმა დაგვაბრალა იმპერიული მიდგომები აფხაზეთთან მიმართებაში, ბევრმა აგრესორები გვიწოდა. რუსეთში მომხდარ ამბებს კი მათ რუსეთის სახელმწიფოებრიობის შენარჩუ-

ნება, საკონსტიტუციო წყობის აღდგენა, ქვეყნის მთლიანობისათვის ბრძოლა შეარქვეს.

დუდაევი სახელმწიფო დამნაშავეა, მისი შეიარაღებული ძალები, ბანდიტური და უკანონო ფორმირებები, გაცემულია სანქციები მათ დაპატიმრებაზე, ლტოლვილთა დაბრუნება იქ უპირობო და მასიურია, ჯერ არჩევნები, მერე კი სტატუსის განსაზღვრა, გროზნოში და მთელ ჩეჩნეთში აღდგენილია რუსეთის იურისდიქცია, აღდგენილია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა; ჩვენთან კი — არძინბა კონფლიქტის მხარეზეა, მისი ბანდები — აფხაზური პოლიცია და თავდაცვის სამინისტროა, მათი დაპატიმრება შეუძლებელია, სეპარატისტები თავისუფლად დადიან ჟენევაში, ნიუ-იორკში, მოსკოვში, გახსნილი აქვთ სხვადასხვა წარმომადგენლობები, მისიები.

ეკონომიკური დახმარების მიზნით აფხაზი სეპარატისტები აქტიურად ამყარებენ კონტაქტებს სხვადასხვა ქვეყნების, პირველ რიგში რუსეთის საბანკო და კომერციულ სტრუქტურებთან.

ძვირადღირებული საჩუქრების და ბანკეტების მონყობის გზით, და ხშირ შემთხვევაში თანამდებობის პირთა მოსყიდვით, აფხაზთა წარმომადგენლებმა უკვე მიაღწიეს კრედიტების გამოყოფას.

ასე, ა.წ. 16 იანვარს "არგო-ბანკმა" (მოსკოვი) აფხაზეთის სხვადასხვა ფინანსურ სტრუქტურებს გადაურიცხა 16 მილიარდი მანეთი.

თებერვალში ვ.ჟირინოვსკიმ კომერციულ ბანკ "ტიკოს" მეშვეობით აფხაზეთის აღორძინების ფონდში გადარიცხა 400 მილიონი მანეთი. უახლოეს მომავალში აპირებს გადარიცხოს კიდევ 200 მილიონი მანეთი.

ა.წ. მარტის თვეში რუსეთის "აგრომრეწვბანკმა" აფხაზეთს გამოუყო კრედიტი 3 მილიარდი მანეთის ოდენობით, ხოლო ბანკმა "აღორძინება" (პრეზიდენტი ორლოვი) გამოყო 2 მილიარდი მანეთის კრედიტი სოხუმის საზღვაო პორტის აღსადგენად.

25 მარტს ს.ბაგაფში იმყოფებოდა ქ.ალმა-ათაში, სადაც მიაღწია შეთანხმებას ყაზახეთის მიერ აფხაზეთისათვის 200 000 ტონა ხორბლის გამოყოფის ეშესახებ. აღნიშნული ხორბლის შესასყიდად საჭირო თანხა გამოუყო რუსეთის "აგრომრეწვბანკმა".

ქ.ალმა-ათაში მცხოვრები აფხაზი, ვინმე ბათალ ივანეს ძე ფილია, თავისი ახლო კავშირების, ყაზახეთის მინისტრთა საბჭოსა და პრეზიდენტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკების მეშვეობით ცდილობს აფხაზეთისათვის 100 000 ტონა ხორბლის მარცვლის გამოყოფას ბარტერულ საფუძვლებზე, რომელიც უნდა გაიცვალოს 1994-1995 წ.წ. ციტრუსების მოსავალზე. ის აგრეთვე აწარმოებს მოლაპარაკებას კონცერნის "ყაზახპურპროდუქტის" ხელმძღვანელო-

ბასთან (თავმჯდომარის მოადგილე იური სტეფანეს ძე ონიმჩუკი) საწარმოო გაერთიანება "აფხაზპურპროდუქტებისათვის" მარცვლეულის შეღავათიანი პირობებით გამოყოფისათვის.

აფხაზ სეპარატისტთა წარმომადგენლები ანარმოებენ მოლაპარაკებებს რუსეთის მთელ რიგ კომერციულ სტრუქტურებთან, მათგან კრედიტების გამოყოფის მიზნით:

— საგარეო ეკონომიკური ბანკი;
— რუსეთის ნაციონალური ბანკის სავალუტო ბირჟა;
— სააქციო საზოგადოება "საერთაშორისო სატყეო ბირჟა";
— რეგიონთაშორისო საფონდო ბირჟა "ვიქტორი";
— რესპუბლიკათშორისო ბირჟა "ქიმნავთობი";
— სანოვაგისა და მინის რესპუბლიკათშორისი ბირჟა;
— მოსკოვის სანავთობო ბირჟა;
— მოსკოვის ცენტრალური საფონდო ბირჟა;
— მოსკოვის სასაქონლო ბირჟა;
— ქვემოვარტის (ტიუმენის ოლქი) ნავთობის ბირჟა;
— საქმიანი თანამშრომლობის ასოციაცია "ინტერკულტიმპექსი" და სხვა.

სოლიდურ ფინანსურ დახმარებას აფხაზები ღებულობენ ე.წ. შორეული უცხოეთიდანაც.

ასე, ქ. სტამბულში (თურქეთი) ფუნქციონირებს ე.წ. "აფხაზთა დახმარების კომიტეტი", რომელიც ანარმოებს ფულადი სახსრების შეგროვებას. თანხის გარკვეული ნანილი ხმარდება აფხაზებისათვის უძრავი ქონების შესყიდვას.

აფხაზეთის აღორძინების ფონდში და სურსათის შესაძენად აფხაზეთში გერმანიაში და სლოვაკიაში, კერძოდ ბრატისლავაში მოქმედი ფირმების წარმომადგენლებმა ანატოლი ჯოჯუამ და იური ლატარიამ (ეს უკანასკნელი არის "აეროფლოტის" წარმომადგენელი სლოვაკიაში0, გადმორიცხეს დიდი თანხები. ფრანგმა ბიზნესმენებმა ჟან-კლოდ კაჩიკიანმა გამოყო კრედიტი აფხაზეთისათვის 1 მილიონი დოლარის ოდენობით (1992 წლის 25 ივნისს კაჩიკიანმა გააფორმა კონტრაქტი აფხაზეთის მთავრობასთან, რათა მას დაემზადებინა აფხაზური პასპორტები).

რუსეთის სახელმწიფო და კომერციული ბანკები კრედიტების გამოსაყოფად მოითხოვენ მტკიცე გარანტიებს. ამასთან დაკავშირებით აფხაზური მხარე გარანტიის სახით მათ ჰპირდება ქ.ქ. გაგრაში, გუდაუთასა და ბიჭვინთაში სასტუმროების, სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების გადაცემას სარგებლობაში.

ასე მაგალითად:

1994 წელს ქ.მოსკოვის რეგიონთაშორისო ბანკმა (ბანკის მმართ-

ველის მოადგილე სოხუმელი სტავრო სტილიდი) აფხაზებს გამოუყო კრედიტი 10 მილიონის ოდენობით აფხაზეთის კურორტების აღსადგენად და შემდგომში ერთობლივი გამოყენებისათვის.

ასოციაცია "ინტერკულტიმექსი" (პრეზიდენტი ვიქტორ მიშკინი) ჰპირდება სეპარატისტულ ხელისუფლებას გასცეს გრძელვადიანი კრედიტი, თუ აფხაზების მთავრობა აფხაზეთის ტერიტორიაზე შეღავათიანი პირობებით დაარეგულირებს ასოციაციის რამდენიმე სტრუქტურას, გამოუყოფს მინის ნაკვეთებს ზღვის სანაპიროზე სასტუმროებისა და პანსიონატების ასაშენებლად, გადასცემს ასოციაციის ბალანსზე "ზარალიანი" სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ნაწილს.

ქ.გაგრაში განლაგებულია თურქული ფირმის "ნანს"-ის ფილიალი (ტ. 4-16-16), რომელიც აფორმებს ხელშეკრულებებს გაგრისა და ბიჭვინთის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტების შესყიდვაზე.

გასული ნლის დეკემბერში ქ.სოხუმში იმყოფებოდნენ თურქეთის წარმომადგენლები, რომლებმაც მოახდინეს გულრიფშის ტერიტორიაზე მინის ინვენტარიზაცია, აიღეს ანალიზისათვის მინის ნიმუშები მისი ნაყოფიერების საგანზე. აფხაზი სეპარატისტები აპირებენ გულრიფშის რაიონის ტერიტორიაზე ჩაასახლონ აფხაზური წარმოშობის თურქი მოსახლეობა.

1996 ნლის 19 იანვარს ქ.მოსკოვში დსთ-ს ქვეყნების მეთაურების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ბლოკადის შესახებ პრაქტიკულად არ სრულდება, რაზეც ნათლად მეტყველებს ჩვენ მიერ მიღებული შემდეგი ოპერატიული ინფორმაცია:

— ქ.მოსკოვში კვლავინდებურად ფუნქციონირებს აფხაზეთის წარმომადგენლობა (მისამართი ვილჰელმ პიკის ქ. N 4, კორპუსი 2, ტელეფონი 187-49-87, 187-97-18), ხოლო ბოლო მონაცემებით წარმომადგენლობა აპირებს გადასვლას ახალ მისამართზე — ვოზდვიჟენკას პროსპექტი 4, ტელეფონი 202-81-23;

— ა.წ. 24 თებერვალს აფხაზეთში ავტოტრანსპორტით შეტანილ იქნა სტავროპოლის მხარის მიერ გამოყოფილი 120 ტონა პურის ფქვილი;

— 14-დან 24 თებერვლამდე აფხაზეთში რუსეთიდან ბენზინმზიდებით შეტანილ იქნა 100 ტონა სანვავი. მომავალი 2 თვის განმავლობაში დაგეგმილია კიდევ 800 ტონა ბენზინის შეტანა;

— თებერვლის შუა რიცხვებში ქ.სოჭის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა კარპოვმა გამოსცა რიგი განკარგულებებისა, რომელთა თანახმად ნებადართულია აფხაზეთიდან დიდი სოჭის ზონაში სამგზავრო ავტობუსებით აფხაზეთის მოსახლეობის გადაყვანა, რომლე-

ბიც თავისუფლდებიან ქ.სოჭის ტერიტორიაზე მოქმედი საკურორტო გადასახადისაგან. ეს გადაწყვეტილება მიღებულია აფხაზეთის რუსულენოვანი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე;

— 28 თებერვალს ქ.სოხუმის პორტში შევიდა საკვები პროდუქტებით დატვირთული გემი თურქეთიდან.

ა.წ. 5-6 თებერვალს ქ.მოსკოვში ჩატარდა კონფერენცია თემაზე "ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კონფლიქტების აღკვეთისა და გადაწყვეტის გზები".

კონფერენციას ესწრებოდა 60-მდე პოლიტოლოგი, სოციოლოგი და ფილოსოფოსი, ძირითადად რუსეთის რეგიონებიდან და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან, აგრეთვე აფხაზეთიდან — "აფხაზ-პრესის" დირექტორის მოადგილე მანანა გურგულია და ეკოლოგიის კომიტეტის თავმჯდომარე რომან დბარი.

აღსანიშნავია, რომ რიგი მონაწილეების განწყობილება არ შეესაბამებოდა კონფერენციის იდეასა და მიზნებს, რაც გამოიხატა მათ მიერ არაოფიციალურ შეხვედრებზე გამოთქმულ მოსაზრებებში.

— ადამ ხაკუზი — ადიღეის საერთაშორისო ურთიერთობის და ეროვნებათშორისო საქმეების კომიტეტის წარმომადგენელი: აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში მთელი ჩრდილოეთ კავკასია მხარს დაუჭერს აფხაზებს, მობილიზებულ იქნება ორას ათასამდე მებრძოლი, რომლებიც გაანადგურებენ მთლიანად საქართველოს. ადიღეის ხელისუფლებას გააჩნია მუდმივი კონტაქტები ვ.არძინბასთან. კონფედერაციის მებრძოლები არ ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას ჩეჩნეთის კონფლიქტში იმის გამო, რომ ამ ეტაპზე მათ არ აწყობთ რუსეთთან ურთიერთობების გამწვავება;

— შაპი კაზიევი — საზოგადოება "კავკასიის ექო" ქ.მოსკოვში: დსთ-ს ქვეყნების ლიდერების შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებები ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარების ძალისმიერი ხერხების მეშვეობით შეინარჩუნონ საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობა, შექმნიან თავისთავად კიდევ ერთ დესტაბილიზაციის ფაქტორს. არც აფხაზეთი, არც სამხრეთ ოსეთი არ დათანხმდებიან ამ გზით საკითხის გადაწყვეტას. დსთ-ს ხელმძღვანელებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში სიტუაციის გამწვავება გამოიწვევს ადეკვატურ რეაქციას ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გაუთვალისწინებელი შედეგები მთელ კავკასიის რეგიონში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მსოფლიო შეიგნებს დიდი ერების უზნეობის პოლიტიკას პატარა ერების დამონების საკითხებში.

— ალექსანდრე ისკანდერიანი — რუსეთის მეცნიერებათა აკა-

დემიის კავკასიის კვლევითი ცენტრის წარმომადგენელი: ქართულ-აფხაზური კონფლიქტის არსს წარმოადგენს მცირერიცხოვანი ერის ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ, რამაც გამოიწვია აგრესია იმპერიის მხრიდან.

აღნიშნულთაგან განსხვავებით აფხაზეთის წარმომადგენლებმა რომან დბარმა და მანანა გურგულიამ უფრო რეალურად შეაფასეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და მისი შედეგები. მათი აზრით კონფლიქტში დამნაშავეა ორივე მხარე, მაგრამ ამჟამად შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, რუსეთის ზეწოლის გათვალისწინებით, აფხაზეთი უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება დათანხმდეს მხოლოდ კონფედერაციულ მოწყობაზე.

გარდა ამისა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად აფხაზეთის ტერიტორიიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შემთხვევაში აფხაზ სეპარატისტთა ხელმძღვანელებს განზრახული აქვთ დაატოვებინონ მათ ტექნიკა და შეიარაღება, მ.ენგურის მარჯვენა სანაპიროზე კი განალაგონ თავიანთი საჯარისო ფორმირებები.

ა.წ 25 თებერვალს ქ.გალში აფხაზმა ბოევიკებმა გაძარცვეს გაეროს წარმომადგენლების "ლენდროვერის" მარკის ავტომანქანა.

ინგლისში ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის ჯორჯ ჰუიტის ხელშენყობით იბეჭდება სასკოლო სახელმძღვანელოები მეგრულ ენაზე გალის რაიონის სკოლებში მეგრულ დიალექტზე წარმართვის მიზნით.

არ შემიძლია არ გამოვხატო ჩვენი პოზიცია იმ სამშვიდობო ძალების მიმართ, რომლებიც დღეს განლაგებულია მდ. ენგურის გასწვრივ და ფაქტობრივად აფიქსირებენ ხელოვნურად შექმნილ საზღვარს საქართველოსა და აფხაზეთს შორის. ამ ძალების სარდლებმაც, როგორც ყოფილმა, ასევე დღევანდელმა, სამწუხაროდ, პროაფხაზური პოზიცია დაიკავეს და დღეს მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ არძინბას ფაშისტურ-სეპარატისტული რეჟიმი სამშვიდობო ძალების ხიშტებზეა შენარჩუნებული. გენერალი იაკუშევი მდ. ენგურის აქეთა ნაპირზე ყოფნისას ლაპარაკობს და პირდება ქართულ მხარეს იმას, რასაც ასევე გულმოდგინედ პირდება აფხაზებს მდ. ენგურის იქითა ნაპირზე ყოფნისას. მას შემდეგ, რაც სამშვიდობო ძალები განლაგდნენ გალის რაიონში, იქ არავითარი საომარი მოქმედებები არ ყოფილა, ამ პერიოდის განმავლობაში კი დაღუპულთა რაოდენობამ 1200 ადამიანს გადააჭარბა. უმეტეს შემთხვევაში ეს ქალები, ბავშვები და მოხუცებია. მათი დანაშაული ისაა, რომ ისინი ქართველებად დაიბადნენ, ამიტომაც განსაკუთრებული სისასტიკით, წამებისა და შეურაცხყოფის შემდეგ, სეპარა-

ტისტებმა მათ სული ამოხადეს. ყოველივე ეს ხდება სამშვიდობო ძალების თვალწინ. ჩვენ გაგვაჩნია უამრავი ფაქტი ადამიანთა მკვლელობების, ძარცვის, ყაჩაღობის, გაუპატიურების იმ ზონაში, რომელსაც სამშვიდობო ძალები აკონტროლებენ. ჩვენ გაგვაჩნია უამრავი მაგალითი იმისა, თუ რა დანაშაულებს ჩადიან სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურეები იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ისინი აკონტროლებენ. მაგალითისათვის მოვიყვან რამდენიმე ფაქტს:

1994 წლის 4 ივლისს ხობის რაიონის სოფელ თორსაში სამშვიდობო ძალების სამხედროებმა მოკლეს სოფლის მკვიდრი, უდანაშაულო ვახტანგ ჩხაპელია.

1994 წლის 23 ივლისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში სამშვიდობო ძალების ორი ტანკი ორი საათის განმავლობაში უშენდა ცეცხლს სოფელ ყულევის შემოგარენს. ამ ფაქტის თვითმხილველ მეთევზეებს მთვრალმა სამხედროებმა წაართვეს ნავი და თევზსაჭერი იარაღი. ამასთან ისინი ლანძღავდნენ ქართველ ხალხს და საქართველოს ხელმძღვანელობას.

1995 წლის 14 აპრილს დილის 4 საათზე ზუგდიდის პოლიციას თავს დაესხნენ მთვრალი რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხედროები პოდპოლკოვნიკ ვოლკოვის ხელმძღვანელობით. მათ განაიარაღეს პოლიციის პირადი შემადგენლობა, წაიღეს 4 ავტომატი და 4 პისტოლეტი.

1995 წლის 19 აგვისტოს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა სამხედრო მოსამსახურეებმა ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს წალენჯიხის პოლიციის შენობას — ჩაამსხვრიეს მინები, დააზიანეს კედლები, ჯავშანტრანსპორტიორით დააზიანეს პოლიციის ავტომანქანა "ჟიგული", რამდენიმე პოლიციელს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.

1996 წლის იანვრის დასაწყისში სამშვიდობო ძალების სამხედროებმა სასტიკად სცემეს ადგილობრივი მცხოვრები თენგიზ გიგანი, ხოლო შემდეგ გადაუწვეს სახლი.

მრავალია რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლების მიერ ფულის გამოძალვის და სამსახურებრივი უფლებების გადამეტების ფაქტები.

გარდა ამისა, სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები თვითნებურად აწყობენ საგუშაგოებს მათი მოქმედების ზონის ფარგლებს გარეთ და ასრულებენ საგზაო პოლიციის ფუნქციებს. იარაღის აღმოჩენის საბაბით აჩერებენ ავტომანქანებს, აწარმოებენ მათ და მგზავრთა ჩხრეკას, აყენებენ შეურაცხყოფას. მრავალი მათგანი მესტიის რაიონში იძენს ნარკოტიკულ ნივთიერებებს შემდგომი რეალიზაციის და პირადი მოხმარების მიზნით. ბოლო დროს გახშირდა

მათ მიერ იშვიათი ჯიშების ხე-ტყის მასალის აფხაზეთში გატანის ფაქტები. ასე, ა.წ. 3-4 იანვარს მესტიის რაიონის სოფ. ხაიშიდან და ჭუბერიდან გაიტანეს 50 კუბური მეტრი წაბლის ფიცარი, ხოლო ა.წ. 15 იანვარს წალენჯიხის რაიონიდან აფხაზეთში გაიტანეს სამი კამაზი ხე-ტყე.

ყურადღებას იპყრობს რუსეთის სამშვიდობო ძალების ზოგიერთი წარმომადგენლის კავშირი კრიმინალური დაჯგუფებების ხელმძღვანელებთან აფხაზეთის ტერიტორიიდან ფერადი ლითონის, ჯართისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების, პირველ რიგში თხილისა და ციტრუსების გატანის და შემდგომ მათი რეალიზაციის მიზნით.

ამ და სხვა დანაშაულებზე ჩვენ მიერ შეტყობინებულია თავდაცვის მინისტრი პ.გრაჩოვი და რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი ვ.იაკუშევი, ამიტომაც ამის და სხვა ფაქტების გათვალისწინებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აყენებს საკითხს რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე საქართველოს ტერიტორიიდან.

IV. პოლიტიკური, ეკონომიკურ-სოციალური სიტუაცია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე

ჩვენ მიერ ოპერატიული და ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, აფხაზეთში რთული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა. გრძელდება მაფიოზური კლანების და შეიარაღებული დაჯგუფებების თარეში. უკიდურესად გამწვავდა ურთიერთდამოკიდებულება აფხაზეთში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ღრმა კრიზისს განიცდის ეკონომიკა, ფაქტობრივად დღეისათვის აფხაზეთი იმყოფება პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში.

I. პოლიტიკური ვითარება

ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ შემდეგი პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები:

1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია "აიდგილარა", შეიქმნა 1989 წელს. მისი ამჟამინდელი ლიდერია ყოფილი სსრკ მწერალთა კავშირის წევრი, მწერალი გენადი ალამია (აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების პერიოდში გ.ალამია იყო სეპარატისტთა ხელისუფლების წარმომადგენელი ჩრდილოეთ კავკასიაში და კოორდინაციას უწევდა დაქირავებულთა აფხაზეთში გადმოყვანას). თავისი ჩამოყალიბების დღიდან "აიდგილარა" ასრულებდა და ასრულებს აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიური ცენტრის ფუნქციებს. სწორედ მისი ძალისხმევითა და მხარდაჭერით მოხდა ვ.არძინბას ხელისუფლების სათავეში მოსვლა და მისი ავტორიტეტის განმტკიცება. ამჟამად "აიდგილარა" წარმოადგენს აფხაზეთის ყველაზე მასიურ და წამყვან პოლიტიკურ ძალას. იგი მთლიანად იზიარებს და გარკვეულწილად წარმართავს კიდეც ვ.არძინბას პოლიტიკურ კურსს. აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო "Эхо Абхазии", რომლის დირექტორია ვიტალი შარია, ტირაჟი 4 000 ეგზემპლარი.

2. აფხაზეთის კომუნისტური პარტია ითვლის 3 ათასამდე წევრს, მისი თავმჯდომარეა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, პარლამენტის დეპუტატი ოლეგ დომენია, რომელიც ცნობილია როგორც აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიის აქტიური პროპაგანდისტი. პარტიას გააჩნია თავისი საპარლამენტო ფრაქცია (დომენია იყო 1968, 1979 წწ. აფხაზეთში მომხდარი მოვლენების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი).

3. აფხაზეთის რუსული თემი "სლავური სახლი" ჩამოყალიბდა 1990 წელს. თავმჯდომარეა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, პარლამენტის დეპუტატი ვიქტორ ლოგინოვი. პარლამენტში ჰყავთ ორი დეპუტატი, სარგებლობენ გარკვეული გავლენით ადგილობრივ რუსულენოვან მოსახლეობაში. აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე და მისი მსვლელობისას აქტიურად მონაწილეობდნენ აფხაზეთში "კაზაკური" მოძრაობის ჩამოყალიბებაში, კაზაკთა დაქირავებაში და მათ ჩამოყვანაში აფხაზთა მხარეს საომრად.

4. სომხური კულტურულ-საქველმოქმედო ორგანიზაცია "კრუნკი", ჩამოყალიბდა 1990 წელს, თავმჯდომარე პარლამენტის ვიცესპიკერი ალბერტ ტოპოლიანი, პროფესიით ექიმი. აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებამდე ა.ტოპოლიანის აქტიური მონაწილეობით "კრუნკი" აგროვებდა ადგილობრივ სომხურ მოსახლეობაში ფულად სახსრებს, რომელიც ხმარდებოდა აფხაზ სეპარატისტთათვის იარაღის შეძენის საქმეს. პარლამენტში წარმოადგენს ცალკე ფრაქციას.

5. აფხაზეთის უხუცესთა საბჭო, თავმჯდომარე პავლე არძინბა, მოადგილე ბაჯგურ საღარია. ორგანიზაციას არ გააჩნია პოლიტიკური მიმართულება, თუმცა სარგებლობს დიდი გავლენით. აქვს რეგიონალური განყოფილებები თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში.

6. პოლიტიკური გაერთიანება "აფხაზეთის ინტელიგენცია", მისი თავმჯდომარეა მწერალი ჯუმა ახუბა, რომელიც გამოირჩევა თავისი ექსტრემისტული შეხედულებებით. რიგი წლების განმავლობაში იმყოფებოდა ყოფილი სუკ-ის დამუშავებაში, როგორც სეპარატიზმის იდეოლოგი. აღნიშნული ორგანიზაცია მცირერიცხოვანია, მოქმედებს "აიდგილარასთან" მჭიდრო კავშირში.

7. აფხაზეთის სახალხო პარტია, ჩამოყალიბდა 1992 წელს. პარტიის თავმჯდომარეა ყოფილი კომკავშირული და პარტიული ფუნქციონერი ანზორ ლაზბა. აღნიშნული პარტიის წესდება და პროგრამა, ისევე როგორც მისი შექმნის ინიციატორი იგორ მარხოლია (სეპარატიზმის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იდეოლოგი), გამოირჩევა უკიდურესი რადიკალიზმით. საომარი მოქმედებების და მის შემდგომ პერიოდში პარტია რაიმე აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას არ ეწევა.

8. აფხაზეთის ქალთა კავშირი გავლენით არ სარგებლობს, მცირერიცხოვანია. შესაბამისად პოლიტიკური აქტივობაც სუსტი აქვს.

9. აფხაზეთის მეწარმეთა კავშირი, ხელმძღვანელი ბესლან კობახია, აფხაზეთის საპრივატიზაციო კომისიის თავმჯდომარე. გამოდის ძირითადად ეკონომიკური რეფორმების მოთხოვნით.

ყველა პარტია და ორგანიზაცია მხარს უჭერს ვ.არძინბას პოლი-

ტიკურ კურსს, მიმართულს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისაკენ. მათი მოქმედების კოორდინაციის მიზნით 1995 წლის იანვარში კომპარტიის ინიციატივით შეიქმნა საკოორდინაციო კომიტეტი "თანხმობა".

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება კვლავინდებურად სარგებლობს აფხაზი მოსახლეობის ფართო ფენის მხარდაჭერითა და ნდობით. მართალია იგი ვერ ახერხებს ეკონომიკური კრიზისის დაძლევასა და კრიმინოგენული ვითარების უკეთესობისაკენ შეცვლას, რაც მოსახლეობის გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევს, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ფლობს სიტუაციას.

ვ.არძინბას გარემოცვაში შეიმჩნევა გარკვეული უთანხმოებანი აფხაზეთის რესპუბლიკის მომავალი მოწყობისა და მისი ორიენტაციის პერსპექტივებთან დაკავშირებით. კერძოდ, ჯგუფს, რომელსაც სათავეში უდგას კონსტანტინე ოზგანი, მიაჩნია, რომ მომავალში აფხაზეთი უნდა იყოს დამოუკიდებელი, მუსულმანურ თურქეთზე ორიენტირებული სახელმწიფო, ხოლო აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები სტანისლავ ლაკობა და ზურაბ აჩბა პრორუსული ორიენტაციისა არიან და აფხაზეთის მომავალს ხედავენ მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაში.

ვ.არძინბა ფაქტიურად იზიარებს კ.ოზგანისა და მისი გუნდის პოზიციას, მაგრამ არსებულ ვითარებაში იძულებულია ითამაშოს პრორუსული ორიენტაციის ლიდერის როლი. ამ მხრივ აღსანიშნავია ვ.არძინბას მოსაზრება, რომელიც მან ა.ნ. აპრილის ბოლოს გაუზიარა ს.ლაკობას: "ჩვენ რამდენიც არ უნდა ვაქამოთ რუს ღორებს, მაინც ვერ გავაძღებთ მათ და შესაძლოა ნებისმიერ დროს გვიღალატონ, ამიტომ იძულებულნი ვართ გავაკეთოთ აქცენტი მუსულმანურ სამყაროზე"

ჩეჩნეთში საბრძოლო მოქმედებების დაწყებისა და მდინარე ფსოუზე სასაზღვრო რეჟიმის გამკაცრების შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა პროთურქული განწყობილებები, როგორც სეპარატისტთა ლიდერებს შორის, ასევე აფხაზური მოსახლეობის ფართო ფენებში. სავარაუდოა, რომ სწორედ ასეთმა ვითარებამ განაპირობა აფხაზეთის ვიცე-პრემიერის ი.ვორონოვის მკვლელობა, რომელიც მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში გამოდიოდა აფხაზეთის რუსეთის ფედერაციაში გაერთიანების მოთხოვნით და ამ ამოცანის განხორციელება მიაჩნდა თავისი ცხოვრების ძირითად მიზნად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხში სეპარატისტებს, მიუხედავად მათი შინაგანი წინააღმდეგობისა, სრულიად ერთგვაროვანი პოზიცია უკავიათ. ისინი კატეგორიულად წინა-

ალმდეგი არიან საქართველოსთან ფედერაციული მონყობისა და თვლიან, რომ უნდა დაიდოს ხელშეკრულება, როგორც ორ თანაბარუფლებიან სუბიექტს შორის. მათი ეს პოზიცია დაფიქსირდა აფხაზეთის პარლამენტის სესიაზე, რომელიც ა.წ. 22 აგვისტოს გაიმართა ქ.სოხუმში. ამავე დროს, საქართველოს კონსტიტუციის მიღების შემდეგ, რასაც სეპარატისტთა ლიდერები არ მოელოდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ საქართველოს ამჟამინდელი პარლამენტი ვერ შეძლებს კონსტიტუციის მიღებას, უთანხმოებანი მათ შორის განსაკუთრებით გამწვავდა. ამაზე მოწმობს აფხაზეთის პარლამენტის 30 აგვისტოს სალამოს სხდომა, სადაც დეპუტატთა გარკვეულმა ნაწილმა (მათ შორის ი.ვორონოვმაც) მკაცრად გააკრიტიკა ვ.არძინბას პოლიტიკური კურსი და მოითხოვა მისგან უმოკლეს ვადებში გარკვეულიყო აფხაზეთის სამომავლო ორიენტაციის საკითხი.

იმყოფება რა ფაქტიურ პოლიტიკურ იზოლაციაში, აფხაზეთის ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს იზოლაციის გასარღვევად. ამ მიზნით მას გახსნილი აქვს წარმომადგენლობები და დანიშნული ჰყავს თავისი წარმომადგენლები შემდეგ ქვეყნებში:

1. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში — ვიაჩესლავ ჩირიკბა,ჰოანინის სამეფო უნივერსიტეტის თანამშრომელი;

2. თურქეთში — ვლადიმერ ავიძბა, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი მესამე მდივანი;

3. ინგლისში — ჯორჯ ხიუიტი,ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი, ქართველოლოგი, ჰყავს აფხაზი ეროვნების მეუღლე ზაირა ხიბა.იმყოფებოდა აფხაზეთის ყოფილი სუკ-ის დამუშავებაში, როგორც ინგლისის სპეცსამსახურის სავარაუდო თანამშრომელი,1989-1990 წლებში გამოქვეყნებული აქვსანტიქართული სტატიები;

4. ამერიკის შეერთებულ შტატებში — ინალ კაზანი, ეთნიკური აფხაზი.

5. ყაბარდო-ბალყარეთში — ვიაჩესლავ არძინბა, აფხაზეთის კულტურის მინისტრის ყოფილი მოადგილე.

6. რუსეთში: ქ. მოსკოვში — იგორ ახბა

ქ. სანკტ-პეტერბურგში — სერგეი დელბა და გიორგი ბარციცი.

7. ადიღეაში — ვალერი არშბა, აფხაზეთის ყოფილი პარტიისსაოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის უფროსი.

8. სირია, იორდანია, ეგვიპტეში — ვადელ არუტაა (ეთნიკური აფხაზი).

აფხაზეთის ხელისუფლება ცდილობს აგრეთვე დაამყაროს პირდაპირი კონტაქტები რუსეთის ფედერაციის ცალკეულ სუბიექტებთან. მაგალითად, 1994 წელს ვ.არძინბა ვიზიტით იმყოფებოდა ბაშკირეთსა დათათარსტანში, სადაც გააფორმა რიგი ხელშეკრულებები ეკონომიკის, ტურიზმისა და სხვა დარგებში. 1995 წლის მაისში გაფორმებულ იქნა ორმხრივი ხელშეკრულება ყაბარდო-ბალყარეთთან. აგვისტოს დასაწყისში აფხაზეთში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ჩუვაშეთის პრეზიდენტი ბ.ფიოდოროვი.

რუსეთის რეაქციულ პოლიტიკურ წრეებთან კონტაქტების დამყარების საქმეში სეპარატისტებს აქტიურ დახმარებას უწევს აფხაზეთის რუსული თემი "სლავური სახლი", რომლის ნარმომადგენლებმა მათი ლიდერის ვიქტორ ლოგინოვის მეთაურობით, ა.წ. ივლისში მონაწილეობა მიიღეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსთან არსებული "რუსული თემების" კონგრესის ყრილობაში.

პარალელურად რუსეთში მიმდინარეობს საზოგადოებრივი მოძრაობის "Россия в помощь Абхазии" ჩამოყალიბება, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ და საქმიან წრეებში სეპარატისტთა სასარგებლო განწყობილებების შექმნას და აფხაზეთისათვის ეკონომიკური დახმარების განევას. ამ მიზნით ა.წ. 14-15 ივლისს მოსკოვში იმყოფებოდა სეპარატისტთა ვიცე-პრემიერი ი.ვორონოვი. არსებული ინფორმაციის თანახმად აღნიშნული განზრახვის განხორციელებაში მას აქტიურ დახმარებას უწევენ სეპარატისტთა "ტრადიციული მეგობრები" ბაბურინი, ზატულინი, შოიგუ, ჟირინოვსკი, ზიუგანოვი და სხვები.

მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ და უკიდურესად რთულმა კრიმინოგენულმა ვითარებამ განაპირობა აფხაზური და რუსულენოვანი მოსახლეობის დაპირისპირება, რაც კიდევ უფრო გაღრმავდა ჩეჩნეთის მოვლენებისა და მდინარე ფსოუზე სასაზღვრო რეჟიმის გამკაცრებასთან დაკავშირებით. ანტირუსული განწყობილებები იგრძნობა როგორც სამთავრობო, ასევე საყოფაცხოვრებო დონეზე, მაღაზიებში, ბაზარში, ტრანსპორტში. სულ უფრო ხშირად გაისმის აფხაზებისაგან, რომ რუსი მოსახლეობა დამოუკიდებელ აფხაზეთში "მეხუთე კოლონის" როლს ასრულებს. აფხაზეთის რუსი მოსახლეობა რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტში ცალსახად უჭერს მხარს რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს. აფხაზ სეპარატისტთა დამოკიდებულება რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსისადმი ჩეჩნეთთან მი-

მართებაში უარყოფითია და ხშირად აკრიტიკებენ მას რადიო-ტელევიზიით, პრესით.

უკიდურეს უკმაყოფილებას გამოხატავს სომეხი ეროვნების მოსახლეობა, რომელსაც მიაჩნია, რომ მათი დიდი დამსახურება სეპარატისტების გამარჯვების საქმეში ომის შემდგომ აფხაზეთში სათანადოდ არ ფასდება. მაგალითად, პრაქტიკულად არ არის გათვალისწინებული მათი ინტერესები აფხაზეთში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში. ფაქტიურად სომეხი ეროვნების მოსახლეობას, ისევე როგორც სხვა რუსულენოვანი მოსახლეობის უმრავლესობას, ვ.არძინბას განკარგულების თანახმად არ შეუძლია მოახდინოს რაიმე მნიშვნელოვანი და მომგებიანი სამრეწველო თუ საყოფაცხოვრებო ობიექტების პრივატიზება, მაშინ როცა აფხაზებისა და აფხაზური ნარმოშობის უცხოელებისათვის არ არსებობს არავითარი შეზღუდვები. მათ ქ.სოხუმში მოქმედი "ბიშნიხუ-ინვესტ" ბანკიდან ეძლევათ დაბალპროცენტიანი სესხები.

სომხური საზოგადოება "კრუნკი" რუსული "სლავური სახლის" მსგავსად დაშლის პირასაა, ვინაიდან აფხაზ სეპარატისტებს მიაჩნიათ, რომ ამ საზოგადოებებმა შეასრულეს თავიანთი ისტორიული როლი ქართველების ნინააღმდეგ ბრძოლაში და მათი შემდგომი არსებობა არ არის მიზანშეწონილი. ეს საზოგადოებები განიცდიან გარკვეულ შევინროებას. მათ არ აძლევენ საეთერო დროს, პრესით გამოსვლის საშუალებას. ყოველივე აღნიშნულის გამო აფხაზეთის რუსულენოვანი მოსახლეობა ცდილობს შეძლებისდაგვარად დატოვოს აფხაზეთის ტერიტორია და საცხოვრებლად გადავიდეს რუსეთში და დსთ-ს სხვა ქვეყნებში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვ.არძინბასა და მის თანამოაზრეებს აფხაზეთში პოლიტიკური ოპონენტები ფაქტიურად არა ჰყავთ. ქ.მოსკოვში გახიზნული აფხაზების ავტორიტეტული ნარმომადგენლები (დ.ფილია, ა.ანქვაბი, ზ.ლაბახუა, ტ.შამბა და სხვები) ცდილობენ შექმნან არძინბას ოპოზიცია და შემოიკრიბონ თავიანთ გარშემო საღად მოაზროვნე ძალები, მაგრამ იმის გამო, რომ მათთვის გაურკვეველია რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება არძინბას მიმართ, ისინი ვერ ბედავენ აქტიურ მოქმედებას მის წინააღმდეგ.

II. აფხაზური დიასპორა

გასული საუკუნის კავკასიური ომების შედეგად მრავალრიცხოვანი ჩერქეზულ-აფხაზური დიასპორა გაფანტულ იქნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც მათ ძირითადად შეინარჩუნეს ეროვ-

ნული თვითშეგნება და ამჟამად დიდ ინტერესს ამჟღავნებენ თანამედროვე აფხაზეთის მიმართ.

აფხაზური დიასპორა უმთავრესად განსახლებულია თურქეთში, სირიაში, იორდანიასა და ერაყში, აგრეთვე მათი მცირერიცხოვანი წარმომადგენლები ცხოვრობენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში.

1992-1993 წლებში აფხაზთა მხარეს ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო 200-მდე აფხაზური წარმოშობის თურქეთისა და სირიის მოქალაქემ. ზოგიერთი მათგანი დაიღუპა, რის შესახებ გაგვაჩნია დოკუმენტური მასალები.

გარდა ამისა, აფხაზურ დიასპორას უცხოეთში შექმნილი აქვს მთელი რიგი საზოგადოებები, რომლებიც დაკავებულნი არიან აფხაზეთის პოლიტიკური მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით. მაგალითად, 1991 წელს სტამბულში ვინმე ჯამალედინ არძინბას თავმჯდომარეობით შეიქმნა "კავკასიურ-აფხაზური სოლიდარობის კომიტეტი", რომელიც გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალს "ალაშარ" (რედაქტორი ხაირო კუტარბა). აშშ-ს ნიუჯერსის შტატში მოქმედებს "ჩრდილო-კავკასიური კულტურული ცენტრი" (პრეზიდენტი იახია კაზანი). ეგვიპტეში არსებობს "ჩერქეზ ძმათა საზოგადოება", სადაც მოქმედებს აფხაზური განყოფილება. ამჟამად ყველა საზოგადოებრივი გაერთიანება შედის "აფხაზ-აბაზგთა საერთაშორისო ასოციაციის" შემადგენლობაში, რომლის თავმჯდომარეა ტარას შამბა.

სეპარატისტთა ხელმძღვანელობა ცდილობს დაამყაროს მჭიდრო კონტაქტები აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებთან, რათა მათი მეშვეობით მოახდინოს ეთნიკურ აფხაზთა რეპატრიაცია. ამ მიზნით 1993 წ. ბოლოს ქ.სოხუმში დაარსდა "აფხაზთა განსახლების კომიტეტი", რომელშიც აფხაზური წარმოშობის თურქების ინტერესებს წარმოადგენს ვინმე მამთაზ დეპიროზი სტამბულიდან. ამ უკანასკნელის ინიციატივით 1993 წლის ნოემბერში ქ.ანკარაში მოეწყო მიტინგი, რომლის მონაწილეებიც მოითხოვდნენ თურქეთის მთავრობისაგან მიეღოთ კანონი ორმაგი მოქალაქეობის შესახებ აფხაზეთში გადასახლების მსურველთათვის.

აფხაზეთში საცხოვრებლად ჩამოსული ეთნიკური აფხაზების განსახლებისა და მოწყობის კოორდინაციის მიზნით ე.წ. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს ნუგზარ აშუბა. ამჟამად აფხაზეთში, უპირატესად გულრიფშის რაიონში, განსახლებულია რეპატრიანტთა დაახლოებით 100-მდე ოჯახი.

აფხაზურ დიასპორათა ორგანიზაციები მთლიანად უჭერენ

მხარს ვ.არძინბას პოლიტიკურ კურსს. მაგალითად, ა.წ. მაისში აფხაზეთის პარლამენტის დელეგაცია კომპარტიისა და "აიდგილარას" წარმომადგენლებთან ერთად კონსულტაციებისათვის ეწვია სტამბულს. ასევე ა.წ. მარტში ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით სოხუმში ჩატარდა პარლამენტის გაფართოებული სხდომა სირიის, თურქეთისა და აშშ-ს აფხაზურ დიასპორათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

აფხაზური დიასპორის ცალკეული წარმომადგენლები აფხაზეთში მუშაობენ კონსულტანტებად ეკონომიკისა და საერთაშორისო სამართლის დარგში, აგრეთვე დახმარებას უწევენ სპეცსამსახურებს.

III. აფხაზთა კავშირები ჩრდილოეთ კავკასიელ სეპარატისტებთან

მიუხედავად იმისა, რომ არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, აფხაზ სეპარატისტთა ლიდერების გარკვეული ნაწილი გამოდის რუსეთის ფედერაციაში გაერთიანების მოთხოვნით, მათი საბოლოო მიზანი იყო და რჩება ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ერთად ერთიანი მუსულმანური სახელმწიფოს შექმნა კასპიიდან შავ ზღვამდე. ამ მხრივ ნიშანდობლივია სეპარატისტთა პრორუსული ფრთის ამჟამინდელი ლიდერის სტანისლავ ლაკობას 1990 წლის 16 აგვისტოთი დათარიღებული სტატია "მთიელთა რესპუბლიკა გუშინ და ...", რომელშიც ის მოუწოდებს ჩრდილოკავკასიელ ხალხებს გაერთიანებისაკენ და 1918-1921 წლებში არსებული მთიელთა რესპუბლიკის რეანიმიციისაკენ.

სწორედ ამ მიზნით განხორციელებას ემსახურებოდა 1989 წელს აფხაზ სეპარატისტთა ინიციატივით შექმნილი კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია (კხკ), რომელმაც შემდგომში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პერიოდში, აქტიური როლი ითამაშა სეპარატისტთა გამარჯვების საქმეში. სწორედ კონფედერაციის მეშვეობით ხდებოდა ჩრდილოეთკავკასიის რესპუბლიკებში მებრძოლთა დაქირავება და მათი აფხაზეთში გადმოსროლა. 1992-1993 წლებში მარტო ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან სხვადასხვა პერიოდში აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილეობა მიიღო და საბრძოლო წრთობა გაიარა 7 ათასამდე მოხალისემ და დაქირავებულმა.

თავს არიდებს რა რუსეთთან ღია დაპირისპირებას, სეპარატისტთა ხელისუფლება შეძლებისდაგვარ დახმარებას უწევს დ.დუდაევის რეჟიმს, როგორც ეკონომიურად, ასევე ცოცხალი ძალითაც.

ამაზე მეტყველებენ აფხაზ ბოევიკთა ჩეჩნეთის კონფლიქტში მონაწილეობის მრავალრიცხოვანი ფაქტები, აგრეთვე დაჭრილი ჩეჩენი მებრძოლების მკურნალობისა და რეაბილიტაციის არაერთი შემთხვევა აფხაზეთის საავადმყოფოებსა და სანატორიუმებში.

ჩრდილოეთკავკასიაში რუსეთის პოლიტიკის გააქტიურებისა და კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის აფქტობრივი დაშლის (თუმცა კონფედერაციის შტაბ-ბინა ამჟამადაც განთავსებულია ქ.სოხუმში ყოფილი სასტუმრო თბილისის შენობაში) შემდეგ, აფხაზებისა და ჩრდილოკავკასიელი ხალხების, მათი საზღვარგარეთული დიასპორების გაერთიანებისა და კონსოლიდაციის საქმე თავის თავზე აიღო "აბხაზ-აბაზგთა საერთაშორისო ასოციაციამ" (თავმჯდომარე ტარას შამბა). ეს ორგანიზაცია აერთიანებს არა მარტო აფხაზთა, არამედ ჩრდილოკავკასიელ ხალხთა საზღვარგარეთულ დიასპორებს, ცდილობს აქტიური კონტაქტები დაამყაროს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებთან და ორგანიზაციებთან.

IV. საკადრო საკითხები (მთავრობა, პარლამენტი)

აფხაზეთში გაბატონებულმა ვ.არძინბას დიქტატორულმა რეჟიმმა უკვე "შეინირა" ბევრი ყოფილი მისი თანამოაზრე (ნ.ხაშბა, კ.არშბა, ე.კაპბა და სხვა). მცირეოდენი ეჭვის საფუძველზე ვ.არძინბა აოავისუფლებს ამა თუ იმ პიროვნებას, ხოლო თანამდებობაზე დანიშვნა ხორციელდება აფხაზ სეპარატისტთა ლიდერისადმი პირადი ერთგულების და ნათესაური კავშირის ნიშნით.

მინისტრთა ახალი კაბინეტი, ნაცვლად ა.წ. 5 იანვარს დათხოვნილი კაბინეტისა, ვ.არძინბას მიერ დანიშნული იქნა აპრილის პირველ რიცხვებში. ძველი კაბინეტი დათხოვნილი იქნა პარლამენტის უმრავლესობის მოთხოვნით. მათი აზრით, მთავრობა თავს ვერ ართმევდა შიდა და საგარეო პრობლემებს.

ახალი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შევიდნენ შემდეგი პირები:

1. პრემიერ-მინისტრი — ლ.გ. გაგულია.
2. პირველი ვიცე-პრემიერი — ს.ვ. ბაგაფში
3. ვიცე-პრემიერი — ი.ნ. ვორონოვი
4. ვიცე-პრემიერი — ვ.ა. არშბა
5. ვიცე-პრემიერი — ნ.ლ. გეზერდავა
6. ვიცე-პრემიერი — ვ.ტ. მიქანბა

7. თავდაცვის მინისტრი — ს.ა. სოსნალიევი
8. შინაგან საქმეთა მინისტრი — გ.კ. აგრბა
9. საგარეო საქმეთა მინისტრი — ლაკერბაია
10. კულტურის მინისტრი — კ.ზ. ხაგბა
11. განათლების მინისტრი — ბ.ა. დბარი
12. ფინანსთა მინისტრი — ლ.დ. ბგახბა
13. ეკონომიკის მინისტრი — კ.ა. ტუჟბა
14. იუსტიციის მინისტრი — რ.ს. ჯინჯოლია
15. ჯანდაცვის მინისტრი — ა.ა. გურგულია
16. შრომისა და სოციალური
დაცვის მინისტრი — ნ.ი. მისტაკოპულო
17. სოფლის მეურნეობის მინისტრი — ი.გ. აკაბა
18. საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარე — ა.ს. აიბა
19. გეოლოგიის, გეოდეზიის და კარტოგრაფიის
კომიტეტის თავმჯდომარე — პ.შ. კაზანბა
20. სტანდარტების, მეტროლოგიის და
სერტიფიკაციის კომიტეტის თავმჯდომარე — ნ.ა. ნერსესიანი
21. სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე — ვ.ი. დელბა
22. მინისტრთა კაბინეტის აპარატის უფროსი — ვ.მ. ცუგბა

(ა.წ. 11 სექტემბერს ი.ვორონოვი მოკლულ იქნასოხუმში საკუთარ ბინაში).

აფხაზეთის პარლამენტი მუშაობს იმ შემადგენლობით, რომელიც იყო არჩეული 1991 წელს. დარჩენილია იმ დროს არჩეულ დეპუტატთა დაახლოებით 60%. პარლამენტში წარმოდგენილია თითქმის ყველა მოქმედი პოლიტიკური პარტია თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მათგან ყველაზე გავლენიანებია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია "აიდგილარა" და აფხაზეთის კომუნისტური პარტია.

საპარლამენტო ოპოზიციას წარმოადგენენ პროთურქულად განწყობილი დეპუტატები, კონსტანტინე ოზგანის ხელმძღვანელობით. მათ საკუთარი პარტია არ გააჩნიათ.

პარლამენტის სპიკერია სოკრატ ჯინჯოლია, ვიცე-სპიკერებია სტანისლავ ლაკობა და ალბერტ ტოპოლიანი.

პარლამენტში შექმნილია შემდეგი მუდმივმოქმედი კომისიები:

1. ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია, თავმჯდომარე ნათელა აკაბა;

2. სამართლებრივი კომისია, თავმჯდომარე ვ.გურჯუა;

3. მეცნიერების, კულტურისა და განათლების კომისია, თავმჯდომარე სერგეი შამბა.

V. ეკონომიკური ვითარება

აფხაზეთის ეკონომიკა თანამედროვე ეტაპზე იმყოფება უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში.

მიმდინარე წელს მიღებულ იქნა რესპუბლიკის ბიუჯეტი, რომლის შემოსავალიც შეადგენს 28 830 300 ათას რუსულ მანეთს, გასავალი კი 39 390 913 ათას მანეთს. დეფიციტი შეადგენს 10 560 713 ათას მანეთს. შედარებისათვის 1994 წლის ბიუჯეტის შემოსავალი შეადგენდა 12 599 400 ათას მანეთს, გასავალი კი 9 651 000 ათას მანეთს.

1995 წლის ბიუჯეტის გასავალი განაწილებულია შემდეგნაირად:

1. სახალხო მეურნეობა — 4 258 325 ათასი
2. სოციალურ-კულტურული სფერო — 20 159 138 ათასი
3. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები — 2 917 962 ათასი
4. თავდაცვის ხარჯები — 6 000 000 ათასი
5. სამართალდამცავი ორგანოები — 3 357 609 ათასი
6. მეცნიერება — 921 852 ათასი
7. საინფორმაციო საშუალებები — 471 307 ათასი

ბიუჯეტის შემოსავალი ნაწილის წყაროებია: გადასახადები, სოფლის მეურნეობის პროდუქციიდან მიღებული შემოსავალი, წარმოება, ტურიზმი, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ ბიუჯეტი არ შესრულდება და დეფიციტი უფრო დიდ მასშტაბს მიაღწევს, რაც განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

ა) ტურისტული სეზონის ჩაშლით, რაც გამოწვეულია რუსეთის მხრიდან საზღვრის ჩაკეტვით. წლეულს რეალიზებულ იქნა მხოლოდ 15 ათასი საგზური, ნაცვლად დაგეგმილი 150-200 ათასისა;

ბ) სტიქიური უბედურებით. 1994 წლის შემოდგომის ყინვებმა დაღუპა ციტრუსების მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი, აღებულ იქნა მხოლოდ 20%. 1995 წლის ივნისის წყალდიდობამ გაანადგურა საგაზაფხულო ნათესები.

სასაზღვრო რეჟიმის გაგრძელებით გართულდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თუ ფერადი ლითონების ექსპორტი, ხოლო თურქეთში მოძრავი სამი გემი ("რინა", "აფხაზეთი", "მოქვი") ამინდს ვერ შექმნის.

ეს მიზეზები და ომის შემდგომი სიმძიმეები არ აძლევს აფხაზეთის ხელისუფლებას შესაძლებლობას დაძლიოს ეკონომიკური კრიზისი.

ქ.სოხუმში ფუნქციონირებს სამი ბანკი:

"სოხუმბანკი" — დირექტორი ზ.აჩბა, მდებარეობს პუშკინის ქუჩაზე.

"გარანტბანკი" — დირექტორი მიშა ჩალმაზი.

"ბაშნიხუ-ინვესტი" — დირექტორი ზურაბ ადლეიბა, მდებარეობს ფრუნზეს ქუჩაზე.

ეს ბანკები, განსაკუთრებით კი "ბაშნიხუ-ინვესტი", თავის კომერციულ საქმიანობაში მთავარ აქცენტს აკეთებენ თურქეთზე, საიდანაც მასიურად ჩამოაქვთ იაფი თურქული საქონელი, რომელსაც აფხაზეთში უკავია საქონელბრუნვის 80%. აფხაზური წარმოშობის თურქი მოქალაქეების მდგომარეობა აფხაზეთში სულ უფრო და უფრო მადონირებელი ხდება. ისინი ფლობენ და აკონტროლებენ აფხაზეთის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს. უმრავლესობა სავაჭრო ობიექტებისა, კაფეებისა და გასართობი დაწესებულებებისა, თურქებისა და სირიელების ხელშია.

ქარხანა "სოხუმხელსაწყო" იმ მცირერიცხოვან საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელნიც ჯერ კიდევ ფუნქციონირებენ. ქარხნის დირექტორია ასლან გიცბა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა ექსტრემისტული შეხედულებებით. ამჟამად ქარხანა გაჩერების საშიშროების წინაშე დგას, რადგან გამოიყენება მისი პოტენციალის მხოლოდ 11-12%. მოსამსახურეთა ხელფასი მინიმალურია და მასაც ვერ ღებულობენ რეგულარულად. დირექტორის ხელფასი 80-90 ათასი რუსული მანეთია. ქარხანა უშვებს ძალზე პრიმიტიულ და არაეფექტურ ჩაის საკრეფ აპარატს (ფასი 1 მილიონი რუსული მანეთი), ფლომასტერებსა და ბურთულაკიან კალმებს. საღდება გამოშვებული პროდუქციის მხოლოდ 25-30%. მიუხედავად მცდელობისა, "სოხუმხელსაწყოს" ხელმძღვანელობამ ვერ დაამყარა ხელსაყრელი კავშირები რუსეთის შესაბამის საწარმოებთან.

ფუნქციონირებს აგრეთვე სოხუმის გემთშემკეთებელი ქარხანა (დირექტორი გარი ხალბადი), რომელსაც ა.წ. აგვისტოს შუა რიცხვებში მოახდინა გემ "რინის" შეკეთება. ამჟამად აწარმოებს 270 ტონის წყალწყვის ბარჟის რემონტს.

აფხაზეთში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სეპარატისტთა ხელისუფლება ცდილობს მაქსიმალურად შეისყიდოს შემდგომი რეალიზაციისათვის გალის რაიონში დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია (თხილი, ჩაი, ციტრუსები). ამჟამად მიმდინარეობს გალის რაიონში თხილის მოსავლის შესყიდვა ადგილობრივი მოსახლეობისაგან (1 კგ თხილს იბარებენ 1000 რუსულ მანეთად, როდესაც მისი ფასი საერთაშორისო ბაზარზე საშუალოდ 2 აშშ დოლარია). აღნიშნულ პროცესში აქტიურად არიან ჩართული როგორც სეპარატისტთა ოფიციალური სტრუქტურები, ასევე კრიმინალური დაჯგუფებები და რ.ს.ძ. წარმომადგენლები. გაეროს ერთ-ერთი დამკვირვებლის აზრით, თხი-

ლის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა მოგებამ უნდა შეადგინოს 10 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი, რომლის დიდი ნაწილი კრიმინალებს დარჩებათ.

გარდა აღნიშნულისა, არძინბა და მისი თანამოაზრეები აპირებენ აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს ნაძარცვი ხელოვნების ნიმუშების (რეპინისა და ალექსეევის ფერწერული ტილოები), ანტიკვარიატის, ძველებური იარაღის, ძვირფასი ლითონებისა და ბრილიანტების რეალიზაციის შედეგად მიღებული მატერიალური სახსრების გამოყენებას ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის. აღნიშნული ქონების გასაღების მიზნით ა.წ. მაისში აფხაზეთში მონვეული იყვნენ ექსპერტები, ხელოვნებათმცოდნეები სხვადასხვა ქვეყნებიდან (ძირითადად სომეხი ეროვნების). ამ საქმიანობას აფხაზთა მხრიდან კოორდინაციას უწევს ვინმე ვალერი არშბა, რომელიც ხშირად კურსირებს სიცილიასა და მალტას შორის, სადაც ოპერატიული მონაცემებით მას ნაყიდი აქვს სახლები არძინბას ოჯახისათვის. გარდა ამისა, სეპარატისტთა ლიდერები ნაძარცვი ქონების რეალიზაციით ნაშოვნ თანხებს აბანდებენ რუსეთის, უწინარეს ყოვლისა ქ.მოსკოვის კომერციულ ბანკებში.

ამჟამად აფხაზეთში მიმდინარეობს პრივატიზაციის მოსამზადებელი სამუშაოები. საპრივატიზაციო პროცესი დაყოფილია ორ ეტაპად. პირველი უნდა გაგრძელდეს 1-2 წელს და მან უნდა მოიცვას მცირე სიმძლავრის სავაჭრო თუ სამრეწველო ობიექტები. მეორე ეტაპზე პრივატიზებული უნდა იქნას მსხვილი, მაგრამ უპერსპექტივო საწარმოები. მიწა, რენტაბელური საწარმოები და კურორტები კი უნდა დარჩეს რესპუბლიკის ხელში. მიწათსარგებლობა დაიბეგრება მაღალი გადასახადებით, რომლისგანაც განთავისუფლდებიან მხოლოდ სასოფლო პროდუქციის მწარმოებლები, ამასთან შენარჩუნებული იქნება კოლმეურნეობები და მეურნეობები.

VI. სოციალურ-კულტურული სფერო

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი განლაგებულია საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის შენობაში. რექტორია აკადემიკოსი ალეკო გვარამია. უნივერსიტეტში ხუთი ფაკულტეტია: ფიზიკა-მათემატიკის, ისტორია-სამართალმცოდნეობის, ეკონომიკური, გეოგრაფიული და ფილოლოგიური. სწავლა ფასიანია და ფაკულტეტის მიხედვით მერყეობს 700 ათასიდან 1 მილიონ რუსულ მანეთამდე (წლიური გადასახადი). ფუნქციონირებს ასევე სამედიცინო და ინდუსტრიული ტექნიკუმები. დაგეგმილია თურქული კოლეჯის გახსნა ქ.სოხუმში.

აფხაზი სეპარატისტები დიდ ყურადღებას უთმობენ ტელევიზიისა და რადიოს მუშაობას. აფხაზური ტელევიზია აღჭურვილია უახლოესი აპარატურით. თავიანთი გადაცემების დონის ასამაღლებლად ისინი რეგულარულად დიდი გასამრჯელოს ფასად იწვევენ რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის ჟურნალისტებსა და ტექნიკურ პერსონალს. აფხაზურ ტელევიზიაში მუშაობენ: რუსლან ხაშიგი, კრისტიან ბჟანია, გიორგი გულია, ემა ხოჯაა, რადა არგუნი, ვლადიმერ ნიკონოვი. ეს უკანასკნელი სარგებლობს განსაკუთრებული პოპულარობით, ვინაიდან მას მიჰყავდა აფხაზური რადიოს გადაცემები გუდაუთიდან (ომის პერიოდში).

აფხაზური ტელევიზიისა და რადიოს გადაცემები გამოირჩევა განსაკუთრებული ცინიზმითა და ზიზღით საქართველოსა და ქართველების მიმართ. ხშირია სახელმწიფო მეთაურის, პარლამენტის, ხელისუფლების სხვა ინსტიტუტების დაცინვა და შეურაცხყოფა.

სეპარატისტთა ხელისუფლების მიერ დაწესებულია შემდეგი დღესასწაულები და უქმე დღეები:

31 დეკემბერი-1 იანვარი —	ახალი წელი
7 იანვარი —	ბის დღესასწაული
14 იანვარი —	ნოფიერების ქალღმერთის დღე
8 მარტი —	ქალთა საერთაშორისო დღე
9 მაისი —	გამარჯვების დღესასწაული
29 მაისი —	მაჰაჯირობა, ბაირამობა (ოჯახის დღე)
30 სექტემბერი —	გამარჯვების დღე
28 ნოემბერი —	კონსტიტუციის დღე

აფხაზეთში მწვავედ იგრძნობა ფულის ნიშნების უკმარისობა, იშვიათად ხდება ხელფასებისა და პენსიების გაცემა, რის გამოც მოსახლეობის დიდი ნაწილი ფაქტიურად შიმშილის ზღვარზე იმყოფება, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ფენები, პენსიონერები, მარტოხელები, ძირითადად რუსი ეროვნების წარმომადგენლები. დაფიქსირებულია შიმშილის გამო სიკვდილის არაერთი შემთხვევა.

მდინარე ფსოუზე სასაზღვრო რეჟიმის გამკაცრების შემდეგ აფხაზეთში მკვეთრად შემცირდა პურის ფქვილის მიწოდება და შესაბამისად პურპროდუქტების გამოცხობა. ამიტომ სეპარატისტთა მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ბოლო 3 თვის (ივნისი-სექტემბერი) განმავლობაში 800 გრამიანი პურის ფასმა აინია 500 რუსული მანეთიდან 1500 მანეთამდე.

VII. კრიმინოგენული ვითარება

აფხაზეთში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ, მოსახლეობის დაუსაქმებლობამ და დიდძალი იარაღის უკონტროლო დაგროვებამ განაპირობა რესპუბლიკაში ურთულესი კრიმინოგენული ვითარება. ხშირია დაყაჩაღების, ადამიანთა გატაცების, მკვლელობის ფაქტები. ქ.სოხუმში ნორმალური ცხოვრება ფაქტიურად 15 საათისათვის წყდება, რის შემდეგ ქალაქი ძირითადად ნარკომანებისა და ყაჩაღების სათარეშო ადგილად იქცევა. მათ შორის ხშირია "გარჩევები" ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. დანაშაულობათა 80% მოდის 16-17 წლის ახალგაზრდებზე. ფართოდაა გავრცელებული ნარკომანია. ნარკოტიკები ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოაქვთ.

ახალგაზრდებში ძალზე არაპოპულარულად ითვლება სამხედრო სამსახური. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის პერიოდში ბევრი წვევამდელი შეგნებულად ტოვებს აფხაზეთის ტერიტორიას. ამასთან დაკავშირებით სეპარატისტთა მინისტრთა საბჭო იძულებული გახდა გამოეცა სპეციალური განკარგულება წვევამდელების რეგისტრაციის შესახებ, რომლის თანახმად ის პირები, რომელთაც არა აქვთ გავლილი სათანადო რეგისტრაცია და იმყოფებიან აფხაზეთის მიღმა, ავტომატურად ამოინერებიან საცხოვრებელი ადგილიდან. რიგ შემთხვევაში ისჯებიან ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელით. აფხაზეთში და კერძოდ სოხუმში შესამჩნევად იზრდება ვენერიული ავადმყოფობით დაავადებულთა რიცხვი, რასაც რესპუბლიკაში თურქებისა და სირიელების მომრავლებას უკავშირებენ. რთული კრიმინოგენული ვითარება ხშირად არის აფხაზეთის პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის მსჯელობის საგანი, შექმნილია სპეციალური შტაბი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, მაგრამ სიტუაცია პრაქტიკულად უცვლელი რჩება, რაზეც მოწმობს ა.წ. 11 სექტემბერს ქ.სოხუმში ი.ვორონოვის მკვლელობის ფაქტი.

დასკვნის სახით, მინდა სრულად გაგაცნოთ გენოციდის ფაქტების შემსწავლელი კომისიის ზოგიერთი ასპექტები, რომლებიც ამ კომისიის ხელმძღვანელმა პროფესორმა ლევან ალექსიძემ გამოაქვეყნა. ჩემი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე ყოფნისას ჩვენ ერთად ვაგროვებდით მასალებს ამ კომისიისთვის და უნდა ითქვას, რომ დიდი მუშაობაც ჩატარდა. მე ვეთანხმები ამ კომისიის დასკვნებს და აქიტომაც მას ვაქვეყნებ.

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა და მისმა გარემოცვამ ჩაიდინეს დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ — სწორედ მათ შექმნეს აგრესიული სეპარატიზმის იდეოლოგია და გზავნიდნენ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს უდანაშაულო მოქალაქეთა ხოცვა-ულეტისათვის, ზავის დადების შემდეგაც.

აფხაზი სეპარატისტები, როგორც წესი, თავიანთ მოქმედებას ამართლებენ ან იმით, რომ ვერ აკონტროლებენ თავიანთ შეიარაღებულ ფორმირებებს, ან იმით, რომ საჭიროა დაისაჯონ "ქართველი ტერორისტები" ჩადენილი ტერორისტული აქტებისათვის.

ძნელია იმ ფაქტის უარყოფა, რომ ზოგი ქართველი ლტოლვილი — ადგილნაცვალი პირი, რომელთა ოჯახები სეპარატისტთა და მათ დაქირავებულთა ბარბაროსული მოქმედების მსხვერპლნი გახდნენ, შედიან გალის რაიონში და შურს იძიებენ, ამასთან, ეს მოქმედება მიმართულია, როგორც აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებების, ისე იმათ წინააღმდეგ, ვინც მათთან თანამშრომლობს. ცხადია, რომ ამ მოქმედებას არა აქვს "ეთნიკური მკვლელობების" ხასიათი, რასაც "აფხაზი ხელისუფალნი" სჩადიან.

მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც კი "აფხაზი ხელისუფალნი" პასუხად სპობენ უდანაშაულო მშვიდობიან მოსახლეობას, მათ სახლკარსა და სავარგულებს, ზუსტად ისე, როგორც ამას ჰიტლერული ოკუპანტები აკეთებდნენ.

ეს სულ სხვაგვარი პოლიტიკაა.

ის ფაქტი, რომ დღესაც სეპარატისტული რეჟიმის ლიდერები უარს ამბობენ შეასრულონ თავისივე ხელმოწერილი შეთანხმებანი, მშობლიურ ადგილებში ლტოლვილთა — ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების შესახებ, განაგრძობენ ტერორის პოლიტიკას იმ პირთა მიმართ, ვინც გაბედა დაბრუნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს ეგიდით, ისევე სტიქიურად თავისი რისკის ფასად, მოწმობს, რომ ფაშისტური რეჟიმი იმედოვნებს შეინარჩუნოს ცვლილებანი მოსახლეობის დემოგრაფიულ შემადგენლობაში.

საკმარისია დავიმოწმოთ საქართველოში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თბილისის პერსონალის ანგარიში "საქართველოს რესპუბლიკის გალის რაიონში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ", რომელშიც მკაფიოდ არის დაფიქსირებული, რომ "აფხაზი ხელისუფალნი კვლავაც ახორციელებენ ძალადური ეთნიკური წმენდის პოლიტიკას, რომლის მიზანია არ დაუშვას მნიშვნელოვანი რეპატრიაცია გალის რაიონში, ანდა აფხაზეთის ნებისმიერ სხვა ადგილას. გამოყენებული ტაქტიკა ვარირებს უბრალოდ

სიტყვიერი დაშინებიდან და ხანმოკლე დაპატიმრებებიდან მკვლელობებამდე... ზოგიერთი საზარელი მხეცობა, როგორც ამას ყველაფერი მოწმობს, ჩადენილია სოხუმიდან მილებული ბრძანებით." (დასავლეთ საქართველოსა და აფხაზთა კონტროლსდაქვემდებარებულ გალის რაიონში 1995 წლის 19-21 აპრილის მოგზაურობის ანგარიში).

უშიშროების საბჭოს არაერთგზის დაუგმია აფხაზ სეპარატისტთა პოზიცია იმის გამო, რომ არ უშვებს ლტოლვილებს — ადგილნაცვალ პირებს მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში. "გამოთქვა რა სინანული იმის გამო, რომ აფხაზი ხელისუფალნი ეწინააღმდეგებიან ასეთ დაბრუნებას", უშიშროების საბჭომ 1996 წლის 12 იანვარს კვლავ მოითხოვა, რომ "აფხაზთა მხარემ არსებითად დააჩქაროს ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცესი... და უზრუნველყოს ამ რაიონში უკვე მყოფ არაორგანიზებულ რეპატრიანტთა უსაფრთხოება..." რეზ. 1036 (1996).

მაგრამ აფხაზი სეპარატისტები განაგრძობენ ტერორის, ქართული ეროვნების პირთა მკვლელობებისა და ძალადური დეპორტაციის პოლიტიკას. იმის მიუხედავად, რომ გალის რაიონში იმყოფებიან სამშვიდობო ძალები, ხლინახევრის მანძილზე დახოცილია ათასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები, მათგან, 14 არასრულწლოვანი, 144 ქალი, 50 წელზე უხნესი 742 მამაკაცი, 24 მასწავლებელი, 400-ზე მეტი პირი გაურკვეველი მიმართულებით არის წაყვანილი და უგზოუკვლოდ დაკარგული. გადამწვარია 3400 სახლი, აკრძალულია ყველა ქართული სკოლა და სკოლამდელი დაწესებულება (და ეს ხდება რაიონში, სადაც 90 პროცენტს ქართული მოსახლეობა შეადგენს). დაბრუნებულ ლტოლვილებს აიძულებენ ხელი მოაწერონ დოკუმენტებს, რომ ცნობენ სეპარატისტული რეჟიმის კანონებსა და საერთოდ იურისდიქციას, რომელიც მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს არ უცვნია.

სახელმწიფო კომისიამ თავისი მუშაობის შედეგები გააცნო მსოფლიო საზოგადოებრიობას. ამას ხელი შეუწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის საქმიანობამ, რადგან სახელმწიფო კომისიის პირველი განცხადება გამოქვეყნებული იყო დოკუმენტში E/CN 4 (1994) 123, ერთი წლის შემდეგ კი დოკუმენტში E/CN 4 (1995) 139, 1995 წლის 9 თებერვალს, რომელიც შეიცავდა სახელმწიფო კომისიის დაწვრილებით ანალიზსა და დასკვნებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ასევე ჰქონდა შესაძლებლობა გასცნობოდა ფაქტებს, რომლებიც ამხილებენ აფხაზ სეპარატისტებს კაცობრიობის წინააღმდეგ

დანაშაულის ჩადენაში (დოკ. S (1994) 225, 1994 წლის 26 თებერვალი; S (1995) 200, 1995 წლის 14 მარტი.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ დისკრიმინაციის აღკვეთისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის სპეციალურმა მომხსენებელმა, ბატონმა ა.ეიდემ 1994 წლის 6 ივლისის დოკუმენტში E/CN, 4 (SUP. 2), (1994) 36, ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მუქარას თან სდევს ეთნიკური წმენდის პროცესები (პუნქტი 31).

ჯერ კიდევ 1994 წლის 6 დეკემბერს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა ბუდაპეშტის შეხვედრაზე "ღრმა შეშფოთება გამოთქვეს ძირითადად ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის, მათი საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი განდევნისა და დიდი რაოდენობის უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვის გამო№№ (ნ. S (1994) 1435, დანართი).

ამ დასკვნებს მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ თავის 993 (1995) და 1036 (1996) რეზოლუციებში.

ამავე დებულებას იმოწმებს თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების 1995 წლის 26 მაისის მინსკის განცხადება.

სწორედ გენოციდის — ეთნიკური წმენდის პოლიტიკით, რომელსაც სეპარატისტები სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის შეიარაღებულ დაპყრობასთან ერთად ახორციელებენ, ვლინდება კიდეც ამ რეჟიმის აგრესიულობა და ანტიჰუმანურობა.

აფხაზეთის მოვლენები ანალოგიურია პლანეტის სხვადასხვა ცხელ წერტილებში მომხდარი მოვლენებისა, სადაც პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც ეროვნული თუ ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი უმცირესობის ინტერესების დაცვის პრეტენზიებით იარაღით ხელში ცდილობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიის გახლეჩას, აქტიურად იყენებენ არა მარტო საზღვარგარეთის სამხედრო, ეკონომიკურ და სხვა დახმარებას, განსაკუთრებით დაქირავებულებისას, არამედ მასობრივად და სისტემატურად არღვევენ ადამიანის უფლებებს, უწინარეს ყოვლისა, სჩადიან დანაშაულს ადამიანურობის წინააღმდეგ მისი ყველაზე საზარელი სახეობის — გენოციდის, და მისი ერთ-ერთი ფორმის, კერძოდ — ეთნიკური წმენდის სახით.

ყოველივე ეს სრულ საფუძველს გვაძლევს განვსაზღვროთ აგრესიული სეპარატიზმი როგორც ქმედობა, რომლის მიზანია ტერი-

ტორიის კუთვნილების შეცვლა ძალის ან მისი გამოყენების, დამუქრების გზით, რასაც განზრახ ახორციელებს პირთა ჯგუფი მათი მოქალაქეობის, სახელმწიფოს, ან მის ერთ-ერთი რეგიონის სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დაკავებული მდგომარეობის მიუხედავად, აგრეთვე მიეკუთვნება თუ არა ეს ჯგუფი მოსახლეობის უმრავლესობის ნაწილს, ანდა ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ თუ ენობრივ უმცირესობებს, რომლებიც ამ სახელმწიფოში ცხოვრობს.

ეს ქმედობა ვლინდება სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური ერთიანობის ძირის გამოთხრით, რათა ჩამოსცილდეს გარკვეული რეგიონის შემადგენლობას; სეპარატიზმის პროპაგანდითა და რეგიონის დემოგრაფიული სტრუქტურის ძალადური შეცვლის საქმიროებით, საჯარო გამოსვლებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და თანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ლოკალური შეიარაღებული კონფლიქტების გაჩაღებით, რათა ჩამოაცილონ ტერიტორიის ნაწილი; შეიარაღებული ბანდების, რეგულარული ძალების ჯგუფებისა თუ დაქირავებულების გამოყენებით, რომლებიც ახორციელებენ შეიარაღებული ძალის გამოყენების აქტებს სეპარატისტთა მხარეზე; ნაციონალიზმის, შოვინიზმისა და ფაშიზმის გამოვლინებით; გენოციდისა და ეთნიკური წმენდის, როგორც იმ პირთა მიმართ გენოციდის ერთ-ერთი ფორმის გამოვლინებით, რომლებიც ეკუთვნიან სხვა ეროვნებას, ეთნიკურ, რელიგიურ თუ ენობრივ ჯგუფს და ცხოვრობენ სეპარატისტთა კონტროლსდაქვემდებარებულ ტერიტორიაზე; იმით, რომ ეწინააღმდეგებიან ლტოლვილთა და ძალადურად ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებას მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში; ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სხვა მასობრივი დარღვევებით, რათა მოსახლეობა დაუმორჩილონ იარაღის ძალით დამყარებულ რეჟიმს.

აგრესიული სეპარატიზმის საფრთხე, რომელსაც განუზომელი ტანჯვა-ვაება მოაქვს ათასობით უდანაშაულო ადამიანისათვის, ბოლოს და ბოლოს გაიცნობიერეს თანამეგობრობაში გაერთიანებულმა სახელმწიფოებმა.

აგრესიული სეპარატიზმი კანონგარეშე გამოაცხადეს თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურების ალმათის შეხვედრაზე (ალმათა, 1995 წლის 10 თებერვალი).

მემორანდუმმა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერის შესახებ დააფიქსირა მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება თავიანთ ტერიტორიებზე ეროვნული კანონმდებლობისა და

საერთაშორისო ნორმების შესაბამისად განახორციელონ "სეპარატიზმის, ნაციონალიზმის, შოვინიზმისა და ფაშიზმის ნებისმიერ გამოვლინებათა აღკვეთის ღონისძიებანი" (პუნქტი 7), აგრეთვე "მხარი არ დაუჭირონ სხვა მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სეპარატისტულ მოძრაობებს, აგრეთვე სეპარატისტულ რეჟიმებს, თუ ასეთი რეჟიმები წარმოიქმნება, არ დაამყარონ მათთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ურთიერთობა, არ დაუშვან მათ მიერ თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიისა და კომუნიკაციების გამოყენება, არ გაუწიონ მათ ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო და სხვა დახმარება" (პუნქტი 8).

თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს (მინსკი, 1995 წლის 26 მაისი) განცხადებაში "აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა) კონფლიქტის შესახებ" დადასტურდა უკვე კონკრეტული სიტუაციის — აფხაზეთის კონფლიქტისადმი მისადაგებით: "ხელმძღვანელობენ რა ალმათის 1995 წლის 10 თებერვლის მემორანდუმში ჩამოყალიბებული დებულებებით სეპარატიზმის საფრთხის დაძლევის შესახებ, მონაწილე სახელმწიფოებს კონფლიქტის უსწრაფესი მოწესრიგების უმნიშვნელოვანეს პირობად ის მიაჩნიათ, რომ თანამეგობრობის ყველა სახელმწიფო განუხრელად იცავდეს ამ დებულებებს" (პუნქტი 4).

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის (მოსკოვი) გადაწყვეტილებამ "აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ", რომელმაც დაიმონმა აღნიშნული დოკუმენტები და დაადასტურა მოხსენიებული დოკუმენტებიდან გამომდინარე მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებანი, განსაზღვრა "აფხაზეთის მხარეზე ზემოქმედების ღონისძიებათა კომპლექსი".

დაგმეს ვრა აფხაზეთის მხარის დესტრუქციული პოზიცია, რომელიც ხელს უშლის კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტის, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების შესახებ ურთიერთმისაღებ მორიგებათა მიღწევას", დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება არ გაუწიონ სეპარატისტულ რეჟიმს არავითარი სამხედრო დახმარება, ხოლო ეკონომიკური, სავაჭრო-ფინანსური და სხვა ოპერაციები განახორციელონ მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით, რადგან "აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი" (პუნქტი 6).

სამწუხაროდ, სახელმწიფოთა მსოფლიო გაერთიანება ჯერჯერობით მთლიანად ვერ უთმობს ამ პრობლემას ყურადღებას, რაც მნიშვნელოვანწილად ასუსტებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნევრ სახელმწიფოთა საზღვრებში, ეგრეთ წოდებული "ეთნიკური კონფლიქტების" თავიდან აცილებისათვის გამიზნულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ძალისხმევას, რადგან არ შეიძლება სეპარატიზმს ვუდგებოდეთ სუვერენულ სახელმწიფოთა შორის დავის გადაჭრისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით დადგენილი საზომით. არ შეიძლება ერთ დონეზე დავაყენოთ სუვერენული სახელმწიფო და იარაღმომარჯვებული სეპარატისტული რეჟიმი, რომელიც უხეშად არღვევს ქვეყნის კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის და, უწინარეს ყოვლისა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეკომენდაციებს.

დადგა დრო, სერიოზულად გადაიჭრას ეს პრობლემა როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, ისე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში, რადგან ისეთი საზარელი დანაშაული, როგორიცაა გენოციდი, არათუ ამოძირკვული არ არის, არამედ ახალი ფორმაც შეიძინა, რაც ეთნიკური წმენდის საზარელი პრაქტიკით ვლინდება.

მაგრამ აგრესიულმა სეპარატიზმმა შვა ეთნიკური წმენდის საზარელი პრაქტიკა, გენოციდის ახალი ფორმა.

ამ სახეობის დანაშაულის ცნება და შინაარსი უკვე განისაზღვრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 780 (1992) რეზოლუციის შესაბამისად შექმნილი ექსპერტთა სპეციალური კომისიის მუშაობის მეოხებით, რომელმაც უნდა განიხილოს და შეისწავლოს, კერძოდ, ინფორმაცია, თუ როგორ სრულდება უშიშროების საბჭოს 771 (1992) და 780 (1992) რეზოლუციები და გენერალურ მდივანს წარუდგინოს თავისი დასკვნები ჟენევის კონვეციათა სერიოზული დარღვევებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა დარღვევების ფაქტების შესახებ, რომლებიც ხდება ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე, კერძოდ "ეთნიკური წმენდის" პრაქტიკის თაობაზე.

საჭიროა გავიმეოროთ ექსპერტთა კომისიის დასკვნები: ეთნიკური წმენდა წარმოებს მკვლელობების, წამების, თვითნებური დაპატიმრებებისა და დაკავებების, გაუსამართლებელი დასჯის, გაუპატიურებისა და სექსუალური ხელყოფის, სამოქალაქო მოსახლეობის ძალადური განდევნის, გადაადგილებისა და დეპორტაციის, სა-

მოქალაქო მოსახლეობასა და რაიონებზე მიზანმიმართული, სამხედრო თავდასხმებისა თუ თავდასხმების მუქარის, საკუთრების უაზრო განადგურების გამოყენებით (S (1994) 674, პუნქტი 129).

"ეთნიკური წმენდა" ერთი ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის მიერ შემუშავებული მიზანმიმართული პოლიტიკაა გარკვეული გეოგრაფიული რაიონებიდან სამოქალაქო მოსახლეობის ძალადური განდევნისა და ტერორის მეთოდებით სხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის მიმართ; მნიშვნელოვანწილად იგი ხორციელდება ფსევდონაციონალიზმის, ისტორიული წყენისა და შურისგების გრძნობის მძლავრი მამოძრავებლის მეშვეობით ტერიტორიის ოკუპაციისა და ამ ტერიტორიიდან ამა თუ იმ ჯგუფისა თუ ჯგუფების ოკუპაციის მიზნით, რომელთა მიმართ გამოყენებულია ეს წმენდა" (S (1994) 674, პუნქტი 130).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ აღიარა "ეთნიკური წმენდა" გენოციდის ერთ-ერთ ფორმად (რეზ. N47/121, 1992 წლის 17 დეკემბერი).

უნდა აღინიშნოს, რომ გენოციდის — ეთნიკური წმენდის ჩამდენი პირები ექვემდებარებიან საერთაშორისო იურისდიქციას, საერთაშორისო ტრიბუნალის იურისდიქციას იმის მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა ეროვნული სამართალი ასეთი პირების დასჯას.

უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის შესახებ იმ პირთა დევნისათვის, რომლებსაც ბრალად ედებათ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევები ყოფილი ლიუგოსლავიის ტერიტორიაზე (რეზ. 808. 1992 წლის 22 თებერვალი), და რომელიც უკვე მოქმედებს და იღებს გადაწყვეტილებებს.

ამრიგად, თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ფორმულირებულია ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და მასობრივი ფორმა "ეთნიკური წმენდა", განსაზღვრულია მისი იურიდიული ბუნება, სუბიექტები და ობიექტები, იმ პირთა პერსონალური პასუხისმგებლობის ფორმები, რომლებმაც ეს საერთაშორისო დანაშაული ჩაიდინეს.

საქართველოს პროკურატურამ დაამთავრა გამოძიება აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ, მისცა მათ გენოციდის კვალიფიკაცია, რომელიც ექვემდებარება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65 მუხლის 1 პუნქტს, რაც ითვალისწინებს მკაცრ დასჯას კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ამ დანაშაულისათვის. ასზე მეტი ტომი შეიცავს აფხაზ სეპარატისტთა მხეცური ქმედების ფაქტებს.

მაგრამ ტერიტორია, რომელზეც ეს დანაშაულობანი ხდებოდა,

ჯერაც სეპარატისტთა კონტროლს ექვემდებარება. ისინი დღეს ცდილობენ მიჩქმალონ მასობრივი ხვრეტის კვალი, სპობენ მსხვერპლთა საფლავებს.

სახელმწიფო კომისია გამოთქვამს იმედს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისია გვერდს არ აუვლის ჩამოყალიბებულ დასკვნებს, გაითვალისწინებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომაც, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამაც და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამაც სასტიკად დაგმეს აფხაზ სეპარატისტთა მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდა.

ჩვენ მიგვაჩნია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიამ დაგმოს ეთნიკური წმენდა, რომელსაც სეპარატისტები ახორციელებენ აფხაზეთში (საქართველო) და ჩაერთოს ადამიანურობის წინაალმდეგ მიმართულ ამ დანაშაულობათა შემდგომი გამოძიების პროცესში, რაც მომავალში ხელს შეუწყობს ამ საქმის გადაცემას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 808 (1992) რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალისათვის, რომლის კომპეტენცია შეიძლება გაფართოვდეს თავად საბჭოს გადაწყვეტილებით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ რამდენიმეჯერ მიიღო დადგენილება და ცალსახად გამოხატა თავისი პოზიცია და მიდგომა აფხაზეთის საკითხის მოგვარებისადმი. გთავაზობთ უმაღლესი საბჭოს სესიების დადგენილებებს, რომლებიც საფუძვლად დაედო ცნობილი საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, რომელიც 1996 წლის 17 აპრილს მიღებულ იქნა პარლამენტის სხდომაზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

1995 წლის 19 ივლისი

ქ.თბილისი

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების, იძულებით გადაადგილებული, ლტოლვილი მოსახლეობის მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებისა და მოწყობის ღონისძიებების გამომუშავებისა და მათი განხორციელების გზების შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ნლებში განვითარებული მოვლენების გამძაფრების, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების არნახული გართულების შედეგად ავტონომიური რესპუბლიკა აღმოჩნდა უმწვავეს მდგომარეობაში. მისი უდიდესი ნანილი საქართველოს იურისდიქციას დროებით იქნა მოწყვეტილი და იქ დამყარდა აპარტეიდული, კაცთმოძულე რეჟიმი.

განდევნილ და მშობლიურ კერებს მოწყვეტილ იქნა აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ოთხ მეხუთედზე მეტი, განხორციელებულია და გრძელდება ქართველთა ეთნიკური წმენდა, გენოციდი დააფხაზთა თვითგენოციდი. დახოცილი და დასახიჩრებულია ათიათასობით ადამიანი. გადამწვარი, დანგრეული და გაძარცვულია ქალაქები და სოფლები, ისტორიის, კულტურის, ბუნების უნიკალური ძეგლები...

უკანასკნელი პერიოდის დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ დსთ-ს, ევროგაერთიანებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ აღიარებულ იქნა აფხაზეთის კონფლიქტში ქართველთა ეთნიკური წმენდა, გენოციდი, სეპარატიზმის რეაქციული და მავნე არსი, მისი რეჟიმების პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაციის აუცილებლობა.

ამასთან ერთად, მიუხედავად საქართველოს ხელისუფლებისა და მთავრობის კურსისა ახალი კონფრონტაციის გარეშე უზრუნველყოფილ იქნას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება, აფხაზური მხარის ყოვლად მიუღებელი და უსაფუძვლო მიზეზების ნამოყენების მავნე პოზიციისა და მათდამი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამშვიდობო ძალების შემწყნარებლური, დამთმობლური დამოუკიდებლობის შედეგად, გაუმართლებლად ჭიანურდება.

საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, მიმართულმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დარეგულირებაზე, სახელმწიფოებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი

ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადებაზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო საკითხებში, ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული და გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, დღემდე სასურველი შედეგი არ მოგვცა.

სამშვიდობო ძალები, რომლებიც რუსეთის ფედერაციამ — კონფლიქტის მოგვარების გარანტმა დსთ-ს ეგიდით გამოჰყო, დღემდე ვერ აკეთებენ მთავარ საქმეს — ადგილობრივ მცხოვრებთა უსაფრთხოებისა, დევნილთა და ლტოლვილთა უპირობო, მასობრივი და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფას და ჯერჯერობით ენგურზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვარს ფაქტიურად სახელმწიფო საზღვრად აფიქსირებენ საქართველოსა და მის განუყოფელ ნაწილს — აფხაზეთს შორის.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული და დევნილი მოსახლეობა სასოწარკვეთილებით ადევნებს თვალყურს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მსვლელობას და რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო უქარწყლდება იმედი არა მარტო რუსეთის რეაქციული ძალების, არამედ ოფიციალური ხელისუფლების სურვილზე აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასა და დასრულებაზე.

ამას წინათ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ჯგუფის მიერ მომზადებული დეკლარაციის პროექტის განხილვისა და მიღების ჩავარდნა, რომელშიც ეჭვქვეშ იყო დაყენებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, საგულისხმო მოვლენაა, მაგრამ იგი საბოლოოდ და ცალსახად ვერ უსვამს წერტილს ამ ყოვლად გაუმართლებელ და საღი აზრის საწინააღმდეგო ისტორიას.

ყოველივე ეს იწვევს მოსახლეობის მწვავე, მაგრამ საფუძვლიან რეაქციას და განაწყობს მას საქართველოს ხელისუფლებისა და რუსეთის ფედერაციის, როგორც კონფლიქტის დარეგულირების გარანტისა და დსთ-ს წამყვანი ძალის საწინააღმდეგოდ.

ამის გამოხატულებაა 1995 წლის 28 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე დევნილთაპ ვდა ლტოლვილთა სამშვიდობო აქციის დაწყება ერთადერთი მოთხოვნით საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებისადმი — ზღვარი დაედოს ადამიანთა ელემენტარული უფლებების ხელყოფას და დაიწყოს და უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის დაბრუნება მშობლიურ კერებში.

აქციას მხარს უჭერენ არა მარტო დევნილები და ლტოლვილები, არამედ თბილისისა და მთელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალებისა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი.

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მიღნევაში მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შე-

ვარდნაძის 1995 წლის 29 მარტის N 41 განკარგულება, რომელშიც დასახულია აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა მშობლიურ კერებში დაბრუნებისა და მოწყობის, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა პროგრამა; სათანადო დავალებები და რეკომენდაციებია მიცემული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო, სამთავრობო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამოწყალებო და სხვა ფონდების, კერძო სტრუქტურების, ბიზნესმენებისა და პირებისათვის.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უდიდესი ნაწილი მიჩნეულ იქნას ოკუპირებულად სეპარატისტული, მაფიოზურ-კრიმინალური, დაქირავებული-ბანდიტური და მათი აპარტეიდული, დანაშაულებრივი რეჟიმის მხარდამჭერი რეაქციული ძალების მიერ.

ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს ამ საკითხზე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ გაეროს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, რუსეთის ფედერაციის შუამდგომლობით 3 წლის განმავლობაში მიმდინარე სამშვიდობო პოლიტიკური პროცესი უშედეგოა, მიღწეული შეთანხმებები შეგნებულად ირღვეოდა და ირღვევა, ვერ პასუხობენ დღევანდელ ობიექტურ რეალიებს, ამ პერიოდში მიღებული მთელი რიგი დოკუმენტები, ანდა მათი ცალკეული პუნქტები აფხაზური მხარის ამბიციური, არაკანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლადაა გამიზნული, მოხდეს მათი სრული ექსპერტიზა და მის შედეგად განისაზღვროს მათი იურიდიული ძალის საფუძვლიანობა.

დაისვას საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წინაშე

საკითხი ექსპერტიზის შედეგად გამოვლენილი, ქართული მხარის ინტერესების საზიანო, აფხაზური მხარისათვის ცალმხრივი უპირატესობის მიმცემი, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დამრღვევი შეთანხმებებისა და აქტების, მათი ცალკეული პუნქტების დეზაუვალირების შესახებ.

3. აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ხელმძღვანელთა ალმაატისა და მინსკის შეხვედრებში მიღებული გადაწყვეტილებები მის წევრთა საზღვრების ურღვევობის, სეპარატიზმის დაგმობისა და იზოლაციის, სხვა კარდინალურ საკითხებზე ფაქტიურად არ სრულდება და ეფექტურ შედეგს არ იძლევა.

ეთხოვოს დსთ-ს, რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას:

1) თავიანთ ხელში არსებული ყველა საშუალებებით გაატარონ სასწრაფო ღონისძიებები სეპარატიზმისა და სეპარატისტების საბოლოოდ დასაძლევად და აღსაკვეთად, მათი სრული იზოლაციისათვის, საქართველოს, როგორც დსთ-ს წევრის, ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად;

2) დაავალონ სათანადო თანამეგობრობის და ფედერალურ ორგანოებს:

ა) გააუქმონ თავიანთ ტერიტორიაზე უკანონოდ შექმნილი ე.წ. "აფხაზეთის რესპუბლიკის" წარმომადგენლობები;

ბ) შეწყვიტონ "აფხაზეთის რესპუბლიკის" მოქალაქეებზე რუსეთის ფედერაციის პასპორტების გაცემის პრაქტიკა და მათი სავიზო მომსახურება საქართველოს სათანადო ორგანოების შუამდგომლობის გარეშე;

გ) უზრუნველყონ უცხოეთის სატრანსპორტო საშუალებებისა და მოქალაქეების უკანონო შემოსვლის შეწყვეტა საქართველოს ტერიტორიის აფხაზეთის რეგიონში.

4. თავისივე რესპუბლიკის ხალხის განმანადგურებლებთან, ქართული მოსახლეობის მიმართ ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მომწყობებთან, აფხაზეთის სეპარატისტული, დანაშაულებრივი ხელისუფლების, ბანდიტური ფორმირებების ხელმძღვანელებთან შეწყდეს მოლაპარაკებები.

ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ბ-ნ ჯ.ბაბილაშვილს გასცეს სანქციები არძინბასა და მისი დანაშაულებრივი რეჟიმის წარმომადგენლების პასუხისგებაში მიცემასა და დაპატიმრებაზე.

5. დევნილთა და ლტოლვილთა დაბრუნება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაიწყოს და მოხდეს მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივად აღდგენის პირობებში.

6. დაისვას საკითხი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის წინაშე, რათა:

ა) უახლოეს პერიოდში განხილულ იქნას პარლამენტის სხდომაზე აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების საკითხი და მიღებულ იქნას სათანადო დადგენილებები, დასახულ იქნას საჭირო და კონკრეტული ღონისძიებები;

ბ) ადრე მიღებული გადაწყვეტილებებების თანახმად უზრუნველყოფილ იქნას აფხაზეთის პრობლემაზე მოლაპარაკებასა და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელთა აუცილებელი მონაწილეობა;

ვ) უახლოეს დროში განხორციელდეს აფხაზეთის ტერიტორიიდან არაკანონიერი ფორმირებების განიარაღება-განდევნა და იქ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა.

7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქნას მიჩნეული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსის პროექტის შემუშავების დამთავრება და შესაბამისად მისი ძირითადი პრინციპების ასახვა საქართველოს რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში.

8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო, სამთავრობო და ადგილობრივი ორგანოების, სამეურნეო და კერძო სტრუქტურების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთავარ და გადაუდებელ ამოცანად იქნას მიჩნეული ქვეყნის მთლიანობის მიღწევა, აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა, ყველა ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებული პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე, საკუთარ კერებში სასწრაფო, უპირობო და ღირსეული დაბრუნება და მოწყობა, ცხოვრებისა და შრომის სათანადო პირობების შექმნა, ამ ამოცანების ორგანიზაციული, პოლიტიკური და იდეოლოგიური უზრუნველყოფა, კონკრეტული პრაქტიკული გეგმების შემუშავება და შესრულება.

9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს სტრუქტურულ დანაყოფებში გამოცხადდეს საგანგებო მუშაობის რეჟიმი.

10. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნას სამხედრო საბჭო, რომელიც გაუწევს კოორდინაციას ყველა ძალისმიერი სამინისტროებისა და საჭირო სამხედრო ჯგუფების მუშაობას.

11. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს (დ.გულუა), უშიშროების სამსახურის (დ.ბაზღაძე) და შინაგანი ჯარის (გ.შერვაშიძე) დისლოკაციის ადგილი განისაზღვროს ქალაქებში ზუგდიდი, სენაკი, ქუთაისი.

12. მივმართავთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა პოლიტიკურ პარტიას, საზოგადოებრივ სათათბიროსა და ორგანიზაციას, სამეურნეო და კომერციულ სტრუქტურას, ფონდს — მხარი დაუჭირონ უმაღლესი საბჭოს ამ დადგენილებას, ხელი შეუწყონ მას მის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებასა და განხორციელებაში.

13. დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს, აფხაზეთიდან არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს მიიღონ ყველა ზომები ამ დადგენილებაში დასახული ღონისძიებების სათანადო ინსტანციებში განსახილ-

ველად და შესასრულებლად, დევნილთა და ლტოლვილთა პრობლემების მოგვარებაში თავიანთი წვლილის ასამაღლებლად.

14. ამ დადგენილების კონტროლი დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმებს.

15. ეს დადგენილება და სხდომის სხვა მასალები დაყვანილ იქნას შემსრულებლებამდე, გამოქვეყნდეს პრესაში, გადაიცეს რადიოთი და ტელევიზიით, გამოიცეს და გავრცელდეს ფართო საზოგადოებაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თ.ნადარეიშვილი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

1955 წლის 22 ნოემბერი

აფხაზეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა სასწრაფო, უსაფრთხო და უპირობო დაბრუნების უზრუნველყოფისა და მათი დაჩქარების დამატებითი ღონისძიებების შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში განვითარებული მოვლენების გამძაღრების, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების არნახული გართულების შედეგად ავტონომიური რესპუბლიკა აღმოჩნდა უმწვავეს მდგომარეობაში.

მისი უდიდესი ნაწილი საქართველოს იურისდიქციას დროებით იქნა მოწყვეტილი და იქ დამყარდა აპარტეიდული, კათმოძულე რეჟიმი. განდევნილ და მშობლიურ კერებს მოწყვეტილ იქნა აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ოთხ მეხუთედზე მეტი, განხორციელებულია და გრძელდება ქართველთა ეთნიკური წმენდა, გენოციდი და აფხაზთა თვითგენოციდი. დახოცილი და დასახიჩრებულია ათიათასობით ადამიანი, დანგრეული და გადამწვარია ქალაქები და სოფლები, ისტორიის, კულტურის უნიკალური ძეგლები.

მიუხედავად საქართველოს ხელისუფლებისა და მთავრობის სამშვიდობო კურსისა, უზრუნველყოფილ იქნას აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სამშვიდობო ძალებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, ფაქტობრივად სეპარატისტებისადმი მათი შემწყნარებლურ-დამთმობლური დამოკიდებულების შედეგად კონფლიქტის მოგვარების პროცესი გაუმართლებლად ჭიანურდება.

იგნორირებულია და არ სრულდება ალმაათასა და მინსკში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მიერ მიღებული დოკუმენტები აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკის თაობაზე. არ სრულდება აგრეთვე თანამეგობრობის ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი ადლერ-სამტრედიის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენისა და შემდგომი ფუნქციონირების შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები ვერ აკონტროლებენ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს, რის შედეგადაც ვერ სრულდება საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის ტერი-

ტორიული მთლიანობის და მისი საზღვრების ურღვევობის უზრუნ-ველყოფის შესახებ.

ყოველივე ეს დასეპარატისტთა და მათ მხარდამჭერთა სხვა თავხედური ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებანი აფხაზეთიდან დევნილებსა და ლტოლვილებში, მის მრავალეროვან მოსახლეობაში იწვევს სინანულისა და უკმაყოფილების გრძნობას, სულ უფრო და უფრო აძლიერებს მათ პროტესტს არსებული ვითარებისადმი და კატეგორიულ მოთხოვნას — ბოლო მოეღოს ადამიანთა ტანჯვასა და წვალებას, უზრუნველყოფილ იქნას მათი სასწრაფო, უსაფრთხო და უპირობო დაბრუნება მშობლიურ კერებში, აფხაზეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა, მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ხელმძღვანელთა ალმაათასა და მინსკში შეხვედრებზე მიღებული გადაწყვეტილებები მის წევრ სახელმწიფოთა საზღვრების ურღვევობის, სეპარატიზმის დაგმობისა და იზოლაციის, სხვა კარდინალურ საკითხებზე ფაქტიურად არ სრულდება და ეფექტურ შედეგს არ იძლევა.

2. აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ხელმონერილი დოკუმენტი სარკინიგზო მონაკვეთის ადლერი-სამტრედია ამოქმედების შესახებ არ სრულდება და არავითარი წინამოსამზადებელი სამუშაოები არ შესრულებულა.

3. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი — აფხაზეთი ოკუპირებულია სეპარატისტული, მაფიოზურ-კრიმინალური დაქირავებულ-ბანდიტური დანაშაულებრივი რეჟიმის მხარდამჭერი რეაქციული ძალების მიერ, ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს შ.კვირაიას აფხაზეთის ძალოვან სტრუქტურებთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე აღადგინოს კონსტიტუციური წესრიგი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

4. დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ თ.ნადარეიშვილს გაუნიოს კოორდინაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სტრუქტურას ამ დადგენილების შესასრულებლად.

5. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს:

ა) ა.წ. დეკემბერში დაგეგმილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ხელმძღვანელთა მორიგ შეხვედრაზე

მწვავედ და კატეგორიულად დააყენოს საკითხი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უზრუნველყოფის შესახებ მათივე გადანყვეტილებების, სამშვიდობო ძალებზე მათ მიერ დაკისრებული ფუნქციების შეუსრულებლობაზე და აქედან გამომდინარე მათი საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის თაობაზე.

ერთადერთი პირობა, რაც შეიძლება იყოს საფუძველი მათი მანდატის გაგრძელებისა და გაფართოებისა, არის სავსებით განსაზღვრულ მოკლე დროში აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენისათვის ხელშეწყობა, დევნილთა და ლტოლვილთა სასწრაფო, უსაფრთხო და უპირობო დაბრუნების უზრუნველყოფა.

ბ) მოითხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, სხვა საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციებისაგან აფხაზი სეპარატისტების ანტიჰუმანური, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული, მსოფლიო გაერთიანების მიერ დაგმობილი ქმედებისათვის მათი სრული პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაცია და მკაცრ პასუხისგებაში მიცემა.

6. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში, გადაიცეს რადიოთი და ტელევიზიით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თ.ნადარეიშვილი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

1996 წლის 8 მარტი

საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა სახელით დოკუმენტებისა და წინადადებების გამომუშავებისა და მიღების შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება "საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა სახელით წინადადებებისა და დოკუმენტების შესახებ" დამტკიცდეს.

2. მოწონებულ იქნას მოხსენებაში და სხდომაზე გამოსულთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, მათ საფუძველზე გადამუშავდეს საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და წინადადებების პროექტები.

3. დოკუმენტებში საბოლოოდ აისახოს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის გამომწვევი მიზეზები და შედეგები, კონფლიქტის მოგვარების, დევნილთა და ლტოლვილთა უპირობო, უსაფრთხო და სასწრაფო დაბრუნების მიღწევის საერთო საქვეყნო პოლიტიკური, იდეოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური, სამხედრო თავდაცვითი და უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

4. საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და წინადადებების პროექტების საბოლოოდ დამუშავებისათვის დამტკიცდეს კომისია შემდეგი შემადგენლობით: თ.ნადარეიშვილი, ზ.ერქვანია, ვ.ყოლბაია, დ.გვაძაბია, გ.გვაზავა, გ7ფაცაცია, ლ.მარშანია, ლ.ცაავა, ე.ასტემიროვა, ა.გასვიანი, ა.ფენდერავა, რ.ცატავა, მ.კვარაცხელია, ა.წონონავა, გ.კალანდია, ი.ვეკუა, რ.გელანტია, რ.გერგედავა, მ.დგებუაძე, ჯ.ჯანელიძე, ო.ბენიძე, ა.ლაცუზბაია, ვ.თორდია, შ.წულეისკირი, ვ.კადენეცი, ს.ქეცბა, ზ.პაპასკირი, გ.ნაჭყებია, ო.ჩარკვიანი, თ.ჩოჩია, შ.ბიჭიკაშვილი.

5. კომისიამ სასწრაფოდ დაამთავროს დოკუმენტებისა და წინადადებების გადამუშავება და უზრუნველყოს 12 მარტისათვის მათი გადაცემა საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის.

6. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში, გადაიცეს რადიოთი და ტელევიზიით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თ.ნადარეიშვილი

პროექტი წარმოადგინეს: დ.გვაძაბიამ
გ.ნაჭყებიამ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
დადგენილება

"8" მაისი 1996 წ.

აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილებისა და მისგან გამომდინარე ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო, სამეურნეო, კერძო სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილება "აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ", — უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და იურიდიულ-სამართლებრივი დოკუმენტია, რომელშიც პირველად სახელმწიფოებრივ დონეზე გაანალიზებული და შეფასებულია აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია და გაკეთებულია ყოველმხრივ ობიექტური დასკვნები.

საკითხის განხილვის პროცესში წარმოდგენილ მოხსენებებსა და სხვა დოკუმენტებში, საქართველოს პრეზიდენტის საპროგრამო სიტყვაში, პარლამენტარების გამოსვლებში ნარმოჩენილ იქნა და შეფასება მიეცა აფხაზ სეპარატისტთა, მათი გარეშე და შინაური მხარდამჭერი ძალების მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ქართველი ხალხის და აფხაზეთში მოსახლე სხვა ხალხების მიმართ დიდი ხნის წინათ დასახულ და უკანასკნელ წლებში ჩატარებულ მოღალატურ ქმედებებს, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებს, ათასობით და ათიათასობით მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის საზარელ ფაქტებს, მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების გათელვას, ქართველთა ეთნიკურ წმენდას, გენოციდს.

პარლამენტის დადგენილებაში დასახულია შესაბამისი ღონისძიებები კონფლიქტის მოსანესრიგებლად, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მისაღწევად, მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად. პარლამენტმა სერიოზული ყურადღება დაუთმო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თბილისში განთავსებულ საკანონმდებლო, აღმასრულებელი დასასამართლო ხელისუფლების სტრუქტურების მუშაობის საკითხებს, ჩათვალა ისინი აფხაზეთის ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებად, მოითხოვა მათი სტატუსის ნათლად განსაზღვრა და გაფართოება, არსებული პირობების შესაბამისად დასახა მათი როლის ამაღლების გზები აფხაზეთის დევნილი და ლტოლვილი, მთელი მოსახლეობის საზოგადოებრივ-

პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განხილვასა და მოგვარებაში.

ყოველივე ეს მოითხოვს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების, დეპუტატების, ყველა სამთავრობო, სამეურნეო, კერძო სტრუქტურების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების მუშაობის გაუმჯობესებას, მოსახლეობის ნაწილში არსებულ დაპირისპირებათა დაძლევისა და დაგმობის მიღწევას, მათი ყველა შესაძლებლობისა და ძალისხმევის წარმართვას აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღსადგენად და კონსტიტუციური წესრიგის დასამყარებლად, იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა უპირობოდ და უსაფრთხოდ დასაბრუნებლად, ადამიანებისათვის ცხოვრებისა და შრომისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად და დასამკვიდრებლად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პარლამენტის დოკუმენტების მომზადებასა და სხდომებზე მათ განხილვაში, მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და მინისტრთა საბჭომ, იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ჩვენმა თანამემამულეებმა მოსკოვიდან, სანკტ-პეტერბურგიდან, სოჭიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების შესრულებაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილება "აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" — მოწონებულ და მიღებულ იქნეს შესასრულებლად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო, სამთავრობო, სამეურნეო, კერძო სტრუქტურებისა და უწყებებისათვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის.

2. აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების შესრულების უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რათა მიღებულ იქნეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ გასატარებელი ორგანიზაციულ-პოლიტიკური, სამართლებრივ-იურიდიული, სოციალურ-ეკონომიკური და საინფორმაციო-იდეოლოგიური ღონისძიებების განხორციელების სამუშაო გეგმა.

სამუშაო გეგმის წარმოდგენილი პროექტი გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით — დამტკიცდეს (თან ერთვის).

3. დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებს, აპარატის ხელმძღვანელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო, სამთავრობო, სამეურნეო, კერძო სტრუქტურებთან და ორგანიზაციებთან ერთად მიიღონ ყველა შესაძლო ზომა სამუშაო გეგმაში დასახული ღონისძიებების შესასრულებლად.

4. რეკომენდაცია მიეცეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს, მინისტრთა საბჭოს, ქალაქების მერიებსა და რაიონების გამგეობებს, სამინისტროებს, უწყებებს, სამეურნეო და კერძო სტრუქტურებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მთელი თავიანთი მუშაობა წარმართონ აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების შესრულებისათვის, ამ საქმეში აქტიურად ითანამშრომლონ საქართველოს პარლამენტის აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ცენტრალურ სტრუქტურებთან და ორგანიზაციებთან, ხელისუფლების რეგიონალურ და ადგილობრივ ორგანოებთან.

5. საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილებით შესაბამისად ახალი, ყოვლისმომცველი დადგენილების შემუშავებასა და მიღებასთან დაკავშირებით მოაზადდეს და გადაეცეს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას წინადადებები საქართველოს სახელმწიფო მეთაურის, მინისტრთა კაბინეტის მიერ აფხაზეთის კონფლიქტზე, იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, მათ მშობლიურ კერებში უპირობო და უსაფრთხო დაბრუნების საკითხებზე ადრე მიღებული ბრძანებულებებისა და დადგენილებების შესრულების მიმდინარეობაზე ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების გასათვალისწინებლად და შესაბამისი ეფექტური ღონისძიებების გასატარებლად.

6. ეთხოვოს გაზეთების "საქართველოს რესპუბლიკისა" და "სვობოდნაია გრუზიას" რედაქტორებს, ბატონებს გურამ გოგიაშვილმა და აპოლონ სილაგაძეს მათი გაზეთების ფურცლებზე აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებისათვის საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის მიერ დასახული ღონისძიებების, აფხაზეთის იძულებით გადაადგილებული და ლტოლვილი, მისი მთელი მოსახლეობის პრობლემების, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვ-

რების უფრო ვრცლად გაშუქებისათვის, ამ საკითხებზე მთელი საქართველოს მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის უკეთ ინფორმირებისათვის დააწესონ ყოველ კვირაში ერთხელ ჩანართი-ფურცელი "აფხაზეთი".

7. საქართველოს პარლამენტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დადგენილებების შესრულებისადმი კონტროლისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალოს:

ა) შეიქმნას უმაღლესი საბჭოს კომისია; კომისიის შემადგენლობა დამტკიცდეს (სია თან ერთვის).

ბ) შესრულების მიმდინარეობისა და მისდამი კონტროლის საკითხები რეგულარულად მოხსენდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, განხილულ იქნას უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმების სხდომებსა და სხვა ორგანიზაციულ-მასობრივ ღონისძიებებზე.

8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1996 წლის 8 მაისის სხდომის დადგენილებები თავიანთი დანართებით გადაეგზავნოს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრს.

9. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში, გადაიცეს რადიოთი და ტელევიზიით, გამოქვეყნდეს საქართველოს პარლამენტსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში აფხაზეთის საკითხის განხილვისადმი მიძღვნილ კრებულში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს თავმჯდომარე თ.ნადარეიშვილი

. საქართველოს პარლამენტის დადგენილება

აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ძირძველ ტერიტორიაზე — აფხაზეთში, ათნლეულების განმავლობაში მოქმედმა სეპარატისტებმა გარეშე ძალთა მხარდაჭერითა და ხელშეწყობით 1992 წლიდან მოაწყვეს ქართველების გენოციდი და ეთნიკური წმენდა, რომელსაც შეეწირა შვიდ ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, უგზო-უკვლოდ დაიკარგა ათასზემეტი, დაიჭრა და დასახიჩრდა ათი ათასამდე ადამიანი. ბარბაროსულად დახვრიტეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი ჟიული შარტავა და სხვა ხელმძღვანელი პირები. მშობლიური ადგილებიდან გაძევებულია აფხაზეთის მოსახლეობის 80 პროცენტი. დამწვარი, გაძარცული და განადგურებულია 20 000-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, დანგრეულია სკოლები, ბაგა-ბაღები, კულტურის ცენტრები, ეკლესიები, ხუროთმოძღვრებისა და ისტორიული ძეგლები.

სეპარატისტების მიერ ორგანიზებული ტერორისა და აპარტეიდული რეჟიმის მსხვერპლი გახდნენ ასევე აფხაზეთის ბერძნები, ებრაელები, რუსები, უკრაინელები, სომხები და თვით აფხაზებიც, რომელთა ერთი ნაწილი ომს შეეწირა, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა მიეტოვებინა სახლ-კარი და თავი შეეფარებინა საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონებისათვის, საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის.

აფხაზეთი გადაიქცა ტერორისტების, იარაღითა და ნარკოტიკებით მოვაჭრეების და სხვა ორგანიზებულ დამნაშავეთა სათარეშო განუკითხავ, უკონტროლო ტერიტორიად, რომელიც ახალ უბედურებათა გავრცელებით ემუქრება არა მარტო საქართველოს, არამედ მიმდებარე რეგიონებსაც.

სეპარატისტულმა ძალებმა არაადამიანურიბ უსასტიკესი მეთოდების გამოყენებით, ეთნიკური წმენდისა და მასობრივ მკვლელობათა გზით აფხაზეთის ტერიტორია დროებით ჩამოაშორეს საქართველოს. ადგილი ჰქონდა დემოგრაფიული სიტუაციის ძალადობით შეცვლას, რაც დღემდე გრძელდება.

ამ ტრაგედიაშ პასუხისმგებლობის წილი ეკისრება საქართველოს ზოგიერთ თანამდებობის პირსაც. რკინიგზისა და საავტომობილო გზების სათანადო დაცვის შეუსრულებლობამ და სხვა დანაშაულებრივმა ქმედებებმა საბაბი მისცეს სეპარატისტებს დიდი ხნის

ნინათ დაგეგმილი საომარი მოქმედებების გასაჩაღებლად.

საქართველოს პარლამენტი ასევე აღნიშნავს, რომ აფხაზეთის კონფლიქტში, დატრიალებულ ტრაგედიაში, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების დესტაბილიზაციაში გარკვეული უარყოფითი როლი შეასრულა ზოგიერთმა ქართველმაც და სხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენელმაც, რომელთა წინდაუხედავმა და დანაშაულებრივმა ქმედებამ ხელყო ჩვენი არა ერთი თანამემამულის ღირსება და სიცოცხლე, დაეხმარა და დღესაც ეხმარება სეპარატისტებს ანტისახელმწიფოებრივი მოღალატური ზრახვების განხორციელებაში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა გრძელდება საომარ მოქმედებათა შეწყვეტის შემდგომაც, განსაკუთრებით გალის რაიონში, სადაც 1993 წლის სექტემბრის შემდეგ დაიღუპა 1000-ზე მეტი ადამიანი. ფართო მასშტაბი აქვს მიღებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას.

მიუხედავად ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა, რომლებიც მიმდინარეობდა აფხაზეთში კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდითა და რუსეთის შუამავლობით, სეპარატისტთა შეურიგებელი პოზიციის გამო ვერ მოხერხდა კომპრომისის მიღწევა ასეულ ათასობით ლტოლვილის საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებისა და საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის საკითხებში. სეპარატისტული რეჟიმი ყველა საშუალებით განამტკიცებს თავის სამხედრო პოტენციალს, ქმნის დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ სტრუქტურებსა და ატრიბუტებს, ამახინჯებს ისტორიას, ამკვიდრებს კაცთმოძულე რასისტულ იდეოლოგიას. აღსანიშნავია ისიც, რომ დსთ-ს სახელმწიფოთა ხელმძღვანელების ალმა-ათის, მინსკისა და მოსკოვის გადაწყვეტილებები არ სრულდება, მიღწეულ შეთანხმებებს გარეშე ძალების ხელშეწყობით შეგნებულად და ცალმხრივად არღვევენ სეპარატისტები.

სამშვიდობო ძალები, რომლებიც გამოყო რუსეთის ფედერაციამ დსთ-სა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან შეთანხმებით, დღემდე ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას. მათ ვერ უზრუნველყვეს მოსახლეობის უსაფრთხოება, წინ ვერ აღუდგნენ ქართველთა ეთნიკურ წმენდასა და გენოციდს, ვერ უზრუნველყვეს დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება; ზოგიერთი ქვედანაყოფი დღესაც თვითნებობს ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში, აქტიურად მონაწილეობს კონტრაბანდის ოპერაციებში, რაც ქმნის არასტაბილურ ვითარებას კონფლიქტის ზონაში და მიმ-

დებარე ტერიტორიაზე. რუსეთთან მოლაპარაკების შედეგად ვერ მოხერხდა სამშვიდობო ძალების უფლებამოსილებათა გაფართოება, რაც შესაძლებელს გახდიდა დევნილთა დაბრუნებისათვის პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას. ვერ მოხერხდა სეპარატისტული რეჟიმის ეკონომიკური და პოლიტიკური იზოლირება და აფხაზეთში მიმავალი ტვირთების ქართველთა მესაზღვრეების მიერ ნინასწარი შემოწმება.

საქართველოს პარლამენტი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ მიღებული ფუძემდებლური დოკუმენტებით, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით, გამოხატავს საქართველოს ხალხის უზენაეს ნებას ქვეყნის მთლიანობის აღდგენისა და დევნილთა მშობლიურ ადგილებში დაბრუნების უზრუნველსაყოფად და

ადგენს:

1. იზიარებს რა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1995 წლის 19 ივლისის, 22 ნოემბრისა და 1996 წლის 8 მარტის გადაწყვეტილებებს, საქართველოს პროკურატურისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე აფხაზეთში განვითარებული და მიმდინარე მოვლენები შეფასდეს როგორც სეპარატისტთა მიერ რუსეთის ანტიდემოკრატიული, რეაქციული და სხვა გარეშე ძალების დახმარებითა და მონაწილეობით საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის ნინააღმდეგ მიმართული აგრესიული ქმედება, რომელსაც შედეგად ქვეყნის მთლიანობის დარღვევა, საქართველოს განუყოფელი ნაწილის — აფხაზეთის ოკუპაცია, დანაშაულებრივი რეჟიმის ჩამოყალიბება, ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი, სხვა ხალხებისა და მათ შორის აფხაზთა დიდი ნაწილის აფხაზეთიდან განდევნა მოჰყვა.

2. კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებთან, ინსპირატორებსა და ორგანიზატორებთან, ეთნიკური წმენდის, გენოციდისა და ტერორისტული აქტების ორგანიზატორებისა და უშუალო შემსრულებლების ქმედებებთან, აფხაზეთში საომარ მოქმედებათა დროს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულებთან, მოსახლეობისათვის მიყენებულ ზარალთან, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების შეყვანის შემდეგ მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურამ განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ზომები და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ აცნობოს საქართველოს პარლამენტს.

3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას წარუდგინოს აფხაზეთში სეპარატისტების მიერ ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის, გენოციდის, ეთნიკური წმენდის, სამხედრო დანაშაულისა და ტერორიზმის დამამტკიცებელი საბუთები და მიმართოს თხოვნით საერთაშორისო ტრიბუნალის შესაქმნელად.

4. საქართველოს პროკურატურის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოხსენებები და სხვა მასალები სეპარატისტთა და მათ მხარდამჭერთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ გადაეგზავნოს დსთ-ს ქვეყნების მეთაურებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველოში საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოებს.

5. დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს:

ა) გააააქტიუროს მუშაობა საქართველოს პრეზიდენტის მიერ იუნესკოს გენერალური დირექტორისადმი ჰააგის 1954 წლის კონვენციის ასამოქმედებლად წარდგენილი მოთხოვნის რეალიზაციისათვის;

ბ) ოკუპირებული აფხაზეთის მმართველი რეჟიმის ტერორისტული საქმიანობის, საერთაშორისო ტერორიზმთან მათი ალიანსის შესახებ მსოფლიო საზოგადოებრიობის ინფორმირებისა და სათანადო რეაგირების მიზნით აქტიური მონაწილეობა მიიღოს ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფერენციების მუშაობაში.

6. დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთში კონფლიქტის დროს მოსახლეობა სამარ მოქმედებებში ჩათრეულ იქნა დეზინფორმაციის, მუქარისა და შანტაჟის გზით, შეიმუშაოს და პარლამენტს წარუდგინოს კანონპროექტი საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ კონფლიქტის მონაწილეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების თაობაზე, იმ პირთა გარდა, რომლებიც მხილებული არიან კონფლიქტისა და სამარი მოქმედების ინსპირირებასა და ორგანიზებაში, აგრეთვე განსაკუთრებით მძიმე სამხედრო და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში.

7. აფხაზეთში მიმდინარე პროცესები განისაზღვროს, როგორც პოლიტიკური კონფლიქტი აფხაზეთში და არა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი.

აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებაში მონაწილეობა განისაზღვროს ხუთი სუბიექტით: აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება და აფხაზეთის სეპარატისტული დაჯგუფება, როგორც კონფ-

ლიქტში მონაწილე მხარეები; საქართველო, რომლის ტერიტორიაზეც ხდება კონფლიქტი. რუსეთი, როგორც დაინტერესებული მხარე; გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

8. დადასტურდეს, რომ იურიდიული ძალის არმქონე და ბათილია, სეპარატისტთა მიერ მიღებული ე.ნ. აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, პრეზიდენტის ინსტიტუტი, საკანონმდებლო აქტები, ხელშეკრულებები და შეთანხმებები უცხო ქვეყნების სტრუქტურებთან, აგრეთვე მმართველობის ყველა ორგანო და მათი გადაწყვეტილებები, სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებანი, რომლებიც ენინააღმდეგება საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობას.

9. დადასტურდეს, რომ თბილისში განთავსებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესების გამომხატველი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ერთადერთი ლეგიტიმური ორგანოებია.

10. ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, კონფლიქტის მოწესრიგებამდე ქმედითი დახმარება გაუნიოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას სტატუსით განსაზღვრულ და რეალური ვითარებით განპირობებულ პრობლემათა გადაწყვეტაში.

კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას უზრუნველყოფილ იქნეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელთა აუცილებელი მონაწილეობა.

11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შუამდგომლობით მიღწეულ შეთანხმებით აფხაზ სეპარატისტთა მიერ ცალმხრივად დარღვევასთან დაკავშირებით, მოხდეს ამ შეთანხმებათა ყოველმხრივი ექსპერტიზა და საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების, საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტებმა ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ ამ საკითხთან დაკავშირებული სათანადო დასკვნები.

12. იმის გამო, რომ დსთ-ს მანდატით რუსეთის სამშვიდობო ძალები ვერ უზრუნველყოფენ იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში უპირობო და უსაფრთხო დაბრუნებას, მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვას, არსებული მანდატის შენარჩუნებისა და ახალ მანდატში საქართველოს წინადადებების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში სამშვიდობო ოპერაცია ჩაითვალოს უპერსპექტივოდ და სამშვიდობო ძალები ორი თვის ვადაში გაყვანილ იქნეს საქართველოს ტერიტორიიდან.

დევნილთა და ლტოლვილთა აფხაზეთში დაბრუნება განხორციელდეს მათი უსაფრთხოების სრული გარანტიის, საქართველოს იურისდიქციისა და კონსტიტუციური წესრიგის ფაქტობრივი აღდგენის პირობებში.

13. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტრომ, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა სათანადო სახელმწიფო უწყებებთან ერთად განახორციელონ სახელმწიფო საზღვრის ურღვეობის, სეპარატიზმის დაგმობისა და იზოლაციის, სხვა კარდინალურ საკითხებზე დსთ-ს ხელმძღვანელთა ალმა-ათის, მინსკის, მოსკოვის შეხვედრებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებანი.

14. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანოებმა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა ეთნიკური წმენდის, გენოციდის, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების ფაქტების მხილებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართოდ ინფორმირებისათვის.

15. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და მინისტრთა საბჭომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, გააძლიერონ მუშაობა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული და საინფორმაციო-იდეოლოგიური ღონისძიებების განსახორციელებლად, ეფექტურად წარმართონ თავიანთი საქმიანობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

16. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე და საერთაშორისო სამართლის აღიარებული პრინციპების შესაბამისად, მრავალეროვანი აფხაზეთის ფართო საზოგადოებრიობის, ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების მონაწილეობით განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსი ფართომასშტაბიანი ავტონომიით ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩარჩოებში, რაც ითვალისწინებს აფხაზეთის საკუთარ კონსტიტუციას, პარლამენტს, უმაღლეს აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს, ჰიმნს, დროშას, გერბს, სახელმწიფოებრიობის სხვა ატრიბუტებს, საკუთარ კომპეტენციას ეკონომიკურ, სოციალურ, საფინანსო და საგადასახადო საკითხებში.

17. დაევალოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს აფხაზეთის ფართო საზოგადოებრიობის ყველა ეროვნების წარმომადგენელთა მონაწილეობით დააჩქარონ საქართველოს ტერიტორიულ-სახელმ-

წიფოებრივი მონყობისა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის კანონ-პროექტების შემუშავება.

18. ანიჭებს რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას კოდორის ხეობის მოსახლეობის პრობლემებს, საქართველოს მთავრობამ განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი კოდორის ხეობის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.

19. რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს მთავრობას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით შეიმუშაონ წინადადებები აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპულთა პატივგების ღონისძიებათა შესახებ.

20. საქართველოს პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და მინისტრთა საბჭომ, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად საქართველოს პარლამენტს 1 ივნისამდე წარუდგინონ კანონპროექტი "დევნილთა შესახებ".

21. საქართველოს მთავრობამ ორი თვის ვადაში შეიმუშაოს პროგრამა აფხაზეთიდან დევნილთა სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

22. საქართველოს პარლამენტი მხარს უჭერს საქართველოს მოქალაქეთა კეთილი ნებისა და ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული ურთიერთობის, ძმობისა და ნათესაობის ტრადიციების აღდგენასა და განმტკიცებას. აფხაზეთში მცხოვრები სხვა ხალხების ინტერესების გათვალისწინებით ორმხრივი და მრავალმხრივი კონტაქტების სხვადასხვა დონეზე განვითარებას და სახალხო დიპლომატიის გააქტიურებას.

23. "მშვიდობა და სტაბილურობა კავკასიაში" — საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივიდან გამომდინარე, კავკასიის ხალხებთან და პარლამენტებთან სამუშაოდ შეიქმნას საქართველოს პარლამენტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ერთობლივი ჯგუფები.

24. რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-პოლიტიკური, საკონსტიტუციო, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, საინფორმაციო ვითარების, ახალ რეალობათა შესაბამისად და ამ დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებების გათვალისწინებით ორ თვეში შეიმუშაოს აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების სახელმწიფო პროგრამა.

25. სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურმა და ადგილობ-

რივმა ორგანოებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო და კომერციულმა სტრუქტურებმა, სხვადასხვა ფონდებმა საქართველოს პარლამენტის ამ დადგენილების მხარდასაჭერად გააძლიერონ ზრუნვა და დახმარება აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპულთა ოჯახებისადმი და მთლიანად დევნილი მოსახლეობისადმი, ხელი შეუწყონ აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენასა და კონსტიტუციური წესრიგის დამყარებას.

26. მიზანშეწონილად ჩაითვალოს აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომისიის შექმნა.

ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების კოორდინაცია დაევალოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვ.ყოლბაიას.

27. დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

28. საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის ივნისში განიხილოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

29. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში, გადაიცეს რადიოთი და ტელევიზიით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი,
1996 წლის 17 აპრილი.

14. მერი შერვაშიძე.

შერვაშიძეთა გენეალოგიური ხე.



1. ბატონი თამაზ ნადარეიშვილი თბილისში, საქართველოს პარლამენტის სხდომაზე შესვენების დროს. თბილისი, 1993 წლის მარტი.

2. 15-16 მარტის სოხუმზე შემოტევის შემდეგ. სოხუმი, 1993 წელი.

3. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია კოზირევი სოხუმში. 1993 წელი.

4. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია კოზირევი და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი. სოხუმი, 1993 წელი.

5. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია კოზირევი, მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი, უშიშროების მინისტრი ბარანიკოვი. სოხუმი, 1993 წ.

6. გენერალ-მაიორი თამაზ ნადარეიშვილი თანამებრძოლებთან. სოხუმი, 1993 წელი.

7. სახელმწიფოს მეთაური ბატონი ედუარდ შევარდნაძე სოხუმში. 1993 წლის ოქტომბერი.

8. სახელმწიფოს მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ბატონი ედუარდ შევარდნაძე და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ბატონი თამაზ ნადარეიშვილი. სოხუმი, 1993 წელი.

9. სახელმწიფოს მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ბატონი ედუარდ შევარდნაძე გულრიფში დისლოცირებულ ბატალიონში. სოხუმი, 1993 წელი.

10. ბატონი ედუარდ შევარდნაძე სოხუმში, 1992 წელი.

11. გაეროს დამკვირვებელი, შვედეთის სამეფო ჯარების პოლკოვნიკი კარსტრემი, საქართველოში რუსეთის საელჩოს მრჩეველი იაკოვენკო, ევროსაბჭოს წარმომადგენელი საქართველოში ორლოვი, ბატონ თამაზ ნადარეიშვილთან აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში. სოხუმი, 1992 წელი.

12. პრესკონფერენციაზე მოსკოვში. 1995 წელი.

13. სამხედრო აკადემიაში. თბილისი, 1995 წელი.